# დრო
# შა

# №1

1057
1209
1087

# შ ი ნ ა ა რ ს ი.

**ჩვენი დროშა**
**მიხ. ადამაშვილი**—კვაჭი კვაჭანტირაძე.
**ვ. მაიაკოვსკი**—მარში მარცხნივ.
**მ. კახიანი**——მუშური რევოლიუცია.
**სანდრო ეული**—ოქტომბერი.
**ნ. ზომლეთელი**—გზა ზეიმისაკენ.
**რაჟდენ კალაძე**—ეგნატე ნინოშვილი.
**თ. სახოკია**—ალექსანდრე ყაზბეგი.
**ვ. გ.** ფრიდრიხ ენგელსი—როგორც პოეტი.
**ფრიდრიხ-ენგელსი**—საღამო.
**არიელი**—თეატრი.
**ვ. გ.**—გერმანელი ექსპრესიონისტები ფრანც ვერფელი მკათხველს—ვალტერ ჰაზენკლევერი—შურისმაძიებელი.

**პოლიტიკური მიმ-ხილვა.**

**ს. კ—ძე**—ახალი მიღწევანი ძველ ქართველ მწერლობის ისტორიაში.
**სანდრო შანშიაშვილი**—სპარტაკ.
**ბიბლიოგრაფია.**
**ნარევი.**
**ლიტერატურული ქრონიკა.**
**საქართ. სახელმწ. ცხენთა სანაშენე.**

**ჟურნალი „დროშის“ პირველი ნომერი ვერ გამოდის იმ გეგმით, რომელიც განზრახული აქვს რედაქციას. შემდეგი № გამოვა 21 ნოემბერს.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

893-5624/(05)
Ք-76

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

**განცხადების ტარიფი:**
ერთი გვერდი . . . 50 მ. რუბ.
ნახევარი გვერდი . 30 მ. „
მეოთხედი გვერდი . 20 მ. „

**ხელის მოწერა:**
სამი თვით . . . 1 მან. 20 კ. რუბ.
ერთი თვით . . . 40 კ. „
ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. „

**მისამართი:** 34
რედაქციის და კონტორის
რუსთაველის პრ. № 22. 1923
მიიღება ხელის მოწერა დილის
9—3 საათამდე.

№ 1 ოთხშაბათი 7 ნოემბერი 1923 წ. № 1

## ჩვენი დროშა.

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე გამოდის ჩვენი ჟურნალი. არა შემთხვევითია ეს მოვლენა. ჩვენი სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალის შინაარსი და სული უნდა შეიქმნეს გამომხატველი იმ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების, რომელიც ჩვენში ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებით დამყარდა.

ჩვენ იმდენად გვაინტერესებს ძველი ქართული კულტურა, რამდენათ იგი იყო და არის საძირკველი ახალი კულტურის.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ის ძალები, რომელნიც მოქმედებდნენ ჩვენში ოქტომბრის რევოლიუციამდი, ნებსით თუ უნებლიეთ, სდუმან. დღეს ყველა აღიარებს, რომ ჩვენი ლიტერატურა ერთგვარ კრიზისს განიცდის, აქ მკითხველი საზოგადოება აუცილებლად სვამს საკითხს, თუ რა არის მიზეზი ასეთი დუმილისა.

მე 19-ე და მე 20-ე საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურის დამახასიათებელი თვისება იყო ეროვნული მოტივი. იმ დროს ვინც ამ თემას ამუშავებდა, თემას მაშინდელ დროისთვის, მართლაც აქტუალურს და შინაარსიანს ისინი ითვლებოდენ ჩვენი ლიტერატურის და კულტურის სიამაყეთ.

განვლო დრომ... ახალ ეკონომიურ ურთი-ერთობაზე წარმოიშვა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, როგორც ძალა მუშათა კლასი, თუმც ძალიან მცირერიცხოვანი და სუსტი და მისი მიმყოლი ღარიბი გლეხ-კაცობა.

პირველ რიგში წამოიჭრა სოციალურ-ეკონომიური მომენტები. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია სულ ახალი მიმდინარეობა ლიტერატურაში, ახალი მხატვარნი წარმოეშვა, რომელნიც ასახავდნენ ახალ ცხოვრებას, კლასთა ბრძოლის ურთი-ერთობას. იქ, სადაც სრული გათიშვა და გამიჯვნა მოხდა ორ უმთავრეს კლასთა-ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, იქ, რასაკვირველია, ამ ახალი ცხოვრების დუღილის და ჰიდილის გამომხატველი ძლიერი მწერლები გაჩდნენ. მაგალითად: ბელგია-საფრანგეთში ემილ ვერჰარნი, რუსეთში მაქსიმ გორკი და ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მთელი პლეადა ახალგაზრდა მუშათა წრეებიდან გამოსულ მწერლებისა.

ჩვენში ახალმა სიომ დაბერა 90 წლებიდან და ფეოდალურ და გლეხურ საქართველოში შემოანათა კაპიტალიზმის „სხივებმა“. აქა-იქ გაჩნდენ ქარხანა-ფაბრიკები, (რკინის გზა, ფოთის და ბათომის ნავთ-სადგური, ჭიათურის მაღაროები და სხ.) მუშათა კლასმა იწყო ჩამოყალიბება. გლეხ-კაცობაც როგორც ჩაგრული სოციალური ელემენტი გამოეხმაურა ამ ახალი კლასის გამოსვლას. გაჩნდა ჩვენში ეგრედ წოდებული სოციალური პოეზიაც გამომხატველი მუშისა და გლეხის ცხოვრების. ნახევრად მუშამ, ნახევრად გლეხმა ეგნატე ნინოშვილმა გადმოგვცა ნამდვილი სულის კვეთება ჩვენი გლეხ-კაცობისა, ნაწილობრივად ნავთის წარმოებაში გამბული მუშებისა. დასაწყისი ამ ახალი ცხოვრებისა დღესაც ძლიერი და მომხიბლავია ჩვენთვის. განსაკუთრებული მუშური იდეოლოგიის და სულის კვეთების გამომხატველი შეიქმნა იროდიონ ევდოშვილი. (პირველი დროის). ეს იყო ხანა მუშათა კლასის, თუმცა სუსტის, მაგრამ მაინც თვალ-საჩინო გამოსვლისა, რომელმაც თან გაიყოლა ჩვენი ულარიბესი გლეხ-კაცობა. აი ამ ცხოვრების ვითარების გადმომცემი შეიქმნა ჩვენი მაშინდელი ლიტერატურა: ეგ. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, და პირველ ხანების ია ეკალაძე. აი ამ დროს ბრძოლაში ჩაბმულმა მუშებმა და გლეხ-კაცობამ ნახეს თავიანთი ძალის და სურვილების გამომხატველი და რამდენათ ეს ბრძოლა, ეს მისწრაფება მუშათა კლასისა და გლეხ-კაცობისა ძლიერი იყო, იმდენად ამდროინდელი ჩვენი ლიტერატურა თვალსაჩინო და მისალები გახდა.

დამარცხდა 1905 წ. რევოლუცია, დამარცხდა მუშათა კლასი და გლეხ-კაცობა. ისინი პოლიტიკურად და ეკონომიურად წელში გატეხილი, თითქოს ბრძოლის და ცხოვრების ასპარეზს ჩამოცილდენ. ილუზიონების და ბრძოლის ხანამ განვლო..

როგორც რუსეთში ისე ჩვენში, რასაკვირველია, უფრო მცირე მაშტაბით ბურჟუაზიის გამარჯვება ხვდა და იგი შეუდგა ამ გამარჯვების მხატვრულად გამოთქმას და როგორც ყველა დრო მოჭმულ კლასებს ახასიათებს მოდუნება და დავიწყებაში გადავარდნა, ისე მოუვიდა ჩვენს გაბატონებულ კლასებს. პოეზიაში გამეფდა ისევ ძველი მოტივების გადამღერება, ეროვნული ჰანგები და მეორეს მხრივ სიყვარულის კულტი. ჩვენში გაჩნდნენ სხვა და სხვა მიმართულების მწერლები. საერთოდ ეს ლიტერატურა 1905-დან მოყოლებული ვიდრე დღევანდელამდე ჩვენში იყო და არის გამომხატველი იმ სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობის, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიულ წესწყობილებას. კრიზისი ბურჟუაზიული წესწყობილებისა, კრიზისი ეკონომიური ურთი-ერთობისა და აქედან წარმოშობა კრიზისისა მხატვრულ ლიტერატურაში. და თუ მართალია ის დებულება, რომ დღეს კაპიტალისტური წესწყობილება ჩიხშია მოქცეული, ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ამ კლასის იდეოლოგიაც ჩიხში მოექცა. ერთ წერტილზე გაიყინა. ასე იყო ჩვენში. ასეა თითქმის მთელ დასავლეთში. პოეტებს, მწერლებს თითქოს აღარაფერი აქვთ სათქმელი, ვინაიდან თვით ძველი კაპიტალისტური წესწყობილებაც ამოიწურა და ის ახალს არაფერს ჰქმნის.

ჩვენის აზრით, სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი ჩვენი ლიტერატურის და ძველი საქართველოს მწერლების სასტიკი დუმილისა. დღეს ჩვენ მწერლებს რაიმე ახალის და ძლიერის თქმა აღარ შეუძლიათ. ჩვენში 1905 წ. შემდეგ არ დაწერილა ახალ ცხოვრების ძლიერი ნებაყოფილების გამომხატველი რომანი,—მოთხრობა ან დრამა თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამოდენიმე მხატვრულ ნაწარმოებს. იწერებოდა მხოლოდ პატარა ლექსები, გამომხატველი შინაგან სულიერი მდგომარეობისა, ეროტიულ ჰანგებზე აგებული ერთხელ და ათასჯერ გადამღერებული და ზოგიერთ შემთხვევაში კი უიმედობის გამომხატველი (სიმვოლიზმი, მისტიციზმი და სხვა...) ესე იყო ჩვენში ოქტომბრის რევოლუციამდე. გამარჯვებულმა მუშათა კლასმა მშრომელ გლეხ-კაცობასთან ერთად უფსკრულს მისცა ილაჯ გაწყვეტილი თავად აზნაურობა ბურჟუაზიასთან ერთად. ეს უკანასკნელნი განადგურებული არიან ახალ საქართველოში, როგორც სოციალურ-ეკონომიური ძალა.

დღეს ჩვენს ლიტერატურაში თითქმის ახალი არაფერი იწერება. ყოველი პოეტი, ყოველი მწერალი თითქოს სცდილობს თავი არ შეაწუხოს და სწერს პატარ-პატარა ლექსებს, გამომხატველს ამა თუ იმ მწერლის სულიერ და პირად განცდის. ეს ასედაც უნდა იყოს. ვინც მოკვდა პოლიტიკურად და ეკონომიურად, მას არ შეუძლიან იცოცხლოს ლიტერატურაში და მით უმეტეს მხატვრულ ლიტერატურაში.

ჩვენი ძველი, ახლო წარსულის მწერლობა ვერ შეურიგდა იმ ძლიერ გადატეხას, რომელიც მოჰყვა დიდი ოქტომბრის რევოლუციას. რუსეთში უკვე თვალსაჩინო შეიქმნა ეგრედ წოდებული ოქტომბრის ლიტერატურა. იქ ლიტერატურას გაუჩნდნენ, გარდა თვით მუშათა კლასიდან წარმოშობილ მწერლებისა, ეგრედ წოდებული ახალი ლიტერატურის, ახალი ცხოვრების, რევოლუციის, „თანამგზავრნი“. ამ მოვლენას თავის გასამართლებელი მიზეზები აქვს რუსეთში, რომლის ახსნა გადმოცემას ჩვენ აქ არ შეუდგებით.

ჩვენს ლიტერატურას „თანამგზავრები“ არა ჰყავს. ესეც სიმპტომატიური მოვლენაა ჩვენი ცხოვრებისა.

რით საზრდოობს დღეს ახალი ცხოვრება? ნუ თუ მწერლობა არ უნდა იყოს გამომხატველი იმ ახალი კლასის ცინაობისა, რომელიც დღეს ენერგიით ალსავსე, ჰქმნის ახალ ცხოვრებას და ახალ საზოგადოებრიობას. მართალია პროლეტარული მწერლები დაადგენ შემოქმედების გზას მაგრამ რაც ეხლა კეთდება პროლეტარულ მწერალთა სახელით, სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ძლიერ სუსტია და ვერ არის გადმოცემა იმ ძლიერ სოციალური ნგრევისა და ახალი ცხოვრების შენებისა, რომელსაც დღეს განიცდის საქართველოს სინამდვილე.

აშკარაა, რამდენათ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხ-კაცობა ეკონომიურად მოღონიერდება, რამდენათ ინდუსტრია, ქალაქის წარმოება წინ წავა, იმდენათ მას მიეცემა სათანადო ძალა შემოქმედებისათვის.

ეს ხვალ. დღეს კი რა? ნუ თუ მხოლოდ დუმილი, პოეზიისა და მხატვრულ ლიტერატურის ერთ წერტილზე გაყინვა? ჩვენ აქ მხედველობაში არა გვყავს მუშათა კლასიდან გამოსული მწერლები. ისინი უკვე ქმნიან ახალ ღირებულებას.

ბურჟუაზია სასტიკად დამარცხდა. მის იდეოლოგიასაც ფრთები შეეკვეცა. ჩვენს ლიტერატურაში დარჩნენ სწორედ ეს „დამარცხებულნი“, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, გზა-ჯვარედინზე გაჩერებული მწერლები.

ბევრს მწერალს და ხელოვანს, შეუძლია დაახწიოს თავი ასეთ მდგომარეობას. ბევრს მხატვარს, შემოქმედს შეუძლიან გახდეს ოქტომბრის რევოლუციის „თანამგზავრათ“ და მოგვცეს ნამდვილი სურათი დღევანდელი სოციალური პროცესისა.

დღეს ბევრი ნიჭიერი მწერალი სდუმს. ჩვენ ეს დუმილი როდი გვახარებს, ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ ეს დუმილი დარღვეულიყო. საჭიროა ახალი სიტყვის თქმა, რევოლუციის სხივებით გამთბარის.

ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ ყველა საღად მოაზროვნე ქართველ მწერალს თავი შემოეკრიბა ჩვენი „დროშის“ გარშემო და ეწარმოებინა ის დიდი საქმე, რომელსაც ლიტერატურის სახით მშრომელი ხალხის სამსახური ეწოდება.




I

— Ну, залетаи!

— მოითმინეთ, ამხანაგო... ძალიან ბნელა.

— Заходи, говорят тебе!

ალექსი ირემაძემ ღრმად ამოიოხრა, გამბედაობა მოიკრიფა და წყვდიადში შეალაჯა. იმავე წუთს მის უკან კარები მოიხურა. მოისმა კლიტეს ჩხარაჩხური და მიმავალი დარაჯის მძიმე ჩექმების პათქა-ბუთქი, მერე ყველაფერი მიწყდა და მიჩუმდა.

უცებ შორიდან, ბნელი ორმოს ძირიდან მოისმა:

— ჰეი, რომელი ხარ მანდ?

ირემაძეს გაუხარდა. ჩავარდნილი ხმა ისევ იპოვა და ბებრულად დაიჩხავლა:

— მე ვარ... ტუსაღი. მიშველეთ, თუ ღმერთი გწამთ, გზა მასწავლეთ.

— არც ღმერთი მწამს, არც ეშმაკი.

— თუ ღმერთი გწამთ.—ჩაიხრიალა ისევ ირემაძემ.

— აკი გითხარით, ღმერთი არა მწამს მეთქი. მაგრამ მაინც გიშველით, თუ თამბაქო გაქვთ.

— თამბაქო წამართვეს.

— აი წაართვას მათ ეშმაკმა... ჰმ... ვინცხა ხარ ყური მიგდე. კედელს ჩამოჰყევი და ჩამოთვალე ოცი ნაბიჯი. ნელა, კიბე სველია. არ დაგორდე, თორემ ორმოში ჩავარდები. ჰა, მოდიხარ?

— მოვდივარ.—თან სთვლიდა: ხუთი...ათი... თხუთმეტი... ოცი. ეხლა, პირდაპირ წამოვიდე?

— გაჩერდი მანდ! არ წამოხვიდე, თორემ ჰაში ჩავარდები.

— რას ამბობ, ძმობილო, რომელ ჰაში? აქ რა უნდა ჰას?

— არ გაბედო მეთქი, თორემ დეიღუპები. შუა სარდაფში უძირო ორმოა ამოთხრილი. ორმო სავსეა გველებით, ხვლიკებით, ბაყაყებით და ჰინკებით. მარჯვნივ მოუარე და კედელ-კედელ წამოდი. ხელი არ მოაცილო კედელს. არ დაიღუპო. მოვდივარ საშველად. ჰა, სადა ხარ?

— აქა ვარ—ჩაიკნავლა ირემაძემ და აცახცახებული ტანით ზედ აეკრა სველ კედელს. თან ბუტბუტებდა:

— ღმერთი არა სწამთ?.. ეს რა უბედურებაა... ცოცხალი ადამიანის ჩაგდება უძირო ორმოში... გველების და ხვლიკების შესაჭმელად. ღმერთო დიდებულო, როგორ ბნელა!

და ფრთხილად, ფეხაკრეფით მიცოცავდა სიბნელეში, ხელფეხს აფათურებდა, ყოველ გოჯს ზომავდა და სინჯავდა.

ფრთხილად, ძმობილო, ფრთხილად, თორემ უბედურება დატრიალდება. დღეს დილით ერთი სომეხი ჩავარდა. ჰა, სად ხარ?

— აქა ვარ... მოვდივარ.

სიბნელეში, ერთმანეთს დაეტაკნენ და ხელიხელს მისცეს.

— გამარჯვება!

— ღმერთმა გაგიმარჯოს!

— აბა, მომყევი. ფრთხილად, კედელს ხელი არ მოაშორო.

ათიოდე ნაბიჯი გადადგეს.

— სამშვიდობოს მოვედით. აბა, დაჯექი და გვიამბე.

— დიდი მადლობელი... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. მიწა სველია, გავცივდები.

— მთელი სარდაფი სველია. დაჯექი, შეეჩვევი. ეხლა გვიამბე, რა ამბავია ქალაქში. ერთი თვეა ცა არ დამინახავს.

— მაცალე გენაცვა... წელან რომ სთქვი, დილას ორმოში სომეხი ჩავარდაო...

იქვე ვიღაცამ ჩაიხითხითა.

— აქ კიდევ ყოფილა ვიღაც.

— რას იცინი შე თათარო?—შეუტია პირველმა.—ერთი თათარია, ჯალილა ჰქვიან. რას იცინი მეთქი?

— თოგი... თოგმა ფეხი შეჭამა. ღმერთმანი შეჭამა.

— ჩვენს ღმერთს ნუ ფიცულობ. თუ გინდა ფიცი, მაჰმადი დაიფიცე. ვირთაგვამ ფეხი მოგჰამა? გუშინ ქუდი მომპარა. სოროში შეეტანა.

— ვაიმე!—დაიკნავლა ამ დროს ირემაძემ და წამოხტა: მუხლებზე უშველებელი ვირთაგვა შეახტა.

ორმა ტუსაღმა ისე გადიხარხარეს, რომ კედლებმა ზანზარი დაიწყეს.

— თქვენ გეცინებათ... შეჩვეულები ხართ... ზოგი მე მკითხეთ.—ბუტბუტებდა ირემაძე.

— დაჯექი, ძმობილო, დაჯექი. უნდა შეეჩვიო. ვირთაგვა ბულბულია გველებთან შედარებით. რაო? შეგეშინდა განა! არა უშავს რა. შუაში ჩაგვიწექი. აი ეგრე, ჯალილ, მანდედან გაუფრთხილდი ახალ სტუმარს. ჩვენ მოგივლით. რაო, სომეხი? ჰო, მართლა, დილას ფეხი დაუცდა და ჩავარდა. კედელს მიეკარი, ქვეით არ დაცურდე, თორემ... ჩავარდა და გათავდა. იმის ლეშს ახლა გველები და ჰინკები სჭამენ. რა სთქვი? ღრმა არისო? გეუბნევი, უძიროა მეთქი. აბა ყური დაუგდე. აი, პატარა ქვა უნდა ჩავაგდო. ერთი, ორი, სამი! გადავაგდე.—

ყველანი გაინაბნენ და ყური მიუგდეს. ათიოდე წამის შემდეგ ისეთი ყრუ ხმა მოისმა, თითქო კენჭი უძირო ორმოში ჩავარდაო.

— ღმერთო დიდებულო!—ამოიკვნესა ირემაძემ.

— ასთეა ძმობილო. კედელს რომ სამი ნაბიჯით მოსცილდე, სამ წუთში ჰაპაჩემთან გადასახლდები. ლეშის სუნით ვიხრჩობით.

ირემაძემ ცხვირი აათამაშა.

— მართლა ლეშის სუნი ტრიალებს. ვინ იცის რამდენი გაუბედურდა.

— მაგის ვინ დასთვლის. ყური მიგდე, ბიძიავ, აქაური კანონი უნდა გასწავლო. გამოგადგება. კარგად დაიხსომე: რასაც აქ ნახავ და გაიგებ, უეჭიდეს საიდუმლოებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შეინახო. თუ სადმე ხმა ამოგილია, გათავდა შენი საქმე: მაშინვე დაგიჭერენ და ამ ორმოში გიკრავენ თავს. გაიგე? კარგა დაიხსომე?

— ღმერთო მიშველე! გავიგე და დავიხსომე. დიდი მადლობელი დარიგებისთვის. ქალაქშიც გამიგონია, ვითომ თუ ვინმეს წამოსცდა რამე... ერთი სიტყვით, ბევრს ლაპარაკობენ აქაურობაზე.

— მართალი ულაპარაკნიათ, დამიჯერე. აქ ნანახი და გაგონილი სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლება. ყბედს ისე სჯიან, როგორც მოღალატეს და ჯაშუშს. ეხლა შენ იცი ბიძიავ. დანარჩენი შენი საქმეა.

— დიდი მადლობელი, გენაცვა, დიდი მადლობელი. სამადლობელო მომთხოვე. არც წინათ ვყოფილვარ ყბედი, ამ სიბერეში რაღა ღმერთი გამიწყრება.

— მართლა, ბიძიავ, ვინ ხარ და რისთვის გარჯილხარ? დროა ერთმანეთი გავიცნოთ.

— ირემაძე ვარ, გენაცვა, ალექსი ირემაძე.

— ალექსი ირემაძე! დამიდგა თვალი! რატომ აქამდის არ მითხარით, გენაცვალოს ჩემი თავი! ეი ჩემს შერცხვენას! ალექსი ირემაძე ამ სარდაფში?! ჩემი სილოვანის მამა! უიმე ჩემს თავს! ვაი მე უბედურს!

და უცნობი ყბედი სიბნელეში დატრიალდა, დაფაცურდა, აცქმუტუნდა, ხელებს აფათურებდა, თათარს უყვიროდა და უბრძანებდა:

— ჯალილ, ჩქარა! მოიტა შენი პალტო! აი ჩემი პალტოც. ქვეშ დაიგეთ, ბიძია ალექსი, თორემ გაცივდებით. რა ვუთხრა მერე სილოვანს! აქეთ, ბიძიავ, აქეთ მოიწით. უიმე დამიდგა თვალი! რატომ აქამდის არ მითხარით, ბიძიაჯან! კილამ ბიძია ალექსი ორმოში ჩავაგდე. ჯალილ! მოიტა პური, წყალი. რაო, პურიც გაათავე? ბოდიში, ბიძიავ, ათასი ბოდიში. პურიც ვერ მოგართვით. ვაი სად შევხვდი ჩემი სილოვანის მამას! მე ვინა ვარ? სილოვანის საუკეთესო ძმა და მეგობარი — კვაჭი კვაჭანტირაძე. დიახ, კვაჭი კვაჭანტირაძე გახლავართ! არ მიცნობთ? სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა. მე და სილოვანი ხუთი წლიწადი ერთად ვცხოვრობდით მოსკოვში. ვენაცვალე სილოვანს! იმისთანა ძმაკაცი ქვეყანაზე არ მოიძებნება. ეხლა გერმანიაშია, არა? ვიცი, ბიძიავ, ვიცი, რომ მიდიოდა, ქალაქში არ ვიყავი, თორემ უჩემოდ ერთ საათს ვერ გასძლებდა. მეც გერმანიაში ვაპირობდი წასვლას, მაგრამ ვერ მოხერხდა. ვენაცვალე სილოვანს. რა ყმაწვილია! რა ვიჟკაცია! საქართველოში ტოლი არა ჰყავს. ისეთი მეცნიერი გამოვა, რომ მთელ ქვეყანას აალაპარაკებს. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა ბიძია ალექსი. თუ გავმტყუნდე, ახლო ალარ მიმიკაროთ. ვენაცვალე ჩემს სილოვანს!

კვაჭი კვაჭანტირაძემ ათიოდე წუთში სხაპასხუპით აუწყო ირემაძეს თავის და სილოვანის ხუთი წლის მეგობრობა, საერთო ცხოვრება, სწავლა, არშიყობა, ბრძოლა, ციხე, გადასახლება, დაბრუნება და ათასი თავგადასავალი. ვინ იცის კვაჭიმ რამდენჯერ დასდო თავი სილოვანისთვის, რამდენჯერ იხსნა მან სილოვანი სამკვდრო ხიფათისაგან! მართალია, აგერ სამი წელიწადი გახდა რაც სილოვანს მისი გრომები გაჰყვა, მაგრამ ასეთ წვრილმანზე ლაპარაკიც არა ღირს. რამდენია? სულ რაღაც სამასი მანეთია. ნუ შეწუხდება ბიძია ალექსი. კვაჭი და სილოვანი გაუსწორდებიან ერთმანეთს, როცა სილოვანი დაბრუნდება.

მერე გამოირკვა შემდეგი:

ალექსი ირემაძე, პატივცემული პედაგოგი, ათი დღის წინათ გაჩხრიკეს და რაღაც პროკლამაცია უპოვეს. ალექსი გაჯიუტდა: ეს პროკლამაცია ვიღაცამ სახლში შემომიგდო, ხელში არავის მოუციაო, ამიტომ არავინ დაასახელა. გამომძიებელი დარწმუნებული იყო, რომ ალექსი პროკლამაციებს ავრცელებდა და, რადგან ალექსი არ გამოტყდა, სასჯელად ბნელ და ნესტიან სარდაფში ჩასვა. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი ყოფილა. ნამდვილად როგორ იყო საქმე? სულ უბრალოდ:

ხუთ აპრილს ალექსის ქალის ელენეს დაბადების დღე იყო. როგორც ყოველთვის იყო ხოლმე, ალექსიმ ეხლაც ვახშამი გამართა. ათიოდე სტუმარი ჰყავდა. დრო კარგად გაატარეს. დილის ექვს საათზე დაიშალენ.

ალექსი დაიხარა და კვაჭის ჩასჩურჩულა:

— ვიღაცამ მიჯაშუშა, ან იყბედა სადმე. მაბრალებენ: იმ ვახშამზე ის პროკლამაცია წაიკითხეო.

— მერე, ბიძიავ, მართლა წაიკითხეთ?

— აბა რა უნდა დაუმალო ჩემი სილოვანის ძმა-მეგობარს. მართლაც წავიკითხე. რამდენიმე ცალი მქონდა. სტუმრებსაც დავურიგე. დამღუპა ვიღაცამ.

მერე კვაჭი კვაჭანტირაძემ უამბო ალექსის თავის საქმე — უფრო მარტივი და უბრალო, ვიდრე ალექსის საქმე. გაზაფხულზე ღამის ორ საათზე წყნეთის ქუჩაზე ვიღაც სომეხი გაცარცვეს. ერთი თვის შემდეგ კვაჭს „სრულიად უმიზეზოდ" სტაცეს ხელი და ჩააგდეს ამ სარდაფში. ეკითხებიან, სად იყავი ხუთ აპრილს ღამის ორ საათზეო. კვაჭის არ ახსოვს. ბავში ხომ არ არის, რომ დღიური სწეროს. ერთი თვეა ფიქრობს და ვერ მოუგონია. სიკვდილით დასჯას ემუქრებიან. მისი ბინის პატრონი, იმისი ცოლი და შვილი დაჟინებით იმეორებენ: ძალიან კარგად გვახსოვს, რომ ხუთ აპრილს კვაჭანტირაძე სახლში არ ყოფილაო. ალბათ პირი შეჰკრეს, კვაჭანტირაძის დაღუპვა გადასწყვიტეს, რადგან სამივენი რეაქციონერები არიან, კვაჭი კი — მთელმა ქვეყანამ იცის — რევოლუციონერია. ციხეშიც იჯდა, გადასახლებულიც იყო. აი ნამდვილი მიზეზი მათი გადამტერებისა.

სასაცილოა! კვაჭი კვაჭანტირაძეს კაცის გაცარცვას აბრალებენ! ალბათ მთელი საქართველო იცინის. როგორ არა სილბისტრო კვაჭანტირაძემ იმიტომ დაახარჯა კვაჭის ერთი ურემი ოქრო და იმიტომ შემოატარა მთელი ქვეყანა, რომ კვაჭი კვაჭანტირაძე ყაჩაღი გამოსულიყო. ვინ? კვაჭი კვაჭანტირაძე? ხა-ხა-ხა! რატომ ქვეყანა არ გადაბრუნდება! ხა-ხა-ხა!

კვაჭი უცებ გაჩუმდა. ალბათ ფიქრმა გაიტაცა. ალექსიმ ჯალილას გაუბა ლაპარაკი დამწყვდეულთა ბედიღბალზე, „აქაურ" წეს-რიგზე და ორმოზე. უცებ კვაჭი სწვდა მას ხელში და თითქმის ატირდა:

— ბიძია, ალექსი, მიშველეთ, დამეხმარეთ.

— როგორ, შვილო, როგორ?

— ვენაცვალე სილოვანს, ბიძიაჯან, დამეხმარეთ, გადამარჩინეთ სიკვდილს. დედა მყავს მოხუცებული, და-ძმა გასაზრდელი. მეც ახალგაზდა ვარ, თქვენი სილოვანის ტოლი. რა დროს ჩემი სიკვდილია. ვიცი რომ არ ამცდება. დავიღუპე, თუ არ მიშველეთ. თქვენ კი შეგიძლიანთ ჩემი შველა, შეგიძლიანთ, შეგიძლიანთ... ბიძიავ, ბიძიაჯან...

ეროვნული სახელმწიფო



ვ. ი. ლენინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ცრემლით უსველებდა და უკოცნიდა ხელებს.

ალექსის გული აუჩუყდა. ჩუმად აკოცა შუბლზე, თმაზე ხელი გადაუსვა.

— მითხარი, შე უბედურო, მითხარი. თუ მართლა შემიძლიან, გიშველი, როგორ არ გიშველი... ქრისტიანენი ვართ, ძმები ვართ. სთქვი როგორ გიშველო?

— თქვენ ხუთ აპრილს გქონდათ ვახშამი, არა?

— ჰო, ხუთ აპრილს. მერე?

— მეც ხუთ აპრილს ჩავიდინე... ვითომ ხუთ აპრილს ღამის ორ საათზე გავცარცვე ის სომეხი. აქ უნდა მიშველოთ, ჩემო ბიძიავ, მოწმედ უნდა დამიდგეთ. სთქვით, რომ მეც დავესწარი იმ ვახშამს. ბიძიაჯან, ვენაცვალე თქვენს ჭალარას. ასე სთქვით. მერე ყმად გამიხადეთ თქვენც და სილოვანმაც.

— კეთილი, მაგრამ... ვახშამზე ათიოდე სტუმარი მყავდა.

— ეგ არაფერი, ბიძიაჯან. თუ მოინდომეთ, ყველაფერი გაკეთდება. ყური მიგდეთ... თქვენ დღეს თუ ხვალ გაგიშვებენ, უეჭველად გაგიშვებენ.

მშველელი და დამხმარე ბევრი გყავთ. როცა გახვალთ, დაუარეთ თქვენს სტუმრებს დაარიგეთ. ალბათ ზოგი მცნობს კიდეც. ნუ დამლუპავენ, მიშველონ. სიკეთეს ყველას გადავუხდი... მიშველონ. თქვენ რომ გახვალთ, ერთი კვირის შემდეგ მოვიგონებ, რომ ხუთ აპრილს თქვენთან ვიყავი.

— კეთილი, მაგრამ...

— მო მოითმინეთ, ბიძიავ, მომითმინეთ. სტუმრები ასე დაარიგეთ: სთქვან: იმ ვახშამს კვაჭი კვაჭანტირაძეც დაესწრო. ოცდახუთი წლისა ვარ, მაღალი, შავგვრემანი, თმახუჭუჭა, წვერმოპარსული, ულვაშ-შეკრეჭილი, ნიკაპზე ჭრილობის დაღი მაქვს. ნუ გეშინიათ, ვერავინ გაიგებს, რომ ჩვენ აქ შევთანხმდით. ჩვენ ორივეს სხვადასხვა გამომძიებელი გვყავს. არხეინად ბრძანდებოდეთ. ეხლა მიბრძანეთ, ვინ გყავნდათ სტუმრად?

— ვანო კალიაშვილი, ძუკუ ფიფია... ბესო გუგულია.

— გუგულიას და ფიფიას ვიცნობ, სხვები?

— პეპო ლომიძე, დარისპან შელიძე.

— ორივეს ვიცნობ, ბიძიაჯან, ვიცნობ. მერე, მერე?

— სილოვან შირაძე... მიხა ბერიშვილი... ტასო ალავიძე...

— ვიცნობ, ბიძიაჯან, თითქმის ყველას ვიცნობ!— იმეორებდა გახარებული კვაჭანტირაძე.

— კარგი, შვილო, კარგი. თუ გამიშვეს, ორ დღეში დავუვლი ყველას და დავარიგებ.

კვაჭი სიხარულით ცას ეწეოდა, ალექსის თავს დასტრიალებდა და არ იცოდა როგორ ესიამოვნებინა. ყვიროდა:

— ჯალილ, შე თათარო შენა! შენ არ იცი ვის ელაპარაკები. ამისთანა განთქმული და ნასწავლი კაცი საქართველოში არ მოიპოვება. თათრებს რომ ჰყავდეთ ასეთი კაცი, სულთანის ტახტზე აიყვანდნენ. ჯალილ! აქეთ მოიწიე, ბიძია ალექსი ორმოში არ ჩავარდეს, თორემ შენც თან მიგაყოლებ. ბოდიში, ბიძიაჯან, დიდი ბოდიში. ვერაფრით გასიამოვნებ. ვაი ჩემს თავს! სად შევხვდი ბიძია ალექსის! არც საჭმელი, არც სასმელი, არც თამბაქო. რა ვქნა, ბიძიაჯან! თუ მიშველეთ და გავედი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

— ნუ სწუხდები, შვილო. არა მიშავს-რა. ყველაფერს მოვითმენ. თავვები და ვირთაგვები მაწუხებენ, თორემ...

— ჯალილ, დატრიალდი! ერთი არ მოუშვა ახლო, თორემ ვაი შენი ბრალი. აბა!

— თით! თით თქვე ოხრებო!—იძახდა ჯალილა, მიწას ხელს უტყაპუნებდა და ქნაოდა: მიაუ... მიაუ... მიაუ...

თან ყველანი გულიანად იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ.

ჯალილ, უამბე შენი მარუსას ამბავი ბიძია ალექსის.— სთქვა კვაჭანტირაძემ და წინდაწინვე დაიწყო სიცილი.

ჯალილაც ხან იცინოდა, ხან ოხრავდა, თავის თავს დასცინოდა, ნიშნად სინანულისა შუბლზე ხელს იტყაპუნებდა და ამბობდა:

— ვაი ტუტუს! ტუტუს დალი ჯალილ! ვაი, ვაი, ვაი!

ბოლოს მაინც მოჰყვა თავის ამბავს.

ჯალილა საქართველოში გაიზარდა ხან მსახურობდა, ხან ვაჭრობდა, ხან აბანოს მოიჯარადრე იყო, თან ჩუმჩუმად რევოლუციას შველოდა და ოსმალეთსაც რაღაც დახმარებას უწევდა. სპარსეთშიაც იყო, სათთარხანის რაზმში, „უხელო ვლასა მგელაზემ" წაიყვანა. იქ დიდხანს იხეტიალა და ნადავლით დაბრუნდა. ადრიანოპოლშიც იყო, ჩატალჯაშიც იბრძოდა. ტრიპოლელ არაბებსაც მიეშველა, მაგრამ იტალიელებმა დაატყვევეს. ისევ ნადავლით დაბრუნდა და ვაჭრობას მიჰყო ხელი. სად იყო ჯალილა მსოფლიო ომის დროს? მას კარგად არ ახსოვს. მოკლედ სჭრის:

— ქოით ვიყავი, სოტა ფული ვიშოვე.

საით იყო „ქვეით"—რუსეთისკენ თუ ოსმალეთისკენ, ან როგორ იშოვა „სოტა ფული"—ჯალილა ამაზე ლაპარაკს ერიდება.

მერე ყარსში გაჩნდა, როცა რუსების ჯარი შინ მიდიოდა. ოსმალეებმა რომ ბათუმი აიღეს, ჯალილა ბათუმის „ახლო" იყო. ბაღდათის გმირი ხალილ-ფაშა რომ ტფილისში ჩამოვიდა, ჯალილა წინ დაუხვდა და „ყულლუღი" (სამსახური) გაუწია. ნური-ფაშასაც კარგათ იცნობს, ქიაზიმ-ბეისაც. ყველას „სოტა ყულლუღს" უწევდა. ყოჩაღი „ბიჩია" ჯალილა: ახალგაზრდა, ლონიერი. მარდი, მშრომელი, გამრჯელი. ღვინოს არა სვამს და ქაღალდს არ თამაშობს. მხოლოდ კონიაკს სვამს „სამლად", რადგან „სიებსხელება" სჭირს. მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს ჯალილს: რუსის ქერა ქალები უყვარს მეტისმეტად. ვინ იცის, ქერა ქალებმა რამდენჯერ წააგებინეს „ჩქუა" ჯალილას, რამდენი ანანეს, რამდენჯერ გაფხიკეს და გაცარცვეს! ბევრჯელ დასდო „ფისი", ახლო აღარ მიეკარებიო. მაგრამ „ფისი" ვერ შეინახა, ბოლოს მაინც ქერა ქალმა მოსტეხა ჯალილას შავი კისერი.

ერთხელ ჯალილა რომ ქუჩაში გამოვიდა, „კარების სინ" მზეთუნახავი ქერა ქალი დაუხვდა. ქალმა ჯალილას „ზალიან კარგი ფარსული" შალი შესთავაზა. ჯალილამ ქერა მზეთუნახავი სახლში შეიპატიჟა, შერბეთი და ტკბილეულობა მიართვა. ყველაფერი მოხდა: „სისილი", „კოსნა", ოხუნჯობა, დევნა-სირბილი, ალიაქოთი და აყალმაყალი. ტამბოველი მზეთუნახავი მაინც არ დანებდა. „ჯალილამ ორი ოქრო „აზლია": ვერც ოქრომ „გასჯრა". ქალმა „სიცილ ხარხარით" ოთახები გადაუბრუნა ჯალილას, იქაურობა აუქოთა, აუფორიაქა, სისხლი აუდუღა, „დასწვა" დაღალა, ოფლში „გაცურა" და... „გაიქსა". იმავე დღეს ჯალილა

ეროვნული ბიბლიოთეკა



წინანდლის სარდაფი.

ბნელ სარდაფში გადაასახლეს. თურმე ბლღარძუნში და ხვევნა-„კოცნაში“ ტამბოველმა „მარუსამ“ ჯალილას ერთი ქაღალდი ააცალა. ის ქაღალდი ჯალილას ხალიფ-ფაშამ მისცა. შიგ „ეცერა“: ჯალილა „ჩონი კასია“, მან თათრებს „ხალიან დიდი ყულლული ეყო“ და „ქომაგი მიესითო“. ასე ჩავარდა ჯალილა და „ქომაგს“ულის, მაგრამ მშვე-ლელი არსად სჩანს.

„ბიზია ხალიან კარგი კასია“, იქნება მართლა დღეს-ხვალ გაუშვან... ჯალილა ბევრს არაფერს სთხოვს: ასეთი დეპეშა რომ გაგზავნოს ბაქოში—„ყუზის ქეჩა მაჰმად ემინ-ოღლის... ჯალილა „ხალიან“ ავათ არის“... ჯალილა ამას სიკვდილამდის არ დაივიწყებს. მერე „ბიზიამ“ მოს-თხოვოს ჯალილას სამსახური და ერთგულება.

ჯალილა თან სთხოვს, თან მორცხვობს, ეთაკილება „უსნობი ბიზიას შეზუხება“. ბოლოს ამბობს:

— ბიზიავ, ფისი გაზლევ: თუ ალაჰმა კიდო მაჩონა სა და დედამისა, ყულლულს არ დაივისხებს ჯალილა. ებ-ლა მეტი არაფერი. ფისი მოვესი.

ალექსი ჰპირდება თხოვნის შესრულებას. ჯალილაც გუნებაზე მოდის. მოხსნა პირი ოხუნჯობას, გადმოალაგა მოლლა ნასრედინის ამბები, სთქვა ჩუმი და ტკბილი ხმით შიქასტა და ბაიათი, თან გული აიჩუყა და ცოტა ცრემ-ლიც გადმოყარა.

„მარუსას“ გახსენებაზე სარდაფში ისევ გაისმა სი-ცილი, მასხარობა და მხიარული ოხუნჯობა. ბოლოს ჯა-ლილამ ღრმად ამოიოხრა და სთქვა:

— ალლაჰ ილ ალლაჰ! ჩონ ვისინით. ალლაჰ კი ყო-ლაფერს ხედავს. იქნება ეშმაკი გამოეგზავნა: სადი, ოხერი ჯალილას სული მოიტანეო. იქნება ამაღამ ჯალილა ალ-ლაჰსთან სავიდეს... ალლაჰ, ილ ალლაჰ!..

ჯალილას სიტყვებზე ყველას პირში ნერწყვი გაუშრა, შესცივდა, ყველას ტანში კრუანტელმა დაუარა, ყველანი მიყუჩდნენ, მიჩუმდნენ და თავთავიანთ სულში ჩაძვრნენ.

დიდი ხანი გავიდა. არავინ იცოდა, შუადღე იყო თუ საღამო, გარეთ ციოდა თუ ცხელოდა, წვიმდა თუ მზიანობდა.

„თოგმა“ ჯალილას ქუდი მოსტაცა, ალექსის მკერ-დზე გადაურბინა, კვაჭანტირაძეს ფეხზე უკბინა. ხანგამო-შვებით ისმოდა კვაჭის ცრემლიანი ხვეწნა-ჩურჩული:

— ჩემო ბიძიავ, გენაცვალე ბიძიავ... შენი იმედით ვრჩები აქ... მერე შენი მონა ვარ, შენი ყმა...—

და „ბიძია“ ალექსის ბუტბუტი:

— ჰო, შვილო, ჰო. პირობას შევასრულებ. რაკი მაგისთანა მეგობარი ყოფილხარ სილოვანისა, ავრე მო-გივლია მისთვის და ძმად გაგიხდია...



მუკუზანის ვენახი.

კვაჭანტირაძეს ავონდებოდა ახალ-ახალი თავგადასავალი, სილოვანის გაჭირვება და მისი ძმური დახმარება.

უცებ კარების რახა-რუხი მოისმა. ყველამ ყური სცქვიტა.

— ალექსეი ირემაძე

— აქა ვარ! აქ არის! Здес.

— Вылетаи!

ყველანი დაფაცურდნენ.

— ბიძია, ჩემო ბიძიავ.. შენი იმედით ვრჩები... მხოლოდ შენი იმედით...

— ჰო, შვილო, ჰო: არხეინად იყავი. პირობას შეგისრულებ.

მშვიდობით იყავი, ჩემო კვაჭი. მშვიდობით, ჯალილ.

— მშვიდობით! მშვიდობით. ჯალილ, აქედან ძომიარე. ფრთხილად, ბიძიაჯან, ორმოში არ ჩავარდე, თორემ ყველანი დავილუპეთ.

ორივემ ალექსის ხელი წაავლეს და დიდი სიფრთხილით გააცურეს კედლის ძირში, მერე კიბეზედაც აიყვანეს.

— მშვიდობით! — ამოიკვნესა კვაჭანტირაძემ კიდევ ერთხელ და სიბნელეში ალექსის ხელზე მიადო ტუჩები.

— შვიდობით, ბიზია... არ დაგავისყდეს [illegible] ქუჩა, მაჰმად ემინოღლის... ჯალილა ზალიან ავათ არის.

— Ну вылетай! Чаво еще там разлюнилис!

— მოვდივარ, ამხანაგო, მოვდივარ.

ირემაძე გავიდა. კარები ისევ ჩაიკეტა. კვაჭანტირაძე და ჯალილა ისევ მიწვნენ თავიანთ კუთხეში, სველ მიწაზე, და ისევ გაჰყვნენ ტუსაღების ოცნებას: თბილი მზე... მხიარული ქუჩა... ხალხი ბუზივით ირევა... ლამაზი ქალები... მორთული ბინა... მეგობრები... ნათესავები... კარგი სადილი... და რბილი საწოლი...

II.

ალექსი ირემაძე ჩქარის ნაბიჯით მიცუნცულობდა და შეიპარა თავის სახლში. მისი ოცდაათი წლის ქალიშვილი ელენე სიცილ-ტირილით დაუხვდა. ერთმანეთს ისე ჩაეხუტენ, თითქო ალექსი საიქიოდან დაბრუნდაო. მამამ უამბო ელენეს, რომ ის მთელი დღე მშვენიერ ოთახში იჯდა, და დაუმატა:

— შვილო, ერთი ღვთისნიერი ადამიანი უნდა ვიხსნათ სიკვდილისაგან. ჩვენს სილოვანს ერთი გულითადი



წინანდლის სარდაფი შიგნით.

მეგობარი ჰყოლია, ვინმე კვაჭი კვაჭანტირაძე. ხუთი წელიწადი ერთად უცხოვრნიათ მოსკოვში, საპყრობილეში და ციმბირში. იმ კვაჭანტირაძეს ჩვენი სილოვანი მრავალჯერ დაუხსნია დიდი ხიფათისაგან. ის კვაჭანტირაძე რომ არ დამხვედროდა „იქ“, მეც ცოცხალი ვერ დავბრუნდებოდი „იქიდან“. ეხლა თვითონ კვაჭანტირაძე ჩავარდა ხიფათში. დახვრეტა მოელის: პატიოსანი და ღვთისნიერი ადამიანია. კარგად დამიგდე ყური, შვილო. თუ ვინცობაა გვკითხოს ვინმემ, უთხარი, ვიცნობთქო. ხუთს აპრილს, შენი დაბადების დღე რომ იყო, კვაჭანტირაძე ჩვენთან იყო ვახშმად თქო, დილამდის არ წასულათქო. მაღალი, 25 წლისა. შავგვრემანი, ულვაშგაკრეჭილი, ნიკაპზე ჭრილობა აქვს. კარგად დაიხსომე?

— კეთილი, მამაჯან, ვიტყვი. სხვა სტუმრები?

— ეხლავე დავუვლი ყველას და დავარიგებ. ერთად წავიდეთ, თუ გინდა.

— წავიდეთ.

წავიდნენ. იმ საღამოს და მეორე დღეს ყველას ჩამოუარეს და დაარიგეს:

მაღალი...შავგვრემანი...ნიკაპზე ჭრილობა აქვს. პატიოსანი და ღვთისნიერი ადამიანია.

ყველამ თანხმობა მისცა. მერე ალექსიმ ასეთი დეპეშა გაგზავნა ბაქოში: „...ჯალილა ძალიან ავათ არის. ირემაშვილი“.

რამდენიმე დღის შემდეგ კვაჭი კვაჭანტირაძე გამომძიებელმა დაიბარა. კვაჭი გახარებული შევარდა გამომძიებლის ოთახში და მიაძახა:

— მომაგონდა! მომაგონდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს ო ხ უ მ ი ს ბ უ ნ ე ბ ა.

— რა მოგაგონდათ?

— ძლიერ მომაგონდა, რომ ხუთ აპრილს საღამოს ცხრა საათიდან დილის ექვსამდის ვახშამზე ვიყავი ალექსი ირემაძესთან.— და დაწვრილებით აუწერა ის ვახშამი, ჩამოუთვალა ყველა სტუმარი.— ვასახელებ ალექსი ირემაძეს, მის ქალიშვილს ელენეს და ით სტუმარს. გთხოვთ ყველანი დაიბაროთ და გამოჰკითხოთ. დასწერეთ ოქმი.

ეს ამბავი კვაჭანტირაძემ ისეთი სიცხარით, გულწრფელობით და სიცხადით ასწერა, რომ გამომძიებელი შეყოყმანდა და აირ-დაირია. ოქმი დაიწერა, ხოლო კვაჭანტირაძე ისევ ბნელ სარდაფში ჩავიდა.



სოხუმი. ბოტანიკური ბაღი. ბანანების ხეივანი.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლა დაიბარეს დასაკითხავად ალექსი, ელენე და მათი სტუმრები. ყველამ შეთანხმებული ჩვენება მისცა, თითქო კვაჭანტირაძემ ღამე მართლა იმ ვახშამზე გაათენა:

კვაჭი კვაჭანტირაძეს! ვინ არ იცნობს კვაჭანტირაძეს!. ოცდახუთი წლისა, მაღალი, შავგვრემანი. ნიკაპზედაც ჭრილობა აქვს, არა?

— დ ალ, ჭრილობაც აქვს.

— ცხრიდან ექვსამდის ჩვენთან იყო. იმის მეტი არაფერი სჩანდა იმ საღამოს. იქაურობა აიკლო. იცეკვა, იმღერა, იქეიფა და იმხიარულა.

თორმეტმა კაცმა დაიფიცა, დაადასტურა და ოქმს ხელი მოაწერა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარში მარცხნივ.

გასწორდით საერთო მარშით,
ყბედებს ენას დაუსერ.
ჩუმათ ორატორო!
თქვენ გაქვთ
სიტყვა
ამხანაგო მაუზერ.
კმარა ძველ წესებით ორევა,
წარსული:—ადამ და ევა,
ჯაგლავ ისტორიას შეემთხვა მარცხი
მარცხნივ!
მარცხნივ!
მარცხნივ!

ლურჯ ხალათიანნო!
ფრთებით,
ზღვებს გადაშორდით მარდათ!
ან და,
იქნებ დიდ ხომალდებს პორტში,
მკერდი დაუჩლუნგდათ? მორჩით!
კმარა,
ბრიტანეთის ლომი
ბრაზით მაყეფარო, დაცხრი!
კომუნას ვერ მოსპობ, ომო!
მარცხნივ!
მარცხნივ!
მარცხნივ!

გალმა,
მთების იქით,
მოსჩანან მზიური ბაღები.
შიმშილის,
სიკვდილის ზღვის იქით,
დაარტყით უთვლელი დღეები!
მოგვადგენ მოსყიდულ რაზმებით,
მდუღარე ტყვიების ფარცხით—
ევროპა ყვირის გაბრაზებით!
მარცხნივ!
მარცხნივ!
მარცხნივ!

არწივის თვალი არ ჩაქრება,
წარსულთან კავშირს ვერიდებით,
და ქვეყნის
კისერს
ემაგრება
მძლე პროლეტარების თითები!
მკერდით წინ, ამაყათ, მოშვებით
ზეცას მიაფანტეთ დროშები,
მარჯვენით ვინ გაბედა? მარცხნივ
მარცხნივ!
მარცხნივ!
მარცხნივ!

ვ. მაიაკოვსკი.

# მუშური რევოლიუცია.

(მოგონებებიდან.)

I.

ოქტომბრის გარდატეხა სრულიად აუცილებელი ეტაპია რევოლიუციის განვითარებაში. ივლისში მუშათა სტიქიურმა გამოსვლებმა ყბედს და მკვეხარა კერენსკის მთავრობის წინაალმდეგ, გვიჩვენეს და დაგვიმტკიცეს, რომ რევოლიუციის გაქანება არ შეჩერდება ნახევარ გზაზე. ბურჟუაზიულ-შემთანხმებელი მთავრობა უნდა დაიმხოს და თავისი ადგილი დაუთმოს მუშურ მთავრობას. ბურჟუაზიის დიქტატურა უნდა პროლეტარიატის დიქტატურით შეიცვალოს.

„მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“—აი ლოზუნგი, რომელმაც ოქტომბრამდე დიდი მნიშვნელობა მოიპოვა.

მუშათა მასსების განთავისუფლების პროცესი ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენისაგან დაჩქარებული ტემპით მიდიოდა. ილიუზიები ილუპებოდა, ფაქტები რჩებოდა.

და აი სექტემბრის დღეები ქ. მოსკოვის საუბნო საბჭოთა არჩევნების, მოწმობდენ, რომ დიდი გარდატეხა მოხდა მუშებში და არა მუშებშიაც.

სექტემბრის არჩევნებმა, რომელიც იყო მომხდარი მენშევიკების მიერ ასე შეყვარებულ „ოთხკუდა“-ს სრული „დემოკრატიული“ წესებით, საერთო, სწორის, თანაბარის და ფარული საარჩევნო უფლებით—ჩვენს პარტიას მისცეს 51% ყველა საარჩევნო ხმების ხოლო მუშათა რაიონებიდან პროცენტი უფრო დიდი იყო და 65—70% აღწევდა. წვრილი ბურჟუაზიის ძირითადი პარტია—ესერების პარტია, რომელმაც ივნისში მოსკოვის ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს ყველა ხმების 60% მიიღო, ეხლა, სექტემბერში 10—15%-დე დაქვეითდა. მენშევიკებზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს, მათ შეაგროვეს მხოლოდ 5—8%.

მეორე მხრივ გაძლიერდა რუსეთის მეომარ ბურჟუაზიის უკიდურესი მემარჯვენე პარტია—კადეტებისა, რომელთაც იმ ჟამად შეაგროვეს, თუ მეხსიერება არა მღალატობს, 29%.

აი ეს ციფრები მჭერმეტყველურად ჰმოწმობდა, რომ მალე ამოვარდება ქარტეხილი, რომლის დროსაც ერთმანეთს დაეჯახებოდა ეს ორი—უკიდურესი მემარცხენე და უკიდურესი მემარჯვენე ძალა და ძლევამოსილი უნდა გამოსულიყო უკიდურესი მემარცხენე, რევოლიუციის პარტია.

შექმნილ მდგომარეობისა და ძალთა განწყობილების მიხედვით, ამხ. ლენინმა გენიალურის სისწორით პირდაპირ დასვა საკითხი ოქტომბერში: ჩვენ (ბოლშევიკები), რომლებიც ვსარგებლობთ უფართოესი მუშათა და გლეხთა მასსების თანაგრძნობით, ან უნდა **გამოვიდეთ ასპარეზზე და დავამარცხოთ** მტერი ან და დავიღუპებით, როგორც პროლეტართა მებრძოლი მასსის პარტია. ზოგიერთ ამხანაგების მერყეობისა, ყოყმანის და გაუბედაობის მიუხედავად, ამხ. ლენინმა, როგორც ყოველთვის, მაინც თავისი გაიყვანა და მისი გენიალური შორსმჭვრეტელობა აბსოლიუტურად გამართლდა კიდეც.

ასე გადაწყდა ოქტომბრის უდიდესი რევოლიუციის საკითხი. პირველი ნიშანი მისცა მშფოთვარე და აგზნებულმა პეტროგრადმა, მას მოჰყვა მოსკოვიც. ჩვენი მოგონებანი მოსკოვს შეეხება.

როგორ დატრიალდა საქმე მოსკოვში?

II.

თუ პეტროგრადში შედარებით იოლად ერთ ღამეში—ერგო გამარჯვება მუშათა კლასს, რომელმაც ზარბაზნების გრიალში, სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე ხელთ აიღო მთავრობის სადავეები, სამაგიეროდ რამდენად გაძნელდა ეს საქმე მოსკოვში, სადაც ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა და სრულ ერთ კვირას გაგრძელდა. აქ ჩვენ გაათორებული წინააღმდეგობა გაგვიწიეს ჩვენმა მტრებმა—ძველი მოსკოვის დიდი ტრადიციების ბურჟუაზიამ და მისმა ამყოლ-დამყოლებმა, რომელნიც მაშინ თავს იყრიდნენ მოსკოვის ქალაქის საბჭოს გარშემო. ჩვენს მხარეზე იყო მაშინ მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, სადაც ჩვენ მოვიზიდეთ უმრავლესობა, აგრეთვე საუბნო საბჭოები და საუბნო სათათბიროები. ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდა თეთრების ციხე-სიმაგრე—მოსკოვის ქალაქისსაბჭო. მოსკოვის საბჭო მომხრე იყო, რომ ხელისუფლება საბჭოებს გადასცემოდა და საამისოდ შესაფერ დროს უცდიდა. მოსკოვის საბჭოს წარმომადგენლები (ამხ. ნოგინი და სხვ.) მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ესერების ბელადებთან და მხედველობაში ჰქონდათ მათთან შეთანხმებულიყვნენ ხელისუფლებას უმტკივნეულოდ გადმოცემის შესახებ—პეტროგრადის ამბების შემდეგ.

მოსკოვის საბჭოს უნდა ეთქვა თავისი გადამწყვეტი „მუნიციპალური" სიტყვა და მართლაც სთქვა კიდეც ეს ისტორიული სიტყვა, თავის უკანასკნელ გამოსათხოვარ სხდომაზე 25 თუ 26 ოქტომბერს (ძველი წელთ-აღრიცხვით), რომელსაც მეც დავესწარი.

ეს ისტორიული სხდომა გახსნა მოსკოვის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა რუდნევმა. იმის გვერდით მოთავსებულიყო დიადი შეხედულობით და არა ნაკლებ დიადი წვერით მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე,—მინორი. რუდნევმა რამდენიმე სიტყვის შემდეგ, წინადადება მისცა „ბოლშევიკების" წარმომადგენლებს, გამოთქვან თავისი აზრი, როგორც მოვლენათა „ავტორებმა". ბოლშევიკების ფრაქციის ბელადმა ი. ი. სტეპანოვმა უპასუხა: არსებითად რომ ესთქვათ, პირველი საპროგრამო სიტყვა უნდა ეთქვა ესერების გაბატონებულ პარტიის წარმომადგენელს, მაგრამ, რაკი ისინი მორცხვობენ სიამოვნებით გამოვთქვამ ბოლშევიკების აზრს მით უმეტეს რომ საგაზეთო საქმეზე მივეშურებით (მაშინ ამხ. სტეპანოვი რედაქტორად იყო „მოსკოვის საბჭოს უწყებისა").

ამხ. სტეპანოვმა დინჯი, დარწმუნებული და ბოხი ხმით წარმოსთქვა თავისი ბრწყინვალე სიტყვა, რომელიც უმთავრესად ეხებოდა ესერებს და ნაწილობრივ—მენშევიკებსაც.

მომხდარი ამბების შეფასებისა და მუშათა კლასის ხელში ხელისუფლების გადასვლის აუცილებლობის და საჭიროების დასაბუთების შემდეგ, ამხ. სტეპანოვი მოუწოდებდა ამ „სოციალისტებს" და ეუბნებოდა, რომ მათთვის ჯერ ყველაფერი არაა დაკარგული, ჯერ კიდევ დაგვიანებული არ ა, რომ მუშათა მასებს ამოუდგნენ გვერდში, დამმორჩილდნენ მათს კანონიერ ნებისყოფას. ამ გადამწყვეტ მომენტში იყავით მშრომელი ხალხის მხარეზე, თორემ თქვენ მოექცევით კონტრ-რევოლუციის ბანაკში და საბოლოოდ დაიმარხებით, როგორც სოციალისტები. არჩევანი თქვენზეა —სთქვით თქვენი გადამწყვეტი სიტყვა.

თავისი სიტყვის დასრულების შემდეგ, ამხ. სტეპანოვი სწრაფად წავიდა, მერე მოჰყვა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა სიტყვები—ესერებისა, მენშევიკებისა, სახალხო პარტიისა, კადეტებისა და ს.-დ. ინტერნაციონალისტებისა. უკანასკნელის გარდა, ყველა ორატორები ერთხმად აცხადებდნენ, რომ პეტროგრადში აჯანყებაა, ანარქიაა და მოძალადე ბოლშევიკებს უნდათ ჩამოაგდონ არსებული, კანონიერი დროებითი მთავრობა და სხვა, მაგრამ ეს არ მოხდებაო! მოსკოვი ვერ აჰყვება ანარქიულ პეტროგრადის ფეხის ხმას, მან ნდობა უნდა გამოუცხადოს დროებითს მთავრობას, უნდა იბრძოლოს და გამოესარჩლოს მას. „გაუმარჯოს დროებითს მთავრობას" ერთხმად შემოსძახეს ამ „სოციალისტებმა", რა თქმა უნდა კადეტებთან ერთად. „ძირს მოღალატე დროებითი მთავრობა!"—შესძახა ს.-დ. ინტერნაციონალისტმა ამხ. გოლჰერინმა, რის პასუხადაც გაისმა ყვირილი: „პროვოკატორი! გერმანიის ჯაშუში!". ერთმა სახალხო პარტიის წევრმა კი მახსოვს, სევდიანი კილოთი წარმოსთქვა „აი, ჩვენ აქ ვლაყბობთ, ბოლშევიკები კი თავის საქმეს აკეთებენ. აბა, გადაჰხედეთ ბოლშევიკების ცარიელ სკამებს". მართლაც 20—22 ხმოსნისაგან, ინფორმაციისათვის იყო მოსული მხოლოდ 2—3 ბოლშევიკი. საქმე აურებელი გვქონდა და საპარლამენტო ყბედობისათვის არ გვეცალა.

მოსკოვის საბჭომ სთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა. თებერვლის „სრულიად სახალხო" რევოლუციის კერიდან, ოქტომბერში ის ერთბაშად გადაიქცა წმინდაწყლის კონტრ-რევოლუციის ბუნაგად. ამ დამპალი ცენტრის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ეწარმოებინა მოსკოვის მუშათა უბნებს. ასეც მოიქცნენ. მუშათა უბნებში რახანია მუშაობა დუღდა, მზადება იყო გადამწყვეტ ბრძოლისათვის. მუშები თავისი ინსტიქტით, თავისი პროლეტარული ალღოიანობით, წინადგრძნობდენ, რომ მათ მოუხდებათ ბურჟუაზიასთან შებმა და თავის წითელგვარდიელთა რაზმების შედგენის დროსვე ემზადებოდენ ამ ბრძოლისათვის. სურათის გამოსარკვევად ჩვენ ეხლა გავყვეთ იმ დროისათვის ფრიად მნიშვნელოვან „ზამოსკვორეჩიე"-ს უბანს, სადაც ამ სტრიქონების დამწერი რამოდენიმე წელიწადს მუშაობდა.

III.

ზამოსკვორეჩიის ცენტრად გვქონდა პატარა სასადილო, მცირე სერპუხოვის ქ. 28, რომლის გარშემოც ჯერ კიდევ საიდუმლო მუშაობის დროიდანვე (1915—16 წ.) თავს იყრიდნენ ბოლშევიკური და მათი თანამგრძნობი ძალები. თებერვლის რევოლუციის დღიდან, იქვე მოთავსდა ბოლშევიკების ზამოსკვორეჩიის საუბნო კომიტეტი. ამ უბნის მუშებმა კარგად იცოდნენ ეს სასადილო და ხალისიანად დაიარებოდენ იქ. ეს იყო მათი საყვარელი თავშესაყარი ადგილი, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში. ოქტომბრის რევოლუციის ორი-სამი კვირის წინად, ეს სასადილო გაჭედილი იყო ხოლმე ბოლშევიკ-მუშებით. სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა. საღამ-საღამოობით კი ეს მყუდრო სასადილო სამხედრო ბანაკად გადაიქცეოდა ხოლმე. ჩვენი წითელგვარდიელები აქ ვარჯიშობდნენ და განუწყვეტლივ აჩხაკუნებდენ ჩახმახებს, იატაკზე წაწოლილნი, თითქოს ბრძოლისთვის ემზადებიანო.

აქა-იქ საყვედურიც კი გაისმოდა ხოლმე მებრძოლ პროლეტარებისა: „რაღას ვაყოვნებთ, რატომ არ გამოვალთ. თეთრგვარდიელები, იუნკრები და სტუდენტობაც კი ემზადებიან და იარაღდებიან, ჩვენ კი დამშვიდებით

შევყურებთ ამას". მართლაც ასე იყო. იმ დროს, როდესაც ამხ. ნოგინი მოლაპარაკებას აწარმოებდა რუდნევთან, პოლკოვნიკი რიაბცევი თავს უყრიდა ჯარს და აიარაღებდა თეთრგვარდიელებს. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პარტიულ მასსაში. ერთხელ—ეს, მგონი 24 თუ 25 ოქტომბერს იყო—ამხანაგებმა სასწრაფო საზოგადო კრების მოწვევაც კი მოითხოვეს, იმის გადასაჭრელად თუ როგორ მოვიქცეთ მომავალში. მოსკოვის პარტიული კომიტეტი მაშინ ჯერ არ იძლეოდა შეტევაზე გადასვლის დირექტივებს და მასის სულისკვეთება სწორედ ასეთი იყო. ზამოსკვორეჩიის ამ საუბნო კრებაზე ბევრი ამხანაგი მუშა მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეტევაზე გადასვლას და დაადგინეს კიდეც. დელეგაცია გავგზავნეთ მოსკოვის კომიტეტში და გადაჭრით მოვითხოვეთ საამისო დასტური. ამ დელეგაციაში შედიოდენ უფრო მეტად მებრძოლი ამხანაგები.

თურმე ასეთივე ამბები ხდებოდა სხვა უბნებშიაც და მოსკოვის კომიტეტისაკენ დაიძრა დელეგაციები.

მოსკოვის კომიტეტმა თავის სხდომაზე, საუბნო წარმომადგენელთა თანდასწრებით, გადასწყვიტა გამოსვლა, და მოსკოვის მუშათა მასასაც მოუწოდა, მით უმეტეს, რომ პეტროგრადიდან სასიხარულო ამბები მიეღო.

IV

როდესაც უმაღლეს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოს დადგენილება მიიღეს, პარტიული მასსები უბნებში ალფროთოვანდნენ. ეს იყო 26 ოქტომბერს. ზამოსკვორეჩიის უბანში გადმოვიდნენ რედაქციები „სოციალ-დემოკრატ"-ისა, „მოსკოვის საბჭოს უწყება" და ჩვენი საუკეთესო ამხანაგები: ბუხარინი, მიხ. ოლმინსკი, ი. ი. სტეპანოვი, მ. პოკროვსკი. ცენტრის ვარაუდით, მთელი სიმძიმე ოქტომბრის რევოლიუციისა მუშათა უბნებს დააწვებოდა, და, თუნდაც ცენტრში საქმე კარგად არ წასულიყო, უბნებში მაინც შევინარჩუნებდით უჯრედებს და ბრძოლას განვაგრძობდით. ცენტრში შეიქმნა „მოსკოვის სარევოლიუციო კომიტეტი", რომელშიაც შედიოდნენ: ამხ. ლომოვი, უსკიევიჩი, ვედერნიკოვი და სხ. უბნებში დაარსდა—„საუბნო სარევოლიუციო კომიტეტები". ზამოსკვორეჩიის რევოლიუციონურ კომიტეტში მოჰყვა: ამხ. ი. კოსპორი, ილია წივწივაძე, ბორის ვოლინი („რაბოჩაია მოსკვა"-ს რედაქტორი); მდივნებად—ამ სტრიქონების დამწერი და ამხ. გურევიჩი (მელითონეთა კავშირის მდივანი). პატარა სერპუხოვკაზე არსებული ბინა შეუფერებლად ვსცანით და გადავწყვიტეთ სხვა ბინაზე გადასვლა. წავიღეთ იქიდან ყველა პარტიული საბუთები, სახლებში მივმალ-მოვმალეთ. ახალი ბინა ავირჩიეთ კალუგის მოედანზე. სასადილო დავტოვეთ წითელ-გვარდიელთათვის სურსათის და საჭმლის მისაწოდებელ და კრებების ადგილად.

პეტროგრადში ამხ. ლენინის მეთაურობით სახალხო კომისართა საბჭოს დაარსების ამბავმა უზომოდ გაგვახარა და ამხ. ბუხარინი სიხარულით ხტოდა. ჩამოურბინა სასადილოს და ყველას უამბო ეს სასიხარულო ამბავი. შემდეგ კი, როგორც ლიტერატორი, მიუჯდა მაგიდას და დაიწყო წერა მორიგ საომარ ფურცლისა.

კარგა დაღამებული იყო, როდესაც სასადილოდან გამოვედით (5-7 კაცი) და ახალი ბინისაკენ გავემართეთ. სერპუხოვის მოედანზე თვალი შევასწარით შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფს. მათ შორიდანვე იკითხეს ჩვენი ვინაობა. თურმე, ესენი იყვნენ ჩვენი „ამხანაგები" კომერციული ინსტიტუტიდან—თეთრი სტუდენტები, დიდის ნებიერი შვილნი, რიაბცევისა და რუდნევის შეიარაღებულნი, რომელთაც, რა თქმა უნდა, სრულებით არ იცოდნენ იარაღის მოხმარება. ჩვენ თან გვახლდა თავით ფეხებამდე შეიარაღებული ტერორისტი მაქსიმალისტი ვინმე მაქსი, რომელიც სწორედ ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში გამოცოცხლდა, სიხარმაცე და უხალისობა მთლად დაეკარგა, რაკი საომარი საქმე გაუჩნდა. მაქსი მაშინვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, ორჯერ თუ სამჯერ ისროლა მაუზერი და ერთბაშათ იქვე დააწვინა ორი სტუდენტი, რის შემდეგაც ეს სტუდენტები (80-დე იყო) გაიფანტნენ. მაშინ ჩვენ ვუბრძანეთ, ჩვენ გამოვყვოლოდნენ, დავატყვევეთ ისინი და კომისარიატში წავიყვანეთ.

ეს იყო პირველი საომარი ნათლობა, ეს იყო გამარჯვების პირველი მერცხალი. ჩვენ გავსწიეთ კალუგის მოედნისაკენ.

V.

ახალ ბინაზე მისვლისთანავე შევუდექით ჩვენი საქმის ორგანიზაციას, გავმართეთ სხდომა, შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა, ბრძანებაში გამოვაცხადეთ ზამოსკვორეჩიის საუბნო რევკომის დაარსების ამბავი და მოვუწოდეთ მუშებს, რომ უსიტყვოდ დამორჩილდნენ მას და შეტევაზე გადასულიყვნენ ბურჟუაზიისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ.

რა ძალა და საშუალება იყო ჩვენ ხელთ? ჩვენა გვყავდა წითელი გვარდია 1000 კაცისაგან შემდგარი, აღჭურვილი ვაზნეში სიმონოვის თოფხანიდან, მცირეოდენი პურის მარაგი № 3 ფურნიდან და ჩვენი პატარა სასადილო. წითელგვარდიელები თავგამოდებით და აღფრთოვანებით იბრძოდნენ. ოქტომბრის რევოლიუცია არსებითად იყო წითელგვარდიელთა, სატახტო ქალაქის ნამდვილ მუშათა რევოლიუცია. საომარ მოქმედებას 27 ოქტომბერს შევუდექით. ამ დროს ჩვენთან მოვიდა ვიღაც ძველ ტანისამოსში და გვთხოვა მიგვეღო ჩვენს მუშაობაში. ჩვენს შეკითხვაზე თუ რა საქმე იცის, მან გვიპასუხა, რომ კარგად იცის ზარბაზნით მიზანში ამოღება. ჩვენც მივიღეთ და ზარბაზანზე დავაყენეთ.

კალუგის მოედანზე შეტევის დროს მიზანში ამოიღო და ერთი სროლით მისცხო „ვასილი ნეტარის" ტაძარს, რამაც გამოიწვია ამხ. ლუნაჩარსკის ერთგვარი უკმაყოფილება.

უპირველესად ალყა შემოვარტყით ალექსანდრეს ყოფილ ყაზარმებს, სადაც იუნკრები შეკეტილიყვნენ, და დავატყვევეთ ისინი. ამის გარდა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფრონტი იყო ქვის ხიდი, რომლის გადაღმაც მოთავსებული იყო მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბი, სადაც თავი მოეყარათ თეთრგვარდიელთა ბანდებს. იქ გაჩაღდა თავგანწირული ბრძოლა. იქ განიგმირა ამხ. ლიუსიკ ლისინოვი, ტფილისელი ახალგაზრდა ინტელიგენტი ქალი, რომელიც თავდადებული იყო ჩვენი საერთო საქმისათვის. აქვე დავკარგეთ ახალგაზრდა 20 წლის მუშა პეტრე დობრინინი, საუცხოვო მებრძოლი ჭაბუკი, რომელიც სამჯერ იყო დაჭრილი, მაგრამ მაინც ეტანებოდა ყველაზე უფრო სახიფათო ადგილებს, სადაც მოკვდა კიდეც გმირული სიკვდილით.

ამ ორმა სიმვოლიურმა მსხვერპლმა უფრო გააფთრა წითელგვარდიელები და ისინი კბილების ღრჭენით იბრძოდნენ ბოლომდე.

ვერნებ 29 ოქტომბერს ღამეს სრულიად რუსეთის რკინისგზელთა ბედშავმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მოგვცა, დროებით ზავი ჩამოგვეგდო: ჩვენც დავთანხმდით ამაზე და შესაფერი ბრძანებაც გავეცით ბრძოლის შესაჩერებლად, მაგრამ ფაქტიურად ეს ბრძანება სისრულეში ვერ მოვიყვანეთ.

მუშები თავშეუკავებლად მიიწეოდნენ ბრძოლაში და ბურჟუაზიასთან არავითარი დროებითი ზავის ჩამოგდება არა ჰსურდათ, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ეს იყო ცბიერი ვერაგობა თეთრ გვარდიელებისა, ბრძოლა გრძელდებოდა და მხოლოდ 2 ნოემბერს, როდესაც მტერი საბოლოოდ გატყდა და გამოგვიცხადა, რომ წინააღმდეგობას აღარ გაგვიწევს, მუშებიც დაწყნარდნენ, სრული გამარჯვების მოპოების შემდეგ.

ეს გამარჯვება მოსკოვში იოლად არ გვერგო, საუკეთესო ამხანაგები დაეცნენ მოსკოვის ქუჩებში. მაგრამ მოსკოვი მათ აქციეს წითელ მოსკოვად, პროლეტარულ რევოლიუციის დედა-გულად... ეს მოახდინა ოქტომბერმა.

ვიყვნეთ დარწმუნებული იმაში, რომ მსოფლიო დიდი ოქტომბერი ამასვე მოახდენს პარიზში, ლონდონში, ბერლინში, და თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს სხვა ქალაქებშიც.

ისტორია ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს და თავის საქმეს ჩინებულადაც ასრულებს.

მ. კახიანი.

---

# ოქტომბერით.

ჩვენ შევიჭერით შემოდგომის მიდამოებში:
ყვითელ ფერებზე ცეცხლის ფერებს ვათამაშებდით,
ეგე სულები-ფიოლეტი ჩაგვისხდნენ გზებში
და ჭაობების ბალახივით ფეხქვეშ ვიგებდით.

—

ჩვენ მოვეელვინეთ ამ სამყაროს გარიბალდები,
ყაჩაღებივით დავედევნეთ წინაპართ სულებს,
ცხრა მთების იქით გადავდენეთ შავი ლანდები,
რომ ოქტომბერით მოგვეელხინა ჩვენ თავისუფლებს.

—

ჩვენ პომპასუპი გავიარეთ ბრძოლის ყიჟინით
და მოვიტაცეთ ოქტომბერი ქაჯეთის ტყიდან.
ასეთი იყო ათას ცხრაას ჩვიდმეტის ქინი
და ეს მეოცე საუკუნეც ჩვენსკენ ითვლიდა.

—

დღეს შემოდგომა ოქტომბერით ზამთარს გაუძლებს,
გახავსებულიდან გადმოვენერგეთ აქ მზის სხივები,
ძლიერ ოქტომბერს მომავალი გზებსა დაუცლის
მათ მზე გვირგვინებს თავს დაადგამს სხივთა მძივების.

სანდრო ეული.

# გზა ზეიმისაკენ.

მუდამ რაინდულ მუშაობის სისხლით
იყო მორწყული ეს გზა სავალი,
შორს იყო ეს მზე, ეს განთიადი,
შვების ტაძარი და ალსავალი...

მუშათა ზურგი იზნიქებოდა,
მთლად ქვეყნის „ცოდვა“ რომ ედო ტვირთად,
და გულში, გულში „წითელი სევდა“
ძალას იკრებდა მრისხანე ზვირთად.

და მან ნაკადათ რომ გადმოხეთქა,
გადიქცა ტალღათ ცეცხლის, წითლის,
წალეკა ტანჯვა, კვნესა, ქვითინი,
ჭუჭყი და შმორი ამ ქვეყნის, მთელის.

სისხლით ნალეკი, ძვლებით ნაკენჭი,
მტერმა რომ ქვიშა გამოგვილია,
დღეს გზა საფრთხილო და სახიფათო
ჩვენ მიერ თითქმის გამოვლილია...

გამოვატარეთ ტანჯვის ემბლემა
და შვების დროშად გავშალეთ იგი,
დღეს მის წინაშე უკვე ქედს იხრის
მტერთა ბანაკშიც მრავალი რიგი...

და დღეს ოფლით ვსწმენდთ ამ გზას, ჩვენეულს,
მზემ ზედ მოგვივლო ოქროს ვარაყი,
რადგან დღეს წელში არ ვიზნიქებით
და ჩვენი დროშაც არის ამაყი...

და ზოგან კიდევ თუ სადმე დაგვრჩა
ჩავრის და ტანჯვის საკურხეველი,
მას დავემუქრეთ ჩვენ უკვე შორით,
და არც დაგვრჩება დაურღვეველი...

და შორს გაისმის ჩვენი სიმღერა,
ჩვენი გუგუნი, ჩვენი მაყრული,
მას თან მიჰყვება ჩვენი მტრებისთვის
რისხვა, სიკვდილი და დასასრული...

და იმავ გზაზე მზეს თან მოჰყვება,
ცხოველმყოფელი ნაკადიც მისი,
და დასასრულზე ისევ აღსდგება
სხვა განახლება, სხვა დასაწყისი...

თავს დაადგება ახალს სამყაროს
იგი ერთ ჯილათ და ერთ გვირგვინათ:
მის ქვეშ იბრწყინებს შრომის სასახლე
და შიგ ცხოვრებაც იქცევა ლხინათ...

ნ. ზომლეთელი.



# ეგნატე ნინოშვილი.

(მისი თხზულებათა სრული გამოცემის გამო).

1.

გურიის სოფლის ყოფა-ცხოვრება, აი რა იყო ეგნატეს მხატვრული შემოქმედების ერთად ერთი სატრფიალო საგანი. ის ამ სფეროს არ გაშორებია. როგორც სხვა ყველაფერი ისე, ცხადია, გურიის სოფლის ყოფა-ცხოვრებაც ცვალებადობის კანონს ემორჩილება დროსა და სივრცეში. და აი ეგნატეც თავისი ძლიერი ნიჭით ამ ცვალებადობის პროცესს გვიხატავს.

გურიის ყოფა-ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებიდან დაწყებული ვიდრე ამავე საუკუნის 90-იან წლებამდე ე. ი. ნახევარი საუკუნე, აი ჩვენი ხალხის ისტორიული ხანა, რომლის ფარგლებში ისე ფრთა გაშლით დანავარდობს ეგნატეს ფანტაზია და უხვად ჰკრეფს მარგალიტებს.

ეს საერთოდ მთელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების ის ხანაა, როცა ძველი პატრიარქალურ-ფეოდალური, ბატონ-ყმური საზოგადოება იხრწნება, კვდება და მის ნაცვლად ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოება ისახება და იბადება. ეს ჩვენებური ბურჟუაზიული საზოგადოების დაბადების პროცესია. ამ ხანის გურიის ყოფა-ცხოვრება ეს მხოლოდ კონკრეტიული სურათია ამ ხანის მთელი საქართველოს ხალხის ყოფა-ცხოვრების.

საგანი მეტად რთული და დიდმნიშვნელოვანია.

ეგნატემ ღირსეულად შეასრულა თავისი დანიშნულება. მან მოგვცა ამ საგნის სრული, და დიდათ ხელოვნური ნახატი, მაგრამ ის ამ მშვენიერებას როდი ჰქმნიდა ისე, ვით მგალობელი „ფრინველი გარეგანი—ტკბილ ხმებს", რომ არაკრაკებს ხოლმე!

არა, ის ჰქმნიდა მას, ვით მგოსანი, რომელსაც „ჩანგი მისთვის უნდა" და ამ ჩანგის სიმები „იმისთვის უნდა ააჟღეროს", რომ „სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოს აზრი წმიდა, გულს სიწრფელით ახურვებდეს!"

ეგნატეც ასე მოიქცა: მოიმარჯვა მან თავისი მეტათ მახვილი და მჭრელი ყალამი, გაითვალისწინა გონებაში თავისი მდიდარი მხატვრული ფანტაზიით გურიის სოფლის მთელი ყოფა-ცხოვრება და გამოგვინაკვთა, გამოგვიკვეთა ის თვალწარმტაც სურათებად, სახეებათ, ტიპებით და სცენებათ.

2.

რა „სიმართლეს" ემსახურა ის ამით, „რა წმიდა აზრი განამტკიცა" და რაოდენათ შესძლო მან თავისი მხატვრული შემოქმედებით მკითხველთა გულის „სიწრფელით გახურვება?"

ყველა მის მიერ დახატული სურათები, სახეები და ტიპები მკითხველს ერთ დიად სიმართლის იდეას უნერგავს. სოფლის პატიოსანი მშრომელი გლეხი, მამაკაცია ის, თუ დედაკაცი საშინლათ იჩაგრება, „უსამართლოთ ისჯება" სოფლის ცხოვრებაში ახლათ შემოჭრილი ძალის. კაპიტალის, ე. ი. ფულის ბატონობით. (დავით დროიძე და მისი შვილი ტიტიკო) და მეორე—მეფის თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული რეჟიმით და თვითნებობით. (ბოქაული, სტრაჟნიკი, მამასახლისი და ამათი „განკარგულება" და ძალმომრეობა).

მესამე—ძველი პატრიარქალური და ფეოდალური ბატონყმური ნაშთებით, რომლებიც გახრწნილ ლეშათ გადაქცეულან და ნორჩ საზოგადოებრივ ორგანიზმს დაუზოგავად სწამლავენ. (ტარიელ მკლავაძე, ისონ უქმიაშვილი, ლევან კნიაზი, მანუჩარ არწივაძე, ჯერონ, ჯერანის დედა და და, ელიზბარ თაფლაძე).

იჩაგრება და „უსამართლოთ ისჯება" ამათგან არა მარტო მშრომელი გლეხი (გოგია, კაცია, სიმონა, ქრისტინე, ლიზა, დარიკო და ვარდიკო) არამედ კიდევ უფრო მეტად იჩაგრება და იტანჯება ამ მშრომელი მასის მოსარჩლე, სოფლის მასწავლებელი, რომელიც ამ მასის ჭირ-ვარამის მოზიარეა, იდეური თანამებრძოლი, სოფლის შეგნებული მასწავლებელი, რომელიც შრომის თავისუფლების მოციქული გამხდარა. (სპირიდონ მცირიშვილი და დესპინე).

გლეხის ოჯახს ყველა ამ საზარელ უბედურებათა გარდა „კბილის მატლივით" შეძრომია ბურჟუაზიული კულტურის ნალეკი—ეროტომანი, პროსტიტუციით გაქლენთილი ტიპი და სოფლის სიწმინდის წიაღში შხამსა და ბალღამს ანთხევს. (კოტე მამალაძე).

ერთი სიტყვით, ეგნატე ყოველი თავისი ზემოთ დასახელებული მხატვრული ქმნილებით ერთ დიდ იდეას ღრმათ გვინერგავს, ერთი იდეით ჩვენს გრძნობა-გონებას ერთიანათ ჰბოჭავს და იპყრობს: იჩაგრება და „უსამართლობით ისჯება" გლეხი, როგორც მუშა, მისი სულიერი და ნივთიერი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება, მისი ძველი ზნეობა ჰქრება და უზნეობა, გაბოროტება ისადგურებს მის სულსა და გულში. ყოველივე ამის მიზეზი ნატურალური წარმოების საქონლის წარმოებით შეცვლაა ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით—ახალი პოლიტიკური ძალის შემოსვლა, ახალი მეფის თვითმპყრობელური ბიუროკრატიული რეჟიმის შემოღება საქართველოში. (ამ მეორე მხარეს ეგნატე გვისურათებს თავის ისტორიულ რომანში „სამწუხარო შედეგში",—რომლისთვისაც დღემდე არც ერთ ჩვენს კრიტიკოსს ყურადღება არ მიუქცევია სამწუხაროთ). აი ეს არის იმავე დროს „აზრი წმიდა", აზრი ობიექტიური, სისწორით, უმეტნაკლებოთ გადმოცემული სინამდვილე, რომელიც კიდევ უფრო „განამტკიცებს" ჩვენს აზრს, ჩვენს სოციალურ მსოფლმხედველობას, და რომელიც მართლა და პროლეტარული გულწრფელობით „ახურვებს" ჩაგრულისადმი ჩვენს სოლიდარობას. იგი უფრო ღრმათ და შემბოჭველათ მოქმედებს ჩვენს გრძნობა-გონებაზე, ვიდრე რომანტიული, სანტიმენტალური, გინდ სიმბოლისტურ-მოდერნისტული სალებავებით შეთითხნილი ვითომ და მაღალ-მხატვრული ნაწარმოებნი.

3.

რეალიზმი და ნატურალიზმი მხატვრობაში ისე, როგორც სიმბოლიზმი ჰკარგავს ძალასა და მნიშვნელობას, მაშინ როცა ის მოკლებულია იდეურობას, როცა მხატვარს წინასწარ ნათლათ გარკვეული, შეცნობილ-შეგრძნობილი არა აქვს, თუ რა იდეა უნდა განასახიეროს. ხელოვანი, რომელიც მოკლებულია იდეიურობას ემსგავსება ფოტოგრაფს, რომელიც სხვისი აზრით, სურვილით და გემოვნებით ხელმძღვანელობს თავის მხატვრობაში და რომელიც მოკლებულია საკუთარ აზრს, იდეას. ხოლო თუ მხატვარი ცდილობს იდეიური იყოს, მარა ზოგჯერ იდეა თვითონვე გარკვეული არა აქვს ან და თავის წინასწარ აღებულ იდეის გამოსახატავად იგი თავის სამხატვროში ამ იდეის შესაფერ ფორმებს ვერ პოულობს, მაშინ იგი „ტენდენცი-

ურობით" ავათმყოფდება, წინააღმდეგობაში ვარდება და „ლობე-ყურეს ედება" ხოლმე.

ასეთი იდეურობით იყო, მაგალითად დაავადმყოფებული, გ. პლეხანოვის ანალიზით, ისეთი მაღალ ნიჭიერი მხატვარი, როგორიც იყო ცნობილი დრამატურგი ჰენრიკ იბსენი.

ბევრს ჰგონია, რომ ეგნატეც იყო შეპყრობილი ამ სენით.

არც ერთი მისი მოთხრობა, მის მიერ დახატული სურათი და სცენა ამას არ ამტკიცებს. პირიქით, გაოცებას ეძლევით, როცა ერთი მხრით ეგნატეს მსოფლმხედველობას ეცნობით, ეცნობით რევოლიუციონიზმით აღზნებულ მის ხასიათს და მეორე მხრით ნათლათ ხედავთ, რომ იგი თავის მხატვრულ შემოქმედებაში არსად იოტის ოდნავ სინამდვილეს არ ღალატობს, გმირების და ტიპების მოქმედებაში ბუნებრივობას იცავს და არსად ნაძალადევობა არ ეტყობა: ასე გგონიათ სოციალური მღელვარე ზღვის ნაპირას დამჯდარა იგი, და ვით ბუნებრივი ნამდვილი აღელვებული ზღვის ზვირთების ფერადი სალებავებით ტილოზე დამხატველი ხელოვანი სრულიათ ალუშფოთებლათ და მდგომარეობის სრული შეგნებით ხატავს მას კაზმული სიტყვებით და სახეებით.

ეგნატეს მხატვრობის ეს სწორ უპოვარი თვისება მისი გარკვეული იდეიურობით და იმ ყოფა-ცხოვრების ღრმა ცოდნით აიხსნება, რასაც იგი თვითონვე თავის თავზე დაბადებიდან ვიდრე სიკვდილამდე განიცდიდა. ეგნატეს მხატვრობა ჩვენ ჩვენს ქართულ მწერლობაში შეგვიძლია მხოლოთ ილია ჭავჭავაძის ბელეტრისტიკას შევადაროთ; და მაშინ უკეთ დავრწმუნდებოდით, თუ რამდენათ მოკლებულია ეგნატე ტენდენციურობას, მაშინ როდესაც მისი მოპირდაპირე, „ხმლისა და გუთნის" იდეოლოგი, „ბუმბერაზათ" ცნობილი ილია—სწორეთ ამ სენით იყო შეპყრობილი.

რაჟდენ კალაძე.

---

# ალექსანდრე ყაზბეგი.

(მისი გარდაცვალების 30 წლის შესრულების გამო).

**პირველი სურათი**, ახალგაზრდას, ტანადს, ლამაზს, მინაზებულის სახის გამომეტყველებისას ქართულ თეატრში მაყურებელნი ოვაციებაში მოჰყავს ხანჯლებზე თამაშით. ეგევე უმაწვილი კაცი ლექსებსაც სწერს, მერე მოთხრობებს, შემდეგ—რომანებს. პირველია მისი რომანები ქართულ ენაზე, პირველადვე ჩნდება ქართულ რომანების მკითხველიცა. ყველას უხარის ჩვენის მწერლობის ფეხის ადგმა. მაგრამ არავინა ჰკითხულობს ამ რომანების დამწერს: აწუხებს თუ რამე, უჭირს თუ რამე. უფროს ერთნი დასცინიან: „სანდროსაგან" რა უნდა გამოვიდესო!.. სცენაზე იდგმის მისი „არსენა", „ქეთევან დედოფალი" და სხ. ცალკე გამოდის „ელგუჯა" (ცენზორის მიერ დაჭრილი), „ნოძლვარი", „ელისო". ალ. ყაზბეგი დაავადებულია, პატრონობა სჭირია. სენმა უარესათ დაჰრია ხელი, ისე ძლიერათ, რომ მწერლობისათვის მწერალი მოკვდა, ცოცხალ ლეშად იქცა.

და

**მეორე. სურათი**, გაქონილი ჩოხა-ახალუხიანი, დაგლეჯილ და გახუნებულ ნაბადმოსხმული, პირდაუბანელი, თმა-წვერში ჭალარა მორეული, თვალებ ამღვრეული, უსიცოცხლო სახის გამოხატულება... საიქიოდან გამომყური... ხშირათ შეხვდებით „წერა-კითხვის" გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (თავადაზნაურობის ქარვასლაში), იმ დროინდელ ქართველების კლუბში, ამ ერთად-ერთ თავშესაფრებ და ნაცნობთა რანდევუს ადგილში, ჩვენს პოეტ შიო-მღვიმელთან მოლაპარაკეს. მისი ლაპარაკი ნაწყვეტ-ნაწყვეტია, უფრო ჩმუნვაა, ვიდრე მეტყველება. იმავე ადამიანს სასახლის ქუჩაზედაცა ხედავთ, გამვლელ-გამომვლელნი დასცინიან: რიგი „გაკოტრებულ ქართველ კნიაზს" ეძახის, რიგი გიჟს და ვინ იცის კიდევ რას. თუ სადმე მაღაზიაში შევიდა, ყველას თვალი უჭირავს—არავინ მოგვპაროსო. იმასაცა სჭირს სხვა სენი გარდა ეს სენიცა, მაგრამ საკვირველი კია: თუ ხელს გააყოლა რამე, მხოლოთ ტკბილეული უნდა იყოს, თუ ფული აქვს და იყიდის რასმე, უეჭველად ტკბილეულს. მაგრამ საერთოდ კი ყველა თავს არიდებს „მოძღვრის" დამწერსა: ისიცა, ვინც იცის, რომ „მოძღვარი" დასწერა, და ისიცა, ვინც ეს არ იცის.

ხშირი სტუმარია სარძევესი, რომელიც ვინმე ადამიასა ჰქონდა „ჩრდილოეთის ნომრებს" ქვეშ, სარდაფში. სამი შაურის რძე და პური თავსა სდის. მაგრამ ხშირად ეს სამი შაურიც აღარსადაა. ადამიას გაუგონია, რომ მისი ლარიბი მუშტარი—ქართველი მწერალია, გაზეთში („დროება") მისი ნაწერი იბეჭდებოდაო. ხან გადაახდევინებს, ხანაც სამადლოთ არასდეს გამოართმევს, ხან კიდევ „დააწერს". ასეთი „დაწერილები" 3 მანათამდე მოგროვდა. ყაზბეგს თვისი ლექსების ხელნაწერი რვეული მოაქვს გირაოდ: როცა ფული მექნება, მოგიტან და დამიბრუნეო. ადამიას ბარე არა სწამს, რომ „ლექსების ქაღალდი" ვალს ვერ აუნაზღაურებს, მაგრამ მაინც ჩამოართმევს, ყოველ შემთხვევისათვის, და შეინახავს. რა თქმა უნდა, ადამიას გუმანი გამართლდა: თავისებური გირაო გირაოდ დარჩა და 3 მანეთის ვალი მისმა მუშტარმა საიქიოში თან წაიტანა. [1])

იმ დროს ალ. ყაზბეგი პირდაპირ ქუჩაში იყო გამოგდებული, სრულებით უბინაო, სრულებით უულო. ერთად-ერთი სიძე ჰყავდა, ფურმანი, და იმასთანაც ბინას ვერა ჰპოულობდა. ყოფილა შემთხვევა, რომ სიძეს კარზე

1) ალ. ყაზბეგმა თავისი ლექსები პატარა წიგნაკად გამოსცა „მოხევეს" ფსევდონიმით. ეს რვეული, რომელზედაც აქ ლაპარაკია, დაუბეჭდავ ლექსებისაგან შესდგებოდა და დაწერილი იყო სრულ თაბაბიან ქაღალდზე, ასე 200 გვერდი იქნებოდა და ყდაში იყო ჩასმული. ყაზბეგი ჯერ ისევ ცოცხალი იყო საავადმყოფოში, რომ ადამიას ამხანაგმა ს. ყაზახაშვილმა გადმოსცა 1891 წელს ახლად დაარსებულ „ქართული წიგნების გამომცემელ ამხანაგობის"-და გადასაცემათ. თუ დაიბეჭდება, ჩვენ ჩვენს 3 მანეთს ნუ დაგვიკარგავთო.- რვეული გადაეცა „ამხანაგობის" გამგეს ალ. ჯაბადარს, მაგრამ არ დაიბეჭდილა, დღეს დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

თ. ხ.

მისდგომია, შინ არ შეეშვა და სამზარეულოში ან პირდაპირ დერეფანზე უთენებია ღამე თვისის ნაბდის ამარა. საერთოთ მენიან მეუფარსა და მას შორის განსხვავება არა ყოფილა, რამდენადაც ეს გარეშეთა მოპყრობაში გამოიხატებოდა. ეს შედარება გადაჭარბებული სრულიად არ არის. როგორც იყო, სამადლოთ, მიხეილის სახელობის საავადმყოფოს საფსიქიატრო განყოფილებაში მოთავსდა.

1892 წ. „ქართულ წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ" 4 ტომად გამოსცა ალ. ყაზბეგის ნაწერები. ერთი ეკზემპლიარი, წითელ ხავერდის ყდაში დაკაზმული, უნდა მიმეტანა ავტორისათვის საავათმყოფოში. მის სანახავად თან წამომყვა სიძეცა. უფროს ექიმად ორბელი იყო. ავუხსენი, ვინა ჰყავდა ავადმყოფთა შორის და ვსთხოვე ეჩვენებინა. გამომიყვანეს გაძვალტყავებული ლანდი ყაზბეგისა. თვალთ ოდნავ იხედებოდა, ყურთ მძიმეთ ესმოდა. ენაც სულ არ ემორჩილებოდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვების ხმარებას თუ ლა ახერხებდა, ისიც რის გაჭირვებით. ეს იყო 1893 წლის მარიამობისთვეში. სწორეთ ახალი ჩამოსული ვიყავი სოფ. კაიშაურიდან, სადაც ვინახულე, ალ. ყაზბეგის სამშობლო მხარე. ვუთხარი, მოხევენი ვნახე, სიყვარულით მოგიგონებენ მეთქი. არავითარი შთაბეჭდილება ... ყოველსავე შემთხვევაში, ნაკლებათ ესმოდა, რასაც ველაპარაკებოდი. სიძემ საკონცნელად მიიწია... თავი მოარიდა. ეტყობოდა კიდევ ჩარჩენოდა გრძნობის ნასახი და არ დავიწყნოდა, თუ როგორ ეპყრობოდა ახლა ამბორის საყოფად მისული ადამიანი.



ხაჭესი. დიდი ბრუნარო (ტურბანი).

გადავეცი წიგნები, „ამხანაგობამ" გამოსცა და ესეც შენ გამოგიგზავნა მეთქი. ეამა, გადაფურცლა, „ელგუჯას" დახედა, თითქოს მოაგონდა რაღაცაო: დაიზმუვლა და წვალებით მოახერხა თქმა, ანუ, უკეთ, მიმახვედრა, ერთი ეკზემპლიარი ჩემს ექიმსაც (ორბელზე მიმითითა) მოუტანეო. დიდხანს, სულ დიდხანს ვუყურე.. სანუგეშო ნატამალიც ვერ ამოვიკითხე მის დაღლილ სახეზე... ხელიდან იყო წასული... სამუდამოთ.

ამის შემდეგ სამ თვესაც არ გაუვლია, იმავე 1893 წლის ქრისტეშობისთვეში „ივერიის" რედაქციაში შემოგვიტანეს ამბავი, რასაც დიდი ხანია მოველოდით: ყაზბეგი გარდაიცვალაო. საავადმყოფოს გარეშეთაგან მე მხვდა წილად პირველად ნახვა მიცვალებულისა.

შესდგა დამკრძალველი კომისია.

და . . .

**მესამე სურათიცა.** „ცოცხალს არ შეცვა კაბანი,
მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანი"...

დიმიტრი ყიფიანს შემდეგ ასეთი ამბით მარტო ალ. ყაზბეგს ეღირსა დასაფლავება. ზღვა ხალხი, ქალი და კაცი, შაგირდობა, მწერლობის მსახურნი, საზოგადო მოღვაწენი. კუკიის ხიდთან რომ იყო სამგლოვიარო პროცესიის თავი, ბოლო ისევ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოსთან იყო, დიდი მთავრის ქუჩაზე. გვირგვინები, გვირგვინები და კიდევ გვირგვინები... მანდილოსნების ხელით მოტანილ ცოცხალ ყვავილთა შორის კუბო არც კი სჩანდა... პროცესიამ გაიარა კუკიის ხიდე, აუხვია ბარიატინსკის ქუჩით, გაიარა გოლოვინის პროსპექტი (აწ რუსთაველისა). დასაკრძალავათ თავისს სამშობლო სოფელ ყაზბეგში მიასვენებდენ, საქართველოს სამხედრო გზით.

ვერაზე, ჯვართან, კუბო დაასვენეს, პანაშვიდი გადაუხადა სამღვდელოებამ და მოსჩქდა სიტყვები... ქართველი ერი დაობლდა... გაფასებდით, გაფასებთ და გაფასებდეთ იქნება... მოიგონეს ყველაფერი, ხოლო არავის მოჰგონებია ფურმანი, ყველას დაავიწყდა ადამიას ხარძეო... სამ მანეთში ლექსთა კრებულის დაგირავება...

ერთი რამაც, ანეკდოტიური ხასიათისა.



ხაჭესი. მუშაობის საერთო სურათი.

ლაპარაკობდენ, ალ. ყაზბეგს საფრანგეთში გიუ-დემოპასანი გაეცნოვო. ისიც იმ ხანებში იყო საგიჟეთში, რა დროსაც ალ. ყაზბეგი. ორნივე თითქმის ერთსა და იმავე დროს მოკვდა. საგიჟეთში ყოფნის დროს ორივე მეგობარი მწერალი ერთმანეთს წერილებსა სწერდენ და მოკითხვას უთვლიდენო. ულოცავდენ ერთმანეთს, რომ მეგობრობა დაუმტკიცეს ერთმანეთს და ორნივე ერთნაირადა ჰკვდებოდენ... Se non è vero, è bene trovato...

თ. სახოკია.

# ფრიდრიხ ენგელსი, როგორც პოეტი.

ფრიდრიხ ენგელსი სწავლობდა ბრემენის უნივერსიტეტში 1838 წლიდან 1841 წლამდე. ეს პერიოდი ენგელსის ბიოგრაფიაში უკანასკნელ დრომდე არ იყო სრულიად გაშუქებული! გუსტავ მაიერმა თავისი დაუღალავი შრომით მიაღწია იმას, რომ არსებითად შეავსო ეს ცარიელი ადგილი და ენგელსის ახალგაზრდობის ცხოვრება ეხლა წარმოგვიდგება ჩვენ მთლიანად კერძო და საზოგადო წერილებში, კორესპონდენციებში და კარიკატურებში 1838 წ.—1844 წლამდე, ესე იგი 18 წლის ხნოვანობიდან 21 წლამდე, როდესაც ენგელსი მიეცა სისტემატიურ მუშაობას, როგორც პოლიტიკოსი, ეტნოგრაფი და სოციალისტი.

მაიერმა თავისი გამოკვლევით აღმოაჩინა მეტად საინტერესო ფაქტი, რომ ჰეორმოცე წლების პოეტი, რომელიც ბეჭდავდა თავის ლექსებს ფრიდრიხ ოსვალდის ფსევდონიმით, ყოფილა ფრიდრიხ ენგელსი. ეს ლექსები არ ჩამოუვარდებიან იმ დროის საუკეთესო პოეტების გერვეგის და ფრეილიგრატის ლექსებს, რომელნიც სწერდენ გერმანიაში და იზიარებდენ სოციალისტურ მიმართულებას.

ჟურნალ „ტელეგრაფში“ 1840 წლის აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი იყო, სხვათა შორის, ენგელსის პოემა "Ein Abend" — „საღამო“, შელლის ეპიგრაფით. ეს პოემა იქცევს ყურადღებას პოეტურ შინაარსის სიმდიდრით და რევოლიუციონური პათოსით, რომლითაც გამსჭვალული იყო მთელი, ეგრედ წოდებული „ახალგაზრდა გერმანია“ გეინესი და ბერნეს მეთაურობით. ამ პოემაში ენგელსი ადიდებს ხალხს და წინაწარმეტყველებს იმ დროს, როცა მეფეების ტახტები დაინგრევა, ქვეყანა იქცევა ერთ საუცხოვო ბაღად და კაცობრიობა ბედნიერ ოჯახად.

პოემაში ბევრი ორიგინალური სახეებია, მაგალითად გაბედული შედარება ხალხის და ყვავილის ალოესი, რომელიც იშლება ქარიშხალის და გრგვინვის დროს. ამ პოემაში უკვე მოცემულია ტიპი პოეტის, რომელიც ჰკიცხავს ულირს მეფეებს და სთვლის თავის მოვალეობად ბრძოლას ტირანებთან და ყოველგვარ უსამართლობასთან.

თანამედროვე პროლეტარულ პოეზიას შეუძლია მიიღოს ენგელსი, როგორც თავისი სახელოვანი წინაპარი.

ენგელსი ზიზღით იხსენიებს თავის პოემაში ბულბულს — მეფის მგალობელს და ურჩევნია იყოს ბეღურა, მხოლოდ თავისუფლად ამბობდეს თავის სიმღერას. პოემაში სჩანს დიდი სიყვარული ხალხისადმი და ისმის კრულვა-წყევლა ტირანების და მათგან შექმნილ ჯოჯოხეთურ ცხოვრების. პოემა სავსეა ოპტიმიზმით, იგი თავდება მზის დიდებით, რომელიც ფანტავს წყვდიადს და არის სიმბოლო ხალხთა განთავისუფლების და ბედნიერი ცხოვრების.

თავის წერილებში ამხანაგებთან ენგელსი ხშირად ლაპარაკობს საკუთარ ლექსებზე. ეს ლექსები სამწუხაროდ დაკარგულია უგზო უკვლოდ. თვითონ ენგელსი ძალიან მცირე წარმოდგენის იყო თავის შემოქმედებაზე და



ფრ. ენგელსი ახალგაზრდობაში.

ამბობდა, რომ მისი შაირობა ვერაფერს შემატებს ხელოვნებას. მაგრამ ეს თავმდაბლობა გადამეტებულია, ენგელსი ერთ წერილში სწერს ძმებს გრებერებს, რომ მას დღითი დღე უფრო ეეჭვება თავისი პოეზია, „უფრო მის შემდეგ, რაც მე წავიკითხე ორი წერილი გოეტესი „ახალგაზრდა პოეტებს“, და იქ ვნახე ჩემი პორტრეტი, თითქოს მე ჩამოსხმული ვარ და მე მივხდი, რომ ჩემი შაირობა უსარგებლოა ხელოვნებისათვის. დავანებებ წერას თავს, მაგრამ როდესაც მე ვკითხულობ კარგ ლექსებს, სევდა ყოველთვის განმიგმირავს გულს, რადგან მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია“.

ენგელსი არ ზოგავს თავის თავს; მაგრამ, როგორც ვთქვით, მისი თავმდაბლობა გადამეტებულია. ენგელსის ლექსებში არის მშვენიერი ლირიკული და სახუმარო შედევრები. მის კალამს ეკუთვნის დიდი ტრაგიკომედია „რქებიანი ზიგფრიდი“ და სატირული პოემა ოთხ სიმღერად: „სარწმუნოების ტრიუმფი“.

თვითონ მარქსი სწერდა ლექსებს, განსაკუთრებით ინტიმურ ლექსებს, რომელთაც უკარნახებდა მას სიყვარული თავის მომავალ მეუღლისადმი. ცნობილია, რომ მარქსი მოტრფიალე იყო ფრეილიგრატის და გეინეს პოეზიის; ყოველ შემთხვევაში ენგელსმა მარქსთან ერთად შესწირეს თავისი ნიჭი მეორე საქმეს, სადაც მიაღწიეს დიდ შედეგებს, შექმნეს რა ახალი სახარება კაცობრიობისათვის.

პოეზიის ისტორია იამაყებს იმ ფაქტით, რომ მარქსი და ენგელსი სწერდენ ლექსებს, რომ მათი ჭაბუკობის ხანა აღნიშნულია პოეზიის განსაკუთრებული სიყვარულით.

ენგელსის პოემა „საღამო“, უთუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს სარევოლიუციო ანტოლოგიებში და ენგელსის სახელი კიდევ უფრო გაამაგრებს და გააძლიერებს პროლეტარულ პოეზიას.

# ს ა ღ ა მ ო.

ფრიდრიხ ენგელსი.

გამოველ ბაღში... გამოუთქმელ და ჩუმ სინაზით
უერთდებოდა დღის მნათობი ანთებულ ტალღას,
ახლა მეწამულ ბრწყინვალებას აფრქვევდა იგი—
მდინარის ფსკერზე კანკალებდა გვიანი სხივი.
გაფითრებულმა ზამბახებმა თავი დახარეს,
ველარ გაუძლეს საალერსო ცეცხლთა სტუმრობას.
მხოლოდ ფრინველნი ლაღადებდენ თავის სიმღერას,
მხოლოდ სიყვარულს უმღეროდენ ტოტების ჩრდილში
და მდინარეზე ხომალდები სთვლემდენ ბავშურად,
ესიზმრებოდათ ოკეანით მოგზაურობა;
ურმები ხიდზე ახმაურდენ მოულოდნელად.
ადუღდა ღვინო მაღალ თასში და ღვინით მთვრალი
მე არ ვიყავი. მაგრამ უკვე გამთბარი იყო
დიდ კალდერონის სტრიქონები ტკბილი სასმელით.
და აი ღვინის და ჭეშმარიტ მგოსნის განგებით
შთაგონებულმა,—მე დავიწყე ჩემი სიმღერა.

—:—

იქ, დასავალზე, როგორც ვარდი, ჰქნება დაისი.
ერთი წუთი და აფეთქდება ისევ მნათობი,
თავისუფალი წამოდგება მზე უცაბედათ.
წყვდიადი წავა—მწუხარება გაჰყვება იმას.
უფრო ძვირფასად ყვავილები აყვავდებიან.
და გარდიქმნება დედამიწა გახარებული
ჯადოსნურ ბაღად; განათდება მთელი ქვეყანა.
და ტყე პალმების შეაუღლებს ამაყ ჩრდილოეთს
ვარდთან, რომელიც აღზრდილია მარად ყინულზე.
და პოლიუსებს მიასხურებს ახალ სიცოცხლეს.
იხეტიალებს უდაბნოში ბევრი მუხა.
უცხო ალოე მიმოფანტავს მთელ სამყაროში
თავის არომატს. მომაგონებს იგი ყოველთვის
ხალხური სულის მრისხანებას და ძლიერებას,
ეკლიანია; გარეგნობით არ არის უცხო,
მოულოდნელად, როგორც გრგვინვა ამპარტავანი
აელვარდება დაუვიწყარ ცეცხლის ყვავილად,
და აფრქვევს კოცონს,დაფარული რომ იყო წინად
და სურნელება მისი უფრო საგრძნობელია,
ვიდრე საკმევლის ღვთის წინაშე ცრუ ლალადება,
რომელსაც აკმევს რომელიმე ფარისეველი.
მაგრამ პირქუშად, უსალამოდ ტყის სიჩუმეში,
როგორც სვეტები ამპარტავან სისწორით დგანან
კვიპაროსები—გიგანტები... მარტო არიან...
დავიწყებულნი... შემოსილნი სევდიან ჩრდილით.
ტოტებთა შორის ფრინველები ხარბად გალობენ,
ესალმებიან განთიადის დაქცეულ პურპურს,
ნაზი ღრუბლები იძლევიან მეწამულ ნიშანს,
რომ მზე სულ ჩქარა გაიმარჯვებს მთელ ქვეყანაზე.
დიახ! მოელის ალტაცებით კაცობრიობა,
იგი მოელის დაუფარავ იმედით —მნათობს,
ყველა მომავალ სასწაულზე ოცნებობს ახლა
და თითქოს წყდება სამუდამოთ მონობის ჯაჭვი.
არ ადიდებენ პოეტები ულირს მეფეებს,
სასახლეები ინგრევიან, ილუპებიან.
მუხები დინჯათ უცქერიან იმათ დაღუპვას,
და მზის სხივებში ბანაობენ გაუნძრეველად.
თუ პოეზია სინათლეა, თუ ამ სინათლით
მთელი ქვეყანა მოსილია, მეც პოეტი ვარ,
კადნიერებად მისწრაფება ნუ ჩამეთვლება,
მინდა ვადიდო ჩემი ლექსით თავისუფლება,
თვით ბერნე იყო დიდებული და დიდი მუხა,
როცა ჩაგრავდა დედამიწას მტერი ცბიერი,
როს ბორკილებში გერმანია იტანჯებოდა,
როცა ტირანებს იგი ყავდა ტყვედ ჩაგდებული.
თუმცა დიდი ხმა მე არა მაქვს, მაინც დავფრინავ
ეთერის ზღვაში და სიმღერას ვამბობ გაბედულს,
ვიყო ბელურა—არ დავკარგავ თავისუფლებას
და არ შევშურებ არასოდეს ბულბულის კვნესას.
არ ვიჭიკჭიკებ, ვით ბულბული, მე არასოდეს,
გვირგვინოსნებს არ შევფიცავ მე ერთგულებას.

—:—

ჩემ წინ ხომალდი. აქაფებულ ტალღას მოკვეთავს
და საქონელი მასზედ არის სულ სხვანაირი,
დიდი განძები მას არ მოაქვს ვაჭრებისათვის,
ახლა ხომალდის პატრონია მფლობელი—ხალხი;
ხომალდის ტვირთი—ბედნიერი ბედის წყაროა:
თვითმპყრობელობას და სიცრუეს უქადის სიკვდილს,
თავისუფლების საწინდარი მოაქვს მზიური,
ახალ ცხოვრების დაპირება მოაქვს ციური.
მეფური დროშა არ ტორტმანობს მასზე ღერბებით,
რომლის წინაშე ქედს იხრიდა ადამიანი.
ახლა ღრუბელით ხომალდია თავშემოსილი,
სადაც ელვები ელვარებენ და გრგვინვა გრვინავს
და ცისარტყელა იჭედება მსოფლიოსათვის.

—:—

ჩვენ გულთა შორის იზრდებიან თანდათანობით
სიყვარულის და სილამაზის ჩუმი ხიდები,
ჟამთა მდინარეს მწუხარება მიაქვს ერთბაშად
განახლების დღემ გადალახა მძიმე წარსული.
ვერვინ შეარხევს ცბიერებით, თუ თავის ღონით
ალმასებრ-მაგარ, მრავალფერად ხიდთა საფუძველს,
თავისუფლების არ დასჭკნება ბაღი არასდროს.
ადამიანი ახლა, სადაც არ გაიხედავს,
სადაც არ უნდა წაიყვანოს სწრაფმა სურვილმა,
ყველგან შეხვდება ის მეგობარს და არა მტერებს.
გაჭირვების დროს ის უთუოდ ნახავს სიმშვიდეს
და იმის თვალებს არ შელახავს გლევიძებისას
უპურმარილო მასპინძელთა ავი გრიმასა.
და სიყვარული—ეს იქნება მწვერვალთა შუქი,
დამჭკნარ რწმენაში ვერ იპოვით ამ სხივოსნობას,
მარადისადმი ეს იქნება კვლავ მისწრაფება,
რომელიც ბრწყინავს საიდუმლო უდაბნოებში,
მიზეზთ-მიზეზი და მუდმივი ნივთიერება,
სიდან მოვდივართ-გაფრენილი ჩვენი გონებით,
ნივთიერება, სადაც ისევ უნდა დავბრუნდეთ,
და რგოლებიდან აღვადგინოთ მთლიანი ჯაჭვი.
ნეტარი წუთი ჩვენ გველირსა უკანასკნელად.
ჩქარა ვიგემოთ საზეიმო თავისუფლება!
ავავსოთ თასი და დავლიოთ ჩვენ სადღეგრძელო.
თავისუფლება არის ღვინო ერებისათვის,
მასში არავის დაუკარგავს თავის გონება,
ბრწყინავენ მასშიდ ზეციური მელოდიები

და იმისაგან მხიარულად კანკალებს გული.
უსაზღვრობაში იკარგება ზარხოში ცქერა
და აღტაცება უერთდება იმ ხნიერ სივრცეს,
როცა თვალებმა არ იცოდენ კიდევ საზღვრები,
ებრძოდენ ცაში ვარსკლავები კიდევ ერთმანეთს,
სევდიან ბნელში გზა დაბნეულ ადამიანებს
მოხეტე ცეცხლთა შარავანდი მიუძღვებოდა.

—:—

ახლა ახალი გაიმართა წელში მგოსანი,
იგი პოეტურ მარგალიტთა მაძებარია,
მისი ლექსები კალდერონის ლექსების მსგავსად
იწვიან მღერით, სურნელებას ახალს აკმევენ,
იფრქვევა ჰიმნი და სიმების როკავს ლალადი,
დანგრეულია ბნელ უფლების ამაყი ტახტი,
დგება მშვიდობა და მოისმის ტკბილი ოსანა,
ძალმომრეობა ტირანების შემუსრულია,
როგორაც იყო გათელილი მტერი, როს ხალხი
შუბებთა შორის წინ გავარდა შეუშინებლად
ხიდზე, რომელიც კალდერონმა ადიდა ლექსით:
დაჩაგრულთათვის განა ბარში არ მოიყვანა
„ჰაერის ქალმა“ ოქროსფერი თავისუფლება,
და მომხიბლავი სიმღერების საამო ხმებით
„სიცოცხლე“ ჩვენი არ შემოსა ტკბილი „სიზმარით“.
ასე რომ არა—იქნებოდა ქვეყანა ფუჭი
და ცარიელი. ხელმეორედ ავავსოთ ყანწი,
რომ მზეს შეხვედრა გავუმართოთ ჩვენ ძლიერსეული.

საბედისწერო ღამის კვამლი გაიფანტება
და ოქროს დილით გაიშლება ჩვენი მაისი.

—:—

როდის ადგება მზე ახალი, მზე საზეიმო,
როდის გახდება ძველი ცაში უუსკრულის მსხვერპლად,
კაცის გონება სიბნელიდან როდის გამოვა?
თუ გაივლიან საშუდამოთ პირბნელი წლები?
ღრუბლებში მოსჩანს მოკიაფე, სავქეო მთვარე,
ბატონობს შიში—შავ წყვდიადით წარმოშობილი.
ყოველი არსი დღეს იხრჩობა ბნედიან ნისლში,
ფრთხილათ მივდივარ ბრმებისავით, ვით მედოები!
არაფერია! დაინახავთ, რომ ჩქარა ღრუბლებს
მზის ურაგანი გადარეკავს უძლიერესი,
გაიფანტება შავი ნისლის შავი აჩრდილი
და გაიშლება გამარჯვების დღე სხივოსანი.

—:—

აღმოსავლეთი აელვარდა მრავალფერადი,
და ნისლში მოსჩანს სისხლიანი მაღალი სხივი.
მოიხაზება ბრწინვალებით მსოფლიოს გარსი.
ამბობენ ლალადს ფრინველების მწყობრი გუნდები.
იწვიან მთები—შეღებილნი ლალების ფერად,
ოქროს გვირგვინი მწვერვალებმა დაიდგეს თავზე,
წითელ სხივების ნაპერწკლები დღეს გაგიჟებით
ციურ ცხენების ათრთოლებულ ფაფარს ხედნიან.
მზე მობრძანდება თავის ეტლით და ბრწყინვალებით,
მის სიჭაბუკეს და სიუხვეს ჩვენი სალამი.

ვ. ვ.



ტბილისი ჭურჭლეულობის მაღაზია.

# თეატრი.

მიმდინარე სეზონს ახასიათებს პირველად ყოვლისა დიდი მზადება. უკვე გაზაფხულიდან დაიწყო გამორკვევა სეზონის პერსპექტივების. გამართული იყო რამდენიმე მოხსენება საერთოდ თეატრისა და კერძოთ ქართული თეატრის სეზონის შესახებ. მთავარმა სახელოვნო კომიტეტმა ადრე შეიმუშავა დაწვრილებითი პროექტი, და იგი დაუყონებლივ განხორციელდა პირველად ყოვლის ნივთიერის მხრივ. ჩვენ ვიყავით მოწმენი იშვიათი შემთხვევისა: მთელი დასი ქართული თეატრისა გაგზავნილი იქნა ბორ-



ჩაქვა. მანდარინების ბაღი.

ჯომში სეზონისთვის მოსამზადებლად, აგრეთვე მიღებული იქნა სწრაფი ზომები, რომ ოპერა გაძლიერებულიყო ახალი გამოჩენილი მომღერლებით. მოსკოვში გაემგზავრა სახელმწიფო ოპერის კომისარი ლ. სვიმონიშვილი, რომ პირადათ მოეხდინა არჩევანი ჩვენი ოპერისათვის შესაფერ ძალებისა. შედეგები ადრე დაწყებულ მუშაობისა. უკვე ყველასათვის ცხადია, ჩვენ ვართ მოწმენი სეზონის, რომელიც არასოდეს არ დაწყებულა თბილისში ასეთის დიდი მასშტაბით.

პირველად ყოვლისა ქართული სახელმწიფო დრამის შესახებ.

'განახლებული ქართული თეატრის ბედი და სახელი სამუდამოდ იქნება დაკავშირებული კოტე მარჯანიშვილთან.

მან პირველად დაამყარა მაგარი დისციპლინა, აღადგინა გამასხრებული სახელი ქართველ მსახიობისა, მოსპო რუტინა, შეადგინა რეპერტუარი, რომელიც უახლესია თვით ევროპის და რუსეთის თეატრებისთვისაც. მან ერთი წლის განმავლობაში გაზარდა მთელი თაობა არტისტებისა, რომელნიც მორცხვად იდგამდენ ფეხს ქართულ სცენაზე. რა თქმა უნდა კოტე მარჯანიშვილი ვერ შესძლებდა ასეთი ჰარმონიის შექმნას, რომ მას ყოველ მხრივ არ დაენახა სიყვარული, თანაგრძნობა და ღირსეული დაფასება. მთავრობა, საზოგადოებრივი აზრი, მწერლობა, ამხანაგები, ყველა მასთან იყო მის დიდსა და საიმედო მუშაობაში.

აკადემიური დრამის სეზონის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს „ინტერესთა თამაში“ ხასინტე ბენავენტესი, თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა თუმცა იგი მეორე პრემიერა იყო. ერისთავის „გაყრა“, რომელიც ქრონოლოგიურად პირველი გახსნა იყო სეზონის, თავის თავად გამართლებული წარმოდგენა იყო. აქ კოტე მარჯანიშვილმა გაიმეორა ის კოლორიტი, რომელიც მან პირველად, შარშან მზის დაბნელებაში შექმნა. ორივე წარმოდგენა ეტნოგრაფიულ ფერადებშია გაშლილი. გადმოცემულია გარეგანი ელვარება, უფრო ტემპერამენტი, ვიდრე ჰარმონიული მთლიანობა. აქ იგი მხოლოდ მხატვარია, დატვირთული ცოცხალი სალებავებით.

„ინტერესთა თამაში“ კი კოტე მარჯანიშვილმა გვაჩვენა თავის საკუთარი თეატრი, უკვე დამთავრებული უკანასკნელ ხაზამდე, თავიდან ბოლომდე შთაგონება, თეატრი როგორც შვენება. გარდა ამისა ძვირად მინახავს წარმოდგენა, რომელიც ასე დამუშავებული ყოფილიყოს ტეხნიკურად. აქ ქართველი მსახიობი ალაპარაკდა ბომარშეს ცეცხლით, არც ერთი უხერხულობა სცენაზე, არც ერთი გაწყვეტა წთლიანი ძაფის. უკანასკნელი მოქმედება კი იყო სიხარული, რომელიც ბედნიერებაში გადადის.

მართალია „ინტერესთა თამაში“ არ არის თეატრი, რომელიც თანამედროვე, თეატრალურ პრობლემებს ჰფარავდეს. ჩვენ გვინდა მეტი დინამიკა და თეატრი დიდი მოძრაობის. მაგრამ სილამაზე ყოველთვის უდავოა.

მიმდინარე სეზონში ჩვენ მარჯანიშვილთან ერთად ალბათ ვიქნებით მოწმენი იმ სანახაობათა ქართულ თეატრში, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე დაუდგრომელობა.

— —

ხელოვნების სფეროში, დიდი ხანია, სახელმწიფო ოპერა, გახდა საგნათ მეტად ცოცხალ კამათის და ყურადღებისა.

ყველას აინტერესებდა უმთავრესად მისი ორგანიზაცია, რადგან უკანასკნელისაგან არის დამოკიდებული თვით



ჩაქვა. ჩაის მოკრეფა.

ოპერის არსებობაც. ოპერის მრავალფეროვანი შემადგენლობა მოითხოვს განსაკუთრებულ პოლიტიკას. აქ არის საჭირო ურყეველი დისციპლინა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უდიერობა. ის ვინც იბარებს ოპერის მეთაურობას, ყურადღებით უნდა ექცეოდეს ყოველ პატარა, უბრალო საკითხსაც. მათ უნდა დაიახლოვონ და კარგათ გაი-

ცნობს ყველა ვისაც ოპერაში მუშაობა უხდება: დირიჟორიდან დურგლამდე. ეს მეტად ძნელი საქმეა, სამაგიეროდ ყოველთვის ოპერის მეთაურის ამორჩევა მოითხოვს ხოლმე თათბირს მთელი თვეობით.

წელს ოპერის შემადგენლობა უსათუოდ სამაგალითოა. ამ მხრივ ყველაფერი გაკეთდა. ოპერის კომისარმა, ლადო სვიმონიშვილმა, თავისი გეგმა კარგათ შეასრულა.

სამხატვრო ნაწილს მეთაურობს ივანე ფალიაშვილი, შესანიშნავი დირიჟორი, სავსე ენერგიით და ნებით. მოწვეული არიან რუსეთში ცნობილი რეჟისორი რაპოპორტი და ბალეტის ხელმძღვანელი დისკოვსკი. მომღერალთა შორის გამორჩენილი სახელები: სარაჯიშვილი, მოსინი, პანკრატოვა, პაპოვა, რებონე ევლახოვი ბოკოვა და სხვ. მეტად იმედიანი ახალგაზრდობა: ქაშაქიშვილი, ვენაძე...საუკეთესო ორკესტრი და ხორო. რეპერტუარში ჩვენი ახალი ოპერები ფალიაშვილის „დაისი" და ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი" ვაგნერისა და რიმსკი კორსაკოვის საღამოები, „მოცრატი და სალიერი" სრულებით ახალი დადგმით, განახლებული „აბესალომ და ეთერი" და „აიდა", და მრავალ სხვა.

მიუხედავათ ესეთი დიდი მუშაობის დაწყებისა მაინც თბილისში ოპერის შესახებ გაისმის საყვედურები, უმთავრესად მიტომ რომ ოპერას დიდი ხარალი მოაქვს სახელმწიფოსთვის.

ამ საყვედურებს გამართლება ექნებოდა, რომ შემოსავლიანობის კრიზისი ჩვეულებრივი მოვლენა არ იყოს ყველა ქალაქებში, სადაც ოპერა არსებობს. ასევე ხდება მოსკოვშიდაც და თუ იქ ოპერას არავინ ხსნის, ჩვენშიდაც რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევას არ ექმება ადგილი. მაგრამ თუ შესაძლებელი არის ხარჯების შემცირება, ეს დაუყონებლივ უნდა მოხდეს და ალბათ კიდევაც მოხდება.

ამ წერილს მიზნად აქვს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი და აქ არ არის ლაპარაკი მხატვრულ დაფასებაზე დეტალურად. ამისთვის საჭიროა აქვე ვახსენოთ, რომ გარდა სახელმწიფო ქართულ დრამისა, და ოპერისა ტფილისში აგრეთვე გაიხსნა რუსული აკადემიური დასის სეზონი „სახალხო სახლში" ლუნაჩარკის „განთავისუფლებული დონკიხოტით" რუსთაველის თეატრში კვირაში ორჯერ იმართება სომხური და თათრული წარმოდგენები, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე, მუშათა აუდიტორიებს, რომელთაც ჰყავთ საკუთარი დასები.

არიელი.

---

# გერმანელი ექსპრესიონისტები.

**ფრანც ვერფელი.**

## მკითხველს.

მე მინდა ვიყო შენი მოძმე, ადამიანო,
ვინც უნდა იყო — უბედური, თუ იღბლიანი.

ვინც უნდა იყო, აკრობატი, მენავე, ლოთი,
ან ჯარისკაცი უშიშარი, და ან პილოტი.

შენ ბავშობისას თამაშობდი პატარა თოფით,
თუმცა ის იყო გატენილი მხოლოდ საცობით.

ძმაო! წარსულის მოგონება ახლა მაწუხებს...
ნუ ხარ სასტიკი და ცრემლებით შენც მიპასუხე!

მე ყველა გზები გავიარე. მაქვს თვალი ორბის,
ვიცი გრძნობები დამკვრელების და ტენორების,

გუვერნანტკების და ძიძების, ბავშვებს რომ ზრდიან,
დებიუტანტების, სცენაზე რომ შიშს განიცდიან.

ვცხოვრობდი ტყეში, და რკინის გზის ვიყავ მოხელე,
სალაროს წიგნზე დაღუნული — ვეტრფოდი ველებს.

და მე დიდ ქვაბებს ვადუღებდი — გემის მსახური.
ვიყავი მუშა. ნასუფრალს ვჭამდი მე — უსახური.

ყველას ვეკუთვნი და შენი ვარ, მკითხველო, შენი!
მე გევედრებით, ო, მითხარით: ჩვენი ხარ, ჩვენი!

ნეტავი ერთხელ ახდებოდეს ნატვრა ფარული,
რომ ჩვენ ერთმანეთს ჩავეხუტოთ ძმურ სიყვარულით!

ვ. გ.

**ვალტერ ჰაზენკლევერი.**

## შურისმაძიებელი.

ქალბატონმა კაიომ, საფრანგეთის მინისტრის ცოლმა მოჰკლა 16 მარტს 1914 წ. გაზეთ „ფიგაროს" დირექტორი.

როცა დარბაზი საღამოს ჟამს ერთბაშად გაიჩალეს:
იტალიურ საელჩოში მზადდებოდა საზეიმო სადილი —
ის იდგა ტელეფონთან — იმალებოდა, როგორც ყაჩაღი,
უხილავ მტრებისაგან, მკვლელობის წადილით.
ლაპარაკობდა აპარატში ხმით დამშვიდებულით,
ტროადის ომში ის მიჰქროდა ღრუბლებზე ერთი.
უკვე ესმოდა ტყვიების მუსიკა დიდებული.
ის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ვერ დაჯდება ამაღამ
გვერდით.
მარმარის კიბეებით, პუარესაგან ტანსაცმელში ის მიდის
ზევით,
შურისძიებით ღამურ თმებში ის მიდის — მშვენიერი.
მას მეგაზეთის არ აშინებს სიმღერა გამომწვევი.
უახლოვდება რედაქციას — მოთენთილი და ძლიერი.
ვის შეუძლია მოზიარე მისი წამების გახდეს,
სანამ მისი ქურქიდან რევოლვერმა დაიგრიალა.
რომელმა ჩვენგანმა, ვინც სახლში სადილობს და კალმებს
ახდენს,
იცის მისი ვარსკვლავი — დღეთა უბედური ტრიალი.
სანამ პალატებს აუწყებენ ტელეგრაფის მავთულები
პარიზში მკვლელობის შესახებ — მოხდა მეთექვსმეტე მარტს,
ვაქმოთ საქმეველი. ავატიროთ ჩვენი გულები,
ვადიდოთ ქალი-გმირი, რომ არ უდიდებიათ არსად.

ვ. გ.

# პოლიტიკური მიმოხილვა.

(ორკვირეული).

ყურადღების ცენტრი ამ უკანასკნელ ორ კვირაში კვლავ გერმანიის ამბებია.

შტრეზემანის ახალი კანონი ძლიერი ხელისუფლების შესახებ რეიხსტაგში გადის მხოლოდ $^{2}/_{3}$ ხმებით. თვალსაჩინო რაოდენობა დეპუტატებისა წინააღმდეგი იყო ამ კანონის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთხელ ქვორუმიც არ იყო ამ კითხვის დროს და გერმანიის მთავრობა რეიხსტაგის გარეკასაც ფიქრობდა, ვინაიდან ეშინოდა ამ კანონის დამარცხების.

საქსონიაში და ტიურინგიაში შესდგა წითელი მთავრობა, კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების შორის მოხდა შეთანხმება მთავრობის შედგენის ირგვლივ, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში, როცა გერმანიის ჯარე-



ჩაქვა. პალმების ბაღი

ბი მოადგენ საქსონიას და საჭირო იყო ამ მთავრობის მხრით აქტიური გამოსვლა, სოციალ-დემოკრატებს ჩვეულებრივათ არ ეყო იმდენი გამბედაობა, რომ წინააღმდეგობა გაეწია, და ისინი სამარცხვინოდ გაიქცენ ბრძოლის ველიდან, რითაც უღალატეს მუშათა კლასს.

შტრეზემანმა მოითხოვა საქსონიის მთავრობის დაშლა. მთავრობის წევრებმა კომუნისტებმა მოითხოვეს მთავრობას გამოეცა მოწოდება გერმანიის პროლეტარიატისადმი საერთო გაფიცვისკენ, მოწყობა სამხედრო ელმასკომის—მთავრობის, ორივე პარტიების და პროფკავშირების წარმომადგენლებისაგან და გაგზავნა ბერლინში დეპუტაციის გერმანიის პროფკავშირების ცენტრთან მოსალაპარაკებლად.

საქსონიის მთავრობამ, სადაც უმრავლესობას სოც.-დემოკრატები შეადგენდნენ ეს წინადადება არ მიიღო, ამავე დროს ებერტი, პრეზიდენტი გერმანიის, სცემს ბრძანებას საქსონიის მთავრობის გარეკისა და ყველა უმაღლეს მოხელეთა გადაყენების შესახებ.

იმპერიის კომისრად საქსონიაში ინიშნება გეინცე, (სახალხო პარტიის წევრი), რომლის ბრძანებით რეიხსვერმა დაიჭირა დრეზდენში საქსონიის მინისტრებისა და ლანდტაგის ბინები და გამორეკეს სახელმწიფო ბინებიდან საქსონიის პრემიერი ცაიგნერი და სხვა მინისტრები.

ამ კომისრის ბრძანებითვე დაკეტეს ყველა კომუნისტური გამოცემანი საქსონიაში და შეუდგნენ კომუნისტების სასტიკ დევნას.

სოციალ-დემოკრატები იმის მაგიერ, რომ შებრძოლებოდენ ასეთ ძალადობას, ქედს იხრიან გეინცეს წინაშე და საქსონიის ახალ მთავრობაში შედიან მარტო ისინი, კომუნისტები კი დასტოვეს გარეთ.

რასაკვირველია, შტრეზემან—ებერტის მთავრობის ძალადობას მუშათა კლასი გაუწევდა სათანადო ანგარიშს, გაუწევდა სათანადო ანგარიშს და პროლეტარული ორგანიზაციები საქსონიაში უკვე უწოდებენ პროლეტარიატს პროტესტებისაკენ და გადამწყვეტ ბრძოლისაკენ.

წითელი ტიურინგიის ირგვლივაც იკრიბებიან ფაშისტური ძალები. ტიურინგიის საზღვრებზე გროვდებიან გიტლერის და ერჰარდის ფაშისტური რაზმები. აქვე გროვდება აგრეთვე ბავარიის რევოლიუციური რეიხსვერი.

ბავარიის ფაშისტების დიქტატორის, კარის გევმაა მთელ გერმან-აში ფაშიზმის გამარჯვება. შავი რეაქცია იკრებს ძალებს ბავარიაში, სარგებლობს რა გერმანიის მთავრობის პასივობით მათ მიმართ.

ამას არ უარყოფს თვით გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი, სოც. დემ. ზოლმანი, რომელიც ამბობს, რომ ბავარიის კონტრ-რევოლიუცია შეუტევს გერმანიის სხვა ნაწილებსაც. მაგრამ აქტიურ მოქმედებისკენ ნაბიჯი მაინც ვერ გადუდგამთ გერმანიის სოციალ-დემოკრატებს, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს რომ სოციალ-დემოკრატებს აღარ შეუძლიათ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა, მუშათა რევოლიუციონურ ერთიან ფრონტს ისინი შორდებიან და ხდებიან კონტრ-რევოლიუციის ყურ მოჭრილ მონებად. ამავე დროს ისინი ებრძვიან კომუნისტებს, ეხმარებიან მთავრობას გაფიცვებთან და მუშების გამოსვლებთან ბრძოლაში, რითაც ასუსტებენ რევოლიუციონურ ფრონტს და ამაგრებენ ფაშიზმის პოზიციებს.



საჭარ.ის სანერგე

ასეთ გარემოებას არ შეეძლო არ გამოეწვია თვით სოციალ-დემოკრატიის კრახი. უკანასკნელი ცნობებით, $^{2}/_{3}$ გერმანიის სოც. დემ. ორგანიზაციებისა წინააღმდეგია

ცვკას პოზიციის. ლეიპციგის კონფერენცია ადგენს გამორიცხულ იქმნას პარტიიდან გერმანიის პრეზიდენტი ებერტი. ბერლინის კონფერენციაზე საოლქო კომიტეტში ირჩევენ თითქმის ყველა მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს.

რა ხდება თვით მასსაში, როგორია სოლიერი განწყობილება მუშათა კლასის?..

ამ უკანასკნელისთვის აშკარაა დღეს, რომ სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ მუშათა კლასის ხელმძღვანელობა. ებერტ-შტრეზემანის პოლიტიკა უმზადებს გამარჯვებას სტინესს, რომელიც უკვე ემზადება ძალა ფულების ხელში ჩასაგდებათ.

სამოქალაქო ბრძოლა უკვე დაიწყო გერმანიაში.

ბრაუნშვეიგის 100-მდე ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები კატეგორიულათ მოითხოვენ წითელი მთავრობის შედგენას. ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები გამოდიან მოთხოვნილებებით საქსონიის და ტიურინგიის მთავრობათა დასაცავათ.

რეაქციონერების მისწრაფება, რომ პროლეტარული ასეულები დაშლილიყო, დამარცხდა. მუშებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის ასეთ მოთხოვნილებას. გენ. მიულერი იძულებული იყო უარი ეთქვა ამ ასეულებისათვის იარაღის აყრაზე.

რეაქცია გადავიდა შეტევაზე აძლიერებენ რეიხსვერს. მაგრამ პროლეტარიატიც არ სდუმს.—

შუაგულ გერმანიაში ქუჩებში ბრძოლაა. საქსონიის პროლეტარიატი სასაცილოდ იღებს ებერტის ბრძანებას მთავრობის გარეკის შესახებ. ის იბრძვის შექმნას მუშური მთავრობა და აწყობს საერთო გაფიცვას.

იწყება აჯანყება და ქუჩაში ბრძოლა ჰამბურგშიაც, სადაც რეიხსვერმა და ფლოტმა ტყვიები დაუშინა გაფიცულებს და დროებით ჩააქრო აჯანყება. დიდ მღელვარებას აქვს ადგილი ბერლინშიაც.

ბრემენის, კილის, არენსბურგის და ლიუბეკის ნავთსადგურებში ცხადდება საერთო გაფიცვა.

გაფიცვების ჩაქრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყვითელი ლიდერები.

გერმანიაში ორი ძალა სამკვდრო-სასიცოცხლოთ დაუპირდაპირდა ერთმანეთს. ვინ გაიმარჯვებს —გერმანიის მსხვილი კაპიტალი, ფაშიზმის სახით, თუ პროლეტარიატი,—ამას მომავალი გვაჩვენებს, მაგრამ ყველა შანსებია, რომ ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს პროლეტარიატი და ეს იქნება მით უფრო ადრე, რაც ჩქარა გერმანიის პროლეტარიატი განთავისუფლდება ოპორტიუნიზმიდან, რომელიც მას ევლინება სოციალ-დემოკრატიის სახით.

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობაც საშინლად გაუარესდა ამ უკანასკნელ ხანებში. ამ რამოდენიმე დღეში დოლარის ღირებულება 5 მილიარდ მარკიდან ავიდა 100 მილიარდ მარკამდე. გირვანქა პური ღირს მილიარდზე მეტი, სანოვაგე აღარ იშოვება. ადგილი აქვს გამოსვლებს სასურსათო კრიზისის ნიადაგზე. მშიერი ხალხი ეცემა მაღაზიებს. პოლიცია მას ტყვიით უმასპინძლდება.

გრძელდება გერმანიის დაყოფა. ბავარია-საქსონია-ტიურინგიის გარდა მოსწყდა გერმანიას: რეინლანდი, რომლის დამოუკიდებლობა გამოცხადდა ახენში საფრანგეთის იმპერიალიზმის აქტიური დახმარებით, და პფალცი (გამოცხადდა ავტონომია).

ამ მხრით ბერმანიაში ადგილი აქვს რუსეთთან შედარებით ანალოგიურ მოვლენას. ოქტომბრის რევოლიუციის წინ რუსეთიც ასე იყოფოდა, ნაწილდებოდა.

გერმანიის პროლეტარიატის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარიატის რიგებში სვამს აქტუალურ კითხვას დახმარების შესახებ.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში დიდი ინტენსივობით გროვდება დახმარება. რუსეთს შეუძლია გამოკვე-



თბილისი, სააბრეშუმო სადგურის საფუტკრე.

ბოს გერმანიის პროლეტარიატი თავისი პურით. პირველი ტრანსპორტი პურისა უკვე ჩაუვიდა გერმანიის პროლეტარიატს.

ინგლისის კომპარტია ეწევა დიდ აგიტაციას, რომ დაეხმაროს გერმანიის პროლეტარიატს.

პოლონეთმა კი ჩაკეტა გერმანიის საზღვრები და ფიქრობს ამ გზით ამოაღრჩოს შიმშილით გერმანიის პროლეტარიატი.

ბულგარეთში გამარჯვებულ რეაქციის თარეშს არ აქვს საზღვარი. ბულგარეთის თეთრი ტერორის მსხვერპლი გახდა 3.000-მდე რევოლიუციონერი. დატუსაღებულია 25 ათასამდე რევოლიუციონერი, რომელთაგან უმრავლესობას ელის სიკვდილის სასჯელი.

ამხ. დმიტროვმა მიმართა ამსტერდამის ინტერნაციონალს და პროფინტერნს მოწოდებით გამოაცხადონ პროტესტი ბულგარეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ. პასუხი ჯერ არაა. საეჭვოა ყვითელ ამსტერდამს ექნეს იმდენი გამბედაობა, რომ პროტესტი გამოაცხადოს.

კომინტერმა და პროფინტერმა მიმართეს საერთაშორისო მუშათა კლასს მოწოდებით აღმოუჩინონ დახმარება ბულგარეთის მუშებს. ასეთივე მოწოდება გამოაქვეყნა გლეხთა საერთაშორისო საბჭომაც.

დაიწყო მღელვარება პოლონეთში, მთავრობა იღებს სასტიკ ღონისძიებას. ვიტოსი აცხადებს თავს დიქტატორათ.

მიუხედავათ სასტიკი რეპრესიებისა, მღელვარება და გაფიცვები არ ცხრება. პოლონეთიც გახვეულია მუშათა მოძრაობის ცეცხლის ალში...

უბედურ კაცს ქვა ღობართში მოეწიაო, ასე ემართება იაპონიას. ამ რამდენიმე დღის წინეთ აქ ადგილი ქონდა ტაიფუნს, საშინელ წვიმებს, ნიაღვრებს და ახალ მიწის ძვრას. კვლავ აუარებელი შენობების დანგრევა, მსხვერპლი.

მთავრობა, იმის მაგიერ, რომ ხელი შეუწყოს იაპონიის აღდგენის საქმეს, მხოლოდ თეთრ ტერორს აწარმოებს, აპატიმრებენ და ხვრეტენ იმათ, ვინც ეწინააღმდეგება იაპონიის მთავრობის პოლიტიკას.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში დიდი ტემპით მიდის ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ბუნებრივი თვით-ლიკვიდაცია.

საქართველოს მენშევიკების შემდეგ თვით ლიკვიდაცია უქნეს თავის ორგანიზაციებს ეროვნულ-დემოკრატებმა და ახალგაზრდა მარქსისტებმა. ეს უკანასკნელები მენშევიკებთან ერთად დადგენ მესამე კომინტერნის პლატფორმაზე.

სომხეთში მოხდა ლიკვიდაცია დაშნაკცუტუნის.

მენშევიკების ორგანიზაციების თვით ლიკვიდაცია მოხდა რუსეთის უმთავრეს ცენტრებშიაც (დონბასში, ტულაში, ოდესაში, ხარკოვში სორმოვოში).

დამთავრდა ესერების სრული ლიკვიდაციაც, 3 ათასამდე ესერი გადმოვიდა კომინტერნის პლატფორმაზე. აქედან 80 % მუშებია.

პეტლიურას მარჯვენა ხელი ტიუტიუნიკი და სხვა თეთრ გვარდიელები წარუდგენ საბჭოთა მთავრობას და სრული მორჩილება განუცხადეს.

საერთაშორისო გლეხთა კონფერენციამ, რომელიც გაიმართა მოსკოვში, გამოიჩინა დიდი ინტერესი კომინტერნისადმი, გაეცნო მის მუშაობას და მოუწოდა მსოფლიო გლეხობას იბრძოლონ მუშათა-გლეხთა მთავრობის დასამყარებლად. ამ კონფერენციამ აირჩია საბჭო, რომელიც ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციას შეუდგა.

ყველა ეს ფაქტები დამამტკიცებელია იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ღრმა ფესვები აქვს გადგმული მასსაში და დღეს შიგნით მის წინააღმდეგ მებრძოლი არავინაა.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ გამტკიცება-გამარჯვების უდიდესი ფაქტორია ეკონომიური სიმძლავრე.

ამ დღეებში გამოქვეყნდა სამეურნეო 1922—1923 წლის ანგარიშები, საიდანაც აშკარაა დიდი წარმატება ამ სფეროში. ჩვენი სავაჭრო ბალანსი უკვე აქტიური ხდება. შრომის ნაყოფიერება შესამჩნევად გაზრდილა წინანდელ წლებთან შედარებით, იზრდება შექმნილ ღირებულებათა რაოდენობა, წარმატების გზაზე შემდგარი ხელფასი, რომელიც უახლოვდება რეალურ ღირებულებას.



ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები.

მარტო ამ უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში გარეშე ბაზრებზე რუსეთს გაუტანია 8 მილიონი ფუთი პური. საქონლის გატანა უცხო ბაზარზე გრძელდება.

21 ოქტომბერს დაიხურა მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელმაც აშკარად დაანახა ყველას, თუ რა დიდი, საზღაპრო საქმე გააკეთა ამ მოკლე ხანში, საერთოდ მეტად ცუდ ეკონომიურ-პოლიტიკურ კონიუნქტურის პირობებში, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირმა.

და ეს შესძლო მხოლოდ პროლეტარიატის ძალამ, ენერგიამ, დაუღალავმა შრომამ.—

## ახალი მიღწევანი ძველ-ქართულ მწერლობის ისტორიაში.

ქართული მეცნიერების წინსვლა, მიმდინარე წელს აღინიშნა ორი მოპოებით. ეს არის ეგრედ წოდებულ ხანმეტ ტექსტების აღმოჩენა, რამაც თავისთავად დასვა საკითხი ჰაემეტ ტექსტების შესახებაც. რას წარმოადგენს ეს მოპოება და რას აძლევს ის ახალს ჩვენს მეცნიერებას?

მთავარი მნიშვნელობა ამ მოპოებისა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ეხლა საშუალება გვეძლევა ჩავიხედოთ ქართულ მწერლობის და კულტურის განვითარების უძველეს ხანაში და ვიქონიოთ უტყუარ ხელმოსაკიდებელ საბუთებზე დამყარებული მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით ვითარდებოდა ქართული მწერლობა მისი განვითარების პირველ საფეხურებზე. ხანმეტ ტექსტების აღმოჩენა მოხდა თითქმის ერთსა და იმავე დროს ინგლისსა და ჩვენში. ინგლისში ქართული ხანმეტი ტექსტები აღმოაჩინა ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისს პროფ. ბლეიკმა, ქართულის კარგად მცოდნემ, და ნ. მარრის მოწაფემ. წელს კიდევ ასეთივე ტექსტები აღმოჩნდა ტფილისშიც. ტექსტები დაცულია ეგრედ წოდებულ პალემსესტ ხელნაწერებში. პალემსესტი ეწოდებოდა ისეთ ტყავს (პერგამენტს), რომელიც ერთხელ უკვე გამოყენებული იყო დასაწერად, შემდეგ ეს დაწერილი ტექსტი განგებ გადარეცხილ იქნა, რათა ტყავი ხელახლავ დასაწერად გამოყენებულიყო. რადგანაც პირველი ტექსტის მელანი ხშირად ძლიერ მკვიდრი იყო, ამიტომ მიუხედავად გადარეცხვისა ძველი ნაწერი ალაგალაგ მაინც სჩანდა თუმცა ძლიერ მკრთალად, ასე რომ მისი ამოსაცნობად საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა კ რგი თვალი. ამით აიხსნება, რომ თუმცა ამ ტექსტებზე ჯერ კიდევ ამ 25 წლის წინად ყურადღება ჰქონდა მიქცეული ნიჭიერს მკვლევარს, თედო ჟორდანიას, (სხვებმაც იცოდნენ ამ პალემსესტების არსებობა) მხოლოდ წელს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა და შემდეგ პროფ. აკ. შანიძემ კვლავ მიაქციეს ყურადღება, პირველმა ხანმეტ და მეორემ ჰაემეტ ტექსტებს და შესძლეს მათი ამოკითხვა და გარჩევა.

რას წარმოადგენს ეხლა ეს ხანმეტობა დაჰაემეტობა? ჯერ კიდევ პროფ. ნ. მარრს ჰქონდა მიქცეული ყურადღება, რომ მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი **ხ**-ანი ზმნაში ვარ და ვვალ (ხარ და ხვალ, მაგ., მი-ხვალ, წახვალ და სხ.) წარმოადგენს რიღაც უძველეს დროის ნაშთს, როდესაც პრეფიქსი **ხ**-ნი საერთო მოვლენად უნდა ყოფილიყო. ამ ხანის მაგივრად ძველს ქართულში (გარდა ამ ორ მაგალითისა) მეორე პირის სუბიექტიურ პრეფიქსად იგულისხმება ჰაე, რომელიც ხმოვნის წინ იკარგება, ხოლო ენის წვერის ბგერათა წინ სანად და შინად იქცე-

ვა (ს-წერე, შ-ჭამე და სხ.) აკ. შანიძემ, რომელიც ამ საკითხის შესწავლას განაგრძობდა, მიაქცია ყურადღება, რომ თუშურ, მოხევურ და ხევსურულ კილოებში ეხლაც შენახულა ამ გვარად პრეფიქსად **ხ** და **ლ**, მაგ., მოხქსოვე, დახფარე, დალბარე, ღნახე და სხ. მეტიც ი. ჭეიშვილმა მიაქცია ყურადღება, **ხ** როგორც სუბიექტური პრეფიქსი, შენახულა ტფილისის ახლოს ქართლურ კილოშიც, (იხ ი. ტუტანაშვილის მოზრდილი წიგნი: „ცხოვრების გზაზე.")

საინტერესოა, რომ ხსენებულ ქართულ კილოში აქამდის შენახულა ხანი როგორც ობიექტიური ე. ი, დამატების მაჩვენებელი პრეფიქსი, მაგალითად ხკითხა მას, ქალს თვალს მოხკრამდა და სხ. აი ამ მოვლენასთან გვაქს საქმე ახლად აღმოჩენილ, უკეთ ახლად წაკითხულ უძველეს ქართულ პალემსესტებში. ტექსტი თავის თავად რომ ძალიან ძველია, ამას გვიჩვენებს ასოების მოხაზულობაც. უძველეს ქართულ ხუცურ ასომთავრულში ზოგიერთი ასო როგორც მაგალითად, ბანი იწერებოდა ზევიდან თავგახსნილად. აღმოჩენილ ტექსტებში კი ბანი თავშეკრულია. სხვათაშორის ამ მოსაზრებისა გამო პროფ. ჯავახიშვილი ამ ტექსტებს მე 5--6 საუკუნისად სთვლის. შესაძლებელია, ასეთი შეხედულება გადაჭარბებული იყოს (თავშეკრული ბანი თუმცა იშვიათად, მაგრამ მე-10 საუკუნეშიც გვხვდება). საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად კიდევ ახალი მასალებია საჭირო, მაგრამ ერთი ცხადია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს მართლაც ძველ და იმავე დროს აქამდის არცნობილ კილოზე აღმოცენებულ ქართულ სალიტერატურო ენის ნიმუშებთან.

საინტერესოა, რომ ასეთ ხანმეტ ტექსტებს გარდა აღმოჩნდა ჰაემეტ ტექსტებიცა, ე. ი. ისეთი ტექსტები, სადაც სუბიექტიურ და ობიექტიურ პრეფიქსად ჰაე იხმარება. მაგ., ჰიყო (ხანმეტი ვი—ხ იყო იყოს ნაცვლად), ჰჭამე, ვჰკითხე, ჰიყავ და სხ. ამ საგანზე ამ ჟამად მუშაობს აკ. შანიძე, რომლის აზრით ეს კილო წარმოადგენს უძველეს კილოს, რომელზედაც თავიდანვე მოეწყო ქართული სალიტერატურო ენა და შემდეგ განვითართა ვიდრე ეხლანდელ დრომდის. საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს დამუშავებას, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი უნდა იყოს, სახელდობრ, როდესაც ქართულმა მწერლობამ მრავალ ტემპით დაიწყო განვითარება და ეს მოხდა ქრისტიანობის საბოლოოდ დამკვიდრების შემდეგ—მე-5 საუკუნიდან, სალიტერატურო ენამ იწყო შემუშავება ორს მთავარ კილოს საფუძველზე. ერთი კილო იყო თანამედროვე თვალსაზრისით ხანმეტი, მას ახასიათებდა ზმნებში სუბიექტიურ და ობიექტიურ პრეფიქსად ხ (ხ იყო, ხკითხე, ხიყავ, ხთხოვდეს და სხ.) და მეორე კი ჰაემეტი (ფორმებით ჰიყო, ჰკითხე, ჰიყავ, ჰთხოვდეს და სხ.). პირველ კილოს დაახლოვებით მე—8—9 საუკუნიდან სალიტერატურო ენა ჩამოშორდა და რადგანაც ხანმეტ ტექსტები შემდეგ დროინდელ ქართველობის ყურს ეჩოთირებოდა, ამიტომ, ასეთი ხელნაწერი გადარეცხილ და მასალად ხელახლავ გამოყენებულ იქმნა. აქედან გაჩნდა ჩვენამდის მოღწეული ხანმეტი პალემესტება. მეორე კილო კი შერჩა სალიტერატურო ენას ბოლომდის. მხოლოდ პრეფიქსი ჰაე ხმოვან ბგერების წინ დროთა განმავლობაში გაქრა (დარჩა იყო, იყავ და სხ.). ხოლო ენის წვერ თანხმოვანთა წინ გადავიდა სანსა ან შინში, მაგ., სჭამ, სწერ და სხ. ზოგი ერთი შემთხვევაში ეს უძველესი ჰაემეტი დაცული იყო ლიტერატურულ ქართულში ბოლო დრომდის. უკანასკნელ დრომდის მიღებულ იყო და ბევრიც ეხლა სწერს: ჰკითხა მას და სხ.

ამოკითხული ხანმეტი ტექსტები ჯერჯერობით შინაარსით ერთფეროვანია, სახელდობრ დაბადებიდან და ახალი აღთქმიდან. მომავალში შესაძლებელია აღმოჩნდეს რაიმე სხვა დარგის ნაწარმოებიც. ჰაემეტი წაკითხული ტექსტიც ღვთის მსახურების იერუსალიმელ განჩინებას წარმოადგენს. მიუხედავად ტექსტის ერთფეროვნებისა შინაარსის მხრივ მაინც ორივე ამ აღმოჩენის მნიშვნელობა დიდია, უმთავრესად ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით რადგან რამდენადმე მაინც საშუალება გვაძლევა გავერკვიოთ ქართულ სალიტერატურო ენის განვითარებაში მის პირველ საფეხურზე. საკითხი ჯერ მხოლოდ დასმულია, მის საბოლოოდ გარკვევას კი უნდა კიდევ სხვა და სხვა დარგის სპეციალისტთა ხანგრძლივი მუშაობა.

ს. კ—ძე.

---

# ს პ ა რ ტ ა კ.

ისტ. დრ. 5 მოქ. 6 სურათად.

## მოქმედება პირველი.

ცირკის წინ ალაყაფის კარები, ფარდებით ჩამოფარებული, მას ჩამოსდევს ტერასსა.

I.

**აციონ და მეტრობი,** გვერდით სცენის
სიღრმეში მოვარჯიშე გლადიატორები.
**მეტრობი.** თითქმის მოსულან სუყველანი... სულლა აკლია!
**აციონ.** ნეტა იცოდე, მეტრობი, თუ რარიგ ვკანკალებ!
რარიგად ვღელავ!...
სწორედ ათის წლის სიცოცხლესა დღეს დავკარგავდი!..
**მეტრობი.** ეგ იმიტომ რომ, მეგობარო, ფულის ხარბი ხარ!
რატომ ბატიატს არ მიჰპართა შეტარმა სულლამ?
ათი-ათასი ჰყავს გაწრთვნილი გლადიატორი,
შენ კი იმისი ნახევარიც არ გეყოლება!
**აციონ.** მაგრამ მყავს ერთი და ის ერთი ყველას იყიდის...
შენს ბატიატსაც და მის ყველა გლადიატორებს...
**მეტრობი.** სიხარბის გარდა, ვრწმუნდები, რომ შენ ხარ
მკვეხარაც!
**აციონ.** როგორ გგონია, სულლა ისე გამოსულელდა?...
**მეტრობი.** (პირზე ხელს აფარებს) სუ! არ გაგვიგონ!

**აციონ**. როგორ გგონია, დიქტატორი ჩვენი ძლიერი,
ქალებისგან მოწონებული...
დიდი ჭკვიანი
სახით ლამაზი...
**მეტრობი**. ნურც მაგრე აქებ...
მან კარგად იცის, გარეგნობა ჰირმა დაუფქვა!
იგი დაცინვად ჩამოგვართმევს, ჯვარზე გაგაკრავს!
მე კი, ძვირფასო, დამიფარონ ყველა ღმერთებმა!
**აციონ**. რას გეუბნები: განა სულლა მე მომმართავდა,
რომ არ იცოდეს ღირსება ჩემთ გლადიატორთა?
მომცა სამასი სესტერცი და კიდევ დამპირდა!
**მეტრობი**. და რას დაგპირდა?.. შენ დამაცა!.. მე ყური მოეკარ!
ის შენ დაგპირდა სასჯელს...
**აციონ**. (ჩაიკეცება) როგორ? რას ამბობ, მეტრობ?
**მეტრობი**. (ცხვირწევით)
დიახ, დაგპირდა შენ ის სასჯელს, თუ ვერ აამებ...
**აციონ**. (მობრუნებული, რიხიანად)
ეგ სხვა საქმეა... მე მყავს-მეთქი გლადიატორი,
რომელიც ყველა ჩემს ცოდვებსა გამოისყიდის!
(დიდის ჟესტით)
სპარტაკ! შენ იცი? სპარტაკ-მეთქი!
**მეტრობი**. ყვირილზე გატყობ, გადაჰკრავდი ფალერის ღვინოს!
**აციონ**. ვფიცავ ჰერკულესს, იუპიტერს, ვფიცავ ვენერას
ჩემი სპარტაკი შენ არ იცი, ჩემი სპარტაკი!
**მეტრობი**. მაგდენ ფიცს სჯობდა ერთი ყლუპი ფალერის ღვინო.
სტომაქს აკლია და თავშიაც ლიტინს იწყობდა.
თორემ მე, აბა, რა სარფა მაქვს, შენმა სპარტაკმა
სისხლი დაღვაროს და დაგიხსნას სულლას რისხვიდან?!
**აციონ**. (სიცილით) ეგეც იქნება! ო, მეტრობი! ეგეც იქნება!
მხოლოდ შენ, როგორც მსახიობი, სულლას ხუმარა.
ახლო მიუჯექ, ყველაფერი მიქე—მიდიდე.
არ კი მიგიხვდეს... შეპარებით, გადაკვრ-გადმოკვრით!
შენის გაკილვით ალმადგენ და კიდეც დამამხობ!
ეს ათი დღეა, სულლა ისე გულუხვი გახდა,
რომ თვის ქონების შეჭმას იგი რო ველარ ასწრობს,
ხალხს აქეიფებს, დღე-და-ღამე ღრიანცელია!..
**მეტრობი**. ხალხის გულს იგებს...
შენსა ქონებას თუ მე ძალით მივისაკუთრებ,
რად დავიშურებ, მით მე ხალხის გული მოვიგო?
**აციონ**. ამ ცირკში შებმაც ხალხისათვის გამამართვინა,
და თუ მან ჩემთვის საჩუქარი რამ გაიმეტა,—
მეათედ ნაწილს, გეფიცები, შენთვის გადავდებ!
**მეტრობი**. მხოლოდ მეათედს? მე გაქო და, მხოლოდ მეათედს?!
ჰოი ღმერთებო! რა კრიჟანგი რამა ჰყოფილხარ!
**აციონ**. იყოს, რაც გსურდეს...
**მეტრობი**. დიდებული ვინმე ჰყოფილხარ!
ჩემო აციონ! დიდებული მთელ ამ ჩვენს რომში!
რა არის შენთან ბატიატი?—მართლა ბატია!
დიდი ვინმე ხარ, შენზე მაღლა მარტო სულლა სდგას!
(საყვირის ხმა.)
**ცირკში. ყვირილი:** ღირსეულს სულას გაუმარჯოს!
ღირსეულ სულას გაუმარჯოს!
**აციონ**. სულლაც მობრძანდა...
**მეტრობი**. ამ ტაშს უკრავენ მზარეულებს და სულლას ჯიბეს!

II.

**იგინივე. სპარტაკ, კრიქს, მირმილიონ, რეციარი, ნებულინ ერდელი და სხვა გლადიატორები**

**მეტრობი**. ცხვრებო და თხებო! დაუკარით, ხვალ ლახვარს ჩასცემთ!
**აციონ**. ჩემო ვეფხვებო! შევარდნებო! მიმინოებო!
დღეს პირველსა და საზეიმო სანახაობას
იხილავს რომი და იმისი წარჩინებულნი...
**მეტრობი**. (მდაბლად თავის დაკვრით)
აი, როგორც მე, მაგალითად!
**აციონ**. მხნედ და მამაცად! მე თქვენთვის ვარ თავდადებული!
**მეტრობი** გეფიცებით რომ თქვენს მაგიერ იგი სისხლს დაღვრის!
**აციონ** როგორ მიყვარხართ, ეს ხომ ყველა თქვენგანმა იცის!
(ფაცი-ფუცობს, აქეთ-იქით მიმორბის და ბუტბუტებს:
მამაცად! მამაცად!)
**მეტრობი**. ჰო! ჰო! ჰო! ჰო! როგორ შეხურდა!
**აციონ**. სპარტაკ! შენი მაქვს დღეს იმედი! აბა მამაცად!
უნდა სალამი ვუძღვნა სულლას!... აბა მამაცად!... (გარბის).

III

იგივე აციონის გარდა.

**მეტრობი** (სპარტაკს) მოგესალმები! და თუ, სპარტაკ! შენი პატრონი
დღეს ასახელე, გეფიცები რქებიან ბახუსს,
ფალერის ღვინო მუცელსა და ყელს გამიგრილებს...
თქვენ იქ სისხლს დაღვრით, მე კი ღვინოს - - -
არა, არ დავღვრი!
შენს სადღეგრძელოს გიახლები „რემის სარდაფში"!
**სპარტაკ**! რომაელებო! გვაწამეთ და ნუ კი დაგვცინებთ!
**კრიქს**. მაგათი სისხლი სულ სხვა არის.., ჩვენ მონები ვართ!
სამასხაროდ ასაგდებნი, ფეხით სათელნი!
**მეტრობი**. არა! გარწმუნებთ, ვერ გაიგეთ! ეს თქვენ არც იცით!
კორნელი სულლა იმ ლიპიანს დაასაჩუქრებს
და ნახევარი ჩემი არის—თუ ასახელეთ!
გლადიატორი მეც ვარ თქვენებრ, მხოლოდ გარჩევა
იმაში არის, თქვენ ხმალს იქნევთ, ხოლო მე ენას!
თქვენ იბრძვით მძაფრად, პატრიცები ასიამოვნოთ,
მე მათ წინაშე ვილმანჭები და ვმაიმუნობ:
ყველანი ერთში სწორ-სწორედ ვართ: ჩვენ მონები ვართ!
**მირმილიონ** ჩვენ კარგად გიცნობთ, მსახიობო!
**მეტრობი**. ოჰ, მირმილიონ! დამექომაგე!
გახსოვს „დიანას სარდაფში" რომ ერთად დავლიეთ!?
**ნებოლინ** ჩვენ მონები ვართ, მაგრამ ერთხელ უღელს გადვიგდებთ,
დავამსხვრევთ ბორკილს, ჩვენი სული რო შეუხუთავს,
მოვსპობთ რკინის ხელს, რამაც ნივთად გარდაგვაქცია,
ქვეყნის ბატონებს მეხს და რისხვას თავს დავატეხავთ!

უნდა მოისპნენ, ჩვენი ბედი ვის ხელშიც არის!
**მეტრობი**. (ძლივს ლუღლუღებს შეშინებული)
თუ ძმა ხარ, ჩუმად! გამონელდა რაც კი დავლიე.
საშიში აზრი!... რა თამამათ... მერე ამ ადგილს,
სად შეკრეფილა ძლიერება მთელი რომისა?
დღევანდელ ბრძოლას თუ გადარჩი, ნულარსად იტყვი...
**რეციარი**. ჩემო მეტრობო! შენ მართლაც რომ მონა ყოფილხარ!
მონა სხეულით და მაგ სახით — ეს მე ვიცოდი,
მაგრამ სულითაც რომ ყოფილხარ, ეხლა გავიგე!
**მეტრობი**. სულს დაეხსენი! ეპიკური მას უარსა ყოფს..
ზედ რომ აკრავენ, იმ ჯვრებისა არ გეშინიან?
**რეციარი** საშიში რაა? ერთხელ გშობეს, ერთხელ მოჰკვდები!...
**მეტრობი**. და თუ მოვკვდები, მე რას მარგებს, ვინც გაიხარებს?
თავშიმც უხლია დიდი ლოდი, ვინც აქ დარჩება!
**მირმილიონ**. შენ რომ დაგიგდოს კაცმა ყური, ამ ქვეყანაზე
იგი მონობა არასოდეს არ მოისპობა!
რადგან სულით მხდალს...
**მეტრობი**. (მდაბლათ თავს უკრავს)
დიდათ გმადლობ ასეთ ქებისთვის...
**მირმილიონ**. შენზე არ ვამბობ... საზოგადოდ ისე იფიქრე..
რადგან სულით მხდალს ეშინიან თავგანწირვისა;
თავისუფლების ტაძარი მაშ ვინ ააშენოს,
თუ ან შენ, ან მე და ან იმან თავი არ დასდო?
თუ შენ ღმერთების იმედი გაქვს, წადი იმათთან!
**მეტრობი**. სწორედ ეგ არის, რომ ღმერთებთან წასვლა არ მინდა!
მინდა სიცოცხლეს გამოვლიოლნო ნსუქანი გვერდი,
ზედ დავაყოლო ოომოცი წლის ფალერის ღვინო!
(სიჩუმის შემდეგ მოწყენილი)
ეხ, ყმაწვილებო! განა სტყუით? ეხ, არა! არა!
მეც რომ აქ მხედავთ, სულ შემთხვევით—
როცა დამარცხდა მარიუსი, სულლას მეტოქე,
აჯანყებულებს ისრით ხვრეტდნენ, ძელზე ჰკიდებდნენ.
მეც მოვყე მათში, მაგრამ მიხსნა კლავდი ლეპიდმა,
რადგან მიცნობდა დაუზარელს და ხალისიანს,
ჩემის ხუმრობით კუჭს და ფილტვებს ილიტინებდა!
მეც მათ ცხოვრებას ჩავები და ვსვამ და ვოხუნჯობ!

### IV

იგინივე და აციონი.
**აციონ შემორბის. ხვითქი გადასდის. ქშენით)**
აბა თამამად! მირმილიონ! შენ რეციარი!
უნდა დაიწყოთ! კონსულებმა ნიშანი მომცეს!..
ას-ასი კაცით რა გაივლით, ერთხმად დასძახებთ:
„სალამი შენდა დიქტატორო! — აბა, თამამად! (გარბის)

### V

იგინივე აციონის გარდა
**მირმილიონ**. მშვიდობით ჩემო, რეციარი!
**რეციარი**. მშვიდობით ჩემო მირმილიონ!
თვალზე ცრემლები არ მადგება, რომ ჩვენში ერთი
ამ წუთი სოფელს სამუდამოდ გამოაკლდება,
მაგრამ რაც ბრაზი მოსწოლია ამ ჩემ ბედკრულ გულს,
დაე, ის ყველა მონის გულში ერთ დროს აინთოს
და გადაბუგოს, ვინც ჩვენ მოძმის სისხლს გვაღვრევინებს!
**სპარტაკ**
მშვიდობით ძმებო! ვეღარ მნახოს იქნებ ერთერთმა...
თუმც მეც არ ვიცი, დღეს სიკვდილსა თუ გადვურჩები...-
**მირმილიონ | რეციარი** თუ ვეღარ გნახოთ, ჩვენი აღთქმა არ დაივიწყო!
**სპარტაკ**. იმ ჩვენს სისხლს ვფიცავ, მოედანზე ღვარად რომ მიდის,
ჩემს სულსა მხოლოდ ვასაზრდოებ შურის ძიებით!
**კრიქს**. ყველამ ერთმანეთს ფიცი მივცეთ!
**ყველანი** (ხელებს ერთმანეთ გადააჭდობენ)
—ვფიცავთ ჩვენს ძმობას,
—ვფიცავთ ჩვენს მიზანს...
—თავისუფლებას!
ვინც კი გადარჩეს წმინდა აღთქმას თავი შესწიროს!
**მეტრობი** ეგ რა აღთქმაა? მეც თქვენ ფიცში რად არ მიმიღებთ?
**სპარტაკ** ეს ის აღთქმაა, დღეს ჩვენ უნდა კარგად ვიბრძოლოთ,
რომ ვასახელოთ პატრონიც და თვით ჩვენი თავიც!
**მეტრობი** ეგ ძლიერკარგი! მეც მერგება სესტერციები!
**სპარტაკ** (ამხანაგებს)
მაინც და მაინც ამ დალმენჰილს ნურას გაანდობთ!
ეგ ბატონების ნასუფრალსა ვერ მოშორდება!
(მირმილიონ და რეციარი გადიან)

### VI.

იგინივე, მირმილიონის და რეციარის გარდა.
**სპარტაკ** საბრალო ძმებო! სად მიდიხართ? რისთვის მიდიხართ?
აქ ერთმანეთის სიყვარულით ვერა ძღებოდით;
ძმები იყავით უდედმამო და უსახლკარო,
ეხლა კი უნდა ერთმანეთის სისხლი დაჰღვაროთ!
**ცირკში გლადიატორები**. სალამი შენდა დიქტატორო,
(გარედ დიდი ხმაურობა და ტაში. კრიქს და ნებულინ ტერასიდან ცირკში იყურებიან. საყვირის ხმა.)
**მეტრობი** ჩერჩეტო მეტრობ! დაპირება არ დაგავიწყდეს!
უნდა წავიდე და ჩემს სულლას ფერხთით მოვუჯდე! (გადის) უბრალო-რამე ხომ არ არის სესტერციები!

### VII.

იგინივე მეტრობის გარდა.
**სპარტაკ** უკვე დაიწყო ხოცვა-ჟლეტა სასაკლაოზე!
ო. იგი კვნესა და ღრიალი დაჭრილებისა!
ღმერთო მაღალო შენ რომ შეჰქმენ ეს ქვეყანაა?
ეს სისხლის მსმელნი შენს შვილებად გაგიჩენია?
მაშ შენ ეგრევე ყრუ იქნები, რომ გლადიატორთ
ხმალი აიღონ მაგიერის გარდასახდელად!
**ნებულინ** ექვსი ლა იბრძვის მოედანზე... ოთხიც დაეცა!
დარჩალა მარტო რეციარი და მირმილიონ!
ბადე ესროლა რეციარიმ და შიგ გაება!
**სპარტაკ** საბრალო ჩემო მირმილიონ!
ნებულინ, მითხარ, ბადეშია ისევ გაბმული?
**ნებულინ** იგი დაწყვიტა და გაეშვა! გამოეკიდა..-
**კრიქს** კვერთხი გადაჰკრა! რეციარი მიწაზე გდია...,

სისხლით ილლება!
**ნებულინ** პატიებას არა მდომობენ!
**ყვირილი:** მოჰკალ! მოჰკალ!
**კრიქს** (წამოიძახებს და დაბლა ჩამოდის)
გული გაიპო თვისი მახვილით
და დაიძახა: „იყავთ წყეულნი!“

VIII.

იგიინივე და აციონ

**აციონ** (შემორბის) დიდებულია, დიდებული!—აბა თამა-
მად!
სპარტაკ, ძვირფასო! მზათ იყავით, ვიდრე ასწმენდენ...
და გაიტანენ დახოცილებს! აბა თამამად! (ისევ გარბის)

IX

**სპარტაკ.** ჩემო ნებულინ! ერთხელ კიდევ გადავეხვიოთ!
ნებულინ ჩემო! საყვარელო, ჩემთან აღზრდილო!
როგორც ნადირი მე და შენაც უნდა შეგვებან!
ნეტავი მტრები მაინც ვიყვნეთ, ან და მახსოვდეს
მციოეოდენი წყენა შენგან! ან მომდურება!
მე ფრაკიელთა მეთაურმა, შენ სამნიტელთა
უნდა შევანთხათ ერთმანეთსა სისხლი და ტვინი!
აციონმა კი ოქროებით ჯიბე გაივსოს!..
**ნებულინ** ძმაო! ილოდე, რომ მოვკვდები დამშვიდებული!
**სპარტმკ.** არა ძვირფასო! შენ ილოცხლე და მე მოვკვდები!
**ნებულინ** მაგას რომ ამბობ, ჩვენს აღთქმაზე ნუ თუ
ხელს იღებ?
უნდა ილოცხლო, მონების ჯარს უხელმძღვანელო.
შენ აზრი გაქვს და მოხერხება! მე ვიყო მსხვერპლი!
**სპარტაკ** ძმაო, ილოცხლებ!
**ნებულინ** და თუნდაც მოვკვდე. ამომყარე იმათი ჯავრი!
ყველა ცეცხლს მიეც მჩაგვრელნი და განცხრომის ძენი!
ჩემი ანდერძი. სპარტაკ! ძმაო! მხოლოდ ეს არის! (კიდევ
გადაეხვევა)
დალახვროს ღმერთმა! სხვა დროს რა რიგ გულმაგარი ვარ.
ეხლა კი, დახე, ცრემლი მახრჩობს! მშვიდობით ყველას!
(გადის)

X

(იგივე, ნებულინის გარდა)

**კრიქს** (მიმავალ სპარტაკს) სპარტაკ მშვიდობით!
**სპარტაკ.** ჩემო ერთგულო!
ვინიცობაა მე ცოცხალი ველარ დავბრუნდე,
ნახე ოკნომან, ბატიატის გლადიატორი!
მან ყველა ჩვენი საიდუმლო თითქმის რომ იცის!
ვინც გადარჩებით, იმოქმედეთ იმასთან ერთად!
(გადის. კრიქსი ღრმად ჩაფიქრებული დაბლა იყურება
ხან შეაჟრჟოლებს, ხან კბილებს აღრაჭუნებს)

XI

კრიქს, რამდენიმე გლადიატორი, შემოდიან აციონ და
მეტრობი.

**მეტრობი** რასაც დამპირდი, ერთ ასსასაც აღარ დავაკლებ!
ითქვა—გათავდა! რაც გადასდევა სულლამ შენს ჯილდოთ
დიახ, უკლებლივ ნახევარი მე ერთს მეკუთვნის!
**აციონ**. ვფიცავ დიანას, ბევრი არის!
**მეტრობი**. მეც ბევრი გაქვ!
**აციონ.** კრიქს! ვერა ჰხედავ, რომ ბატონი შენს წინაშე
სდგას?
**კრიქს.** (გამოერკვევა) ახ ბოდიშს ვიხდი!
ფიქრმა წამიღო, რომ სპარტაკი გამოგვეცალოს,
ვილა გვასწავლის მისებრ მწყობრად ფარიკაობას?
**აციონ** მერე, მაგაზე, შენ რას სდარდობ? მიდექი უკან!
— ო, ეს მხეცები! ნივრით ყარან! —აქ ამო, ზევით!
(მეტრობ და აციონ ტერასაზე ადიან)
მე ცირკის ბედსა, შენ ქროიმისას კარგად ვეყუროთ!
ის ვინ ქალია სულლას გვერდით?
**მეტრობი.** რაღა შენც სწორედ ეგ თვალები იმას მიმპყარ!?
იქვე ზის ახლოს ვეტიბიუეც—ბერძნის ასული!
**აციონ.** არა? ის იქცევს ყურადღებას!
**მეტრობი.** დიახ, ის იქცევს,
შენ კი არ უნდა მიაქციო! ეჭვი,—და მორჩა!
**აციონ** ერთი უყურე მოხუც სულლას, როგორ შეჰყურებს...
**მეტრობი.** მისი ცოლია! ვალერია!
**აციონ.** როგორ თუ ცოლი!
**მეტრობი** გინდ საყვარელი და გინდ ცოლი, რა გარჩევაა?
ისიც ქალია, ისიც ქალი!
პირველმა ქმარმა თუ მაგან ქმარს თავი ანება...
მიზეზს ნუ მკითხავ! როცა კაცი სამოც წელს აჰწევს...
**აციონ** მაგრამ თვით სულლაც. მოხუცია ახალგაზრდისთვის.
**მეტრობი** დიახ, თვით სულლაც ფარხმალ დაჰყრის და
რქებს აისხავს!
(ცირკში დიდი ხმაურობაა. იძახიან: ვაშა სპარტაკს!)
**მეტრობ** რა საზარელი ბრძოლა არის... თავებს იჩეხენ...
ღმერთმა დასწყევლოს, აღარ ძალმიძს მათი ყურება!
**აციონ** რას ამბობ მეტრობ! მეც იმათში ლამის გალავხტე!
იქ მოედანზე დარჩა მხოლოდ შვიდი სამნიტი.
ფრაკიელი კი მხოლოდ ოთხი! ვის მხარეს იჭერ?
**მეტრობ** სდებ სანაძლეოს?
**აციონ** თუ შენ წააგე. იმ ჯილდოზე ხელი აიღე;
თუ მე წავაგე შენი. იყოს რასაც კი მომცემს!
ვის მხარეს იჭერ?
**მეტრობი** იქ ოთხია! სამნიტი შვიდი!
იქ სპარტაკია, მაგრამ შვიდთან ვერას გახდება!
**აციონ** ვის მხარეს იჭერ? წითლებისას თუ ლურჯებისას!
**მეტრობი** შვიდის მხარე მაქვს—ლურჯებისა!
**აციონ** მე წითლებისა—სპარტაკისა! მოიტა ხელი!
**მეტრობ** რა მოუვიდათ? იქ სამნიტი რამდენიღაა?
**აციონ** შეთანასწორდნენ!
**მეტრობი** როგორ თუ შვიდმა ოთხს ვერ აჯობა?
**აციონ** ყველა სამნიტი დაჭრილია!
**მეტრობი** (შეშფოთებული) მარტო სპარტაკი ებრძვის იმათ?..
**აციონ** ორნიღა დარჩნენ: სპარტაკი და სქელი ნებულინ.
(ცირკში დიდი ხმაურობაა. ტაში და ძახილი: ვაშა სპარ-
ტაკ! ვაშა სპარტაკ! სჩანს, სპარტაკმა ნებულინი და-
ამარცხა.)
**მეტრობ** დავიღუპე!
**აციონ** ხა! ხა! ხა!
**ყვირილი გარედ.** მოჰკალ, სპარტაკ! მოჰკალ, სპარტაკ!
**აციონ** სპარტაკმა ფეხქვეშ ამოიდო.
არ უნდა მოჰკლას... ხალხს ევედრება...
არ შეიწყნარეს... მახვილი ჩასცა...
**მეტრობი** ახია მასზე! წამაგებინა!
არა, არა ვარ მე თანახმა სანაძლეოსი!

**ყვირილი** სპარტაკს მისცეს თავისუფლება!
**აციონ** ეგ საზიზღრები რას ჰყვირიან? არა, არ უნდა!..
თავისუფლება სპარტაკს არა! დეზერტირია!
(იმზირება და შემდეგ შეჰყვირებს)
მეც დავიღუპე!
სპარტაკსა სულლამ მიანიჭა თავისუფლება!
წყეულიმც იყოს სიმამაცე მაგ სპარტაკისა!
თორმეტ ათასი სესტერცია ჯიბეს დამაკლდა!
(გარბის და თან იძახის: რა ჰქნეს? გამცარცვეს... ყელი გამომჭრეს..,. წინ პატრიციები ჰშეხვდებიან და შეაჩერებენ. მეტრობი გადის და ისევ მალე შემოდის.)

XII.

იგინივე და პატრიცები.

I **პატრიცი.**
საით მირბიხარ?
II **პატრიც.**
აქეთ მოდის ნეტარი სულა!
**აციონ.** სულლა აქ მოდის??
I **პატრიცი.** ჰსურს მას, სპარტაკი ინახულოს!
**აციონ** მან უნდა მონა ინახულოს?
II **პატრიცი.** იგი ხომ მონა აღარ არის..
**აციონ.** თქვენ მე დამღუპეთ!
მალლა ცერები თქვენ ასწიეთ, ანთავისუფლეთ.
და არ კითხულობთ თუ რამდენი ოქრო დამიჯდა...
**მეტრობი.** (შემორბის) ჩუმად! ძვირთ სულლა მობრძანდება!
სულლა აქ მოდის... ის მე მომყავს.. გესმის, მე მომყავს..
თუ ჩემს წაგებულს სანაძლეოს უარსყოფ ეხლა
და ისევ იმდენს ჩამაბარებ, იცოდე ბედს გწევ!
თუ არა მოგსპობ, ხომ იცი, რომ სულლა მე მწყალობს!
**აციონ.** მეტრომბ! გინდ ეხლავ დაგიჩოქებ!..
**მეტრობ.** სულლას ის მოსწონს, რომ დღეს იგი შენ
ასახელე
და გასართობი ხალხს უჩვენე აუწერელი.
წელან შენ ყველას უძახოდი: აბა თამამად!..
ეხლა მე ვყვირი: შენც თამამად! სულლა აქ მოდის!

XIII.

იგინივე და შემოდის სულლა ვალერიასთან ერთად
უკან მოსდევენ:
ეპტიბიდე და გორტენზი,
შემდეგ კატილინა და სხვა პატრიციები. ქალი და ვაჟი.
მონებს მოაქვთ დაფნის გვირგვინი და
რუდიარის სამოსი.
**სულლა** თუმცა გაგრძელდა ასპარეზი ნინებულია!
ჯილდოთ აციონს (ახველებს)
**მეტრობი** (აციონს)
გესმის? ჯილდოზე ლაპარაკობს!
**სულლა.** ჯილდოთ აციონს. . (ახველებს)
**მეტრობი** თქვენ ისეთ ჯილდოს გაიღებთ! რომ ყველას
უკვირდეს,
არა მიტომ რომ გულუხვი ხართ, არამედ მისთვის,
რომ გიყვართ დასდოთ თქვენი მჯავრი ნამდვილ ხელოვანს,
თქვენი სახელიც ნამდვილ იქმნეს დაფასებული!
**სულლა** მეტრომბ შენ მუდამ კიდეც მაქებ და კიდეც
მკილავ!
**მეტრობ.** ეგ სიყვარულის დაღდებია!
**კატილინა.** წინეთაც გითხარ, ეხლაც ვამბობ, რომ ხალხს
ამნაირს
დანგრევაც ძალუძს და აღდგენაც იმპერიისა.
საქმე ის არის, დიქტატორი რა გეზს უჩვენებს.
**სულლა.** კატელინა!
ახალგაზრდა ხარ და გიტაცებს მხოლოდ მიზანი.
ჰრელის ოცნებით წინდაწინვე რომ მოგიქარგავს.
რა არის ხალხი? ანდა გროვა გლადიატორთა!
ნივთი, რომლიდან გააკეთებ გინდ სახნავ გუთანს
და გინდ შვილდ-ისარს, თვითვე ხელში დააჭერინებ
**კატენლინა.** იგივე ხალხი ტალღა არის და თუ აღელდა,
თავის მესაჭეს ნავიანათ უბსკრულში ჩანთქავს.
**სულლა.** დღეს, კატილინა! მიხირდები ყოველ სიტყვაზე...
**კატილინა.** ჩემი ბატონის სულგრძელობა ვიცი და მიტომ...
**სულლა** დღეს მართლაც არა-ჩვეულებრივ გუნებაზე ვარ!
მესიამოვნა სტუმრები, რომ ასე გამართეს...
სად არის სპარტაკ?...
I **პატრიცი** იგი ჯერ ისევ არენაზე თვის ძმებს დასტირის...
**სულლა.** ვაჟკაცს ტირილი? სწორე გითხრათ, ეგ კი არ
მომწონს!
**კატილინა.** ძლიერი მუდამ გულჩვილია მეგობრებ შორის...
**სულლა.** ეგ მართალია, მაგრამ პირში მაინც მამტყუნებ. .

XIV.

იგინივე. სპარტაკ შემოდის გამწარებული. გლადიატორებს შემოაქვთ გვამი ნებულინისა.
**სპარტაკ.** აქ დაასვენეთ მეგობარი... გამოვიტიროთ,,.
ღმერთნო! რა გულით და რა გრძნობით ვევედრებოდი
ძისთვის სიცოცხლე უბადრუკი ეჩუქებინათ,
მაგრამ ამაოდ! რას შეისმენს ცივი კედელი?
**მეტრობ.** სპარტაკ! რას სჩადი? მიიხედე შენ წინ ვინ
სდგანან!
**სპარტაკ.** ვინ უნდა იყვნენ? მომაკვდავნი ალამის ძენი,
რომელთ მეგობრის წმინდა სისხლი დამაღვრევინეს:
ნუ თუ თქვენ არ გყავთ ახლობელი, ძმა, მეგობარი?
ნუ თუ თქვენ იმას მოჰკლავდით და არ იგლოვებდით?
აბა, მიიღეთ ეს მახვილი და ვინც თქვენ გიყვართ,
ჩაჰკარით გულში! არავინ იქმს ამას თქვენგანი!
ჩვენ კი მონებმა ერთმანეთი უნდა აჩეხოთ!
**მეტრობ.** სულლას ჰსურს ჯილდო მოგიძღვნას და
განთავისუფლოს!
**სპარტაკ.** მე რაღას მარგებს, სისხლში შესვრილს,
თავისუფლება?
საუკეთესო მეგობარი დავკალ ცხვარივით!
აბა, უყურეთ მე მას ჩემს ძმას, გული გავუპე!
მას ჩემთან მტრობა არა ჰქონდა, არც სიძულვილი!
შუბლზე სისხლი აქვს, მე დავარტყი კვერთხი საბრალოს!
ის მოკვდა მონა მონის ხელით! ვინ დაიტიროს?
არა ჰყავს დედა, გულის სატრფო და მეგობარიც
როცა მას ჰკლავდა, განგაშს სცემდა ყველა თქვენგანი!
აი, ეს ხელი მე რამდენჯერ ხელში მჭერია!
აი, ეს ბაგე მამხნევებდა დიდის საქმისთვის.
მე იგი მოვკალ! ჩემი ტანჯვა რატომ არ გესმით?
**სულლა.** მიიღე ჯილდო და განიჭებ თავისუფლებას!
(მონები ჯილდოს მიართმევენ)
**სპარტაკ.** (სიჩუმის შემდეგ წამოდგება, ხელებს პირზე
მიიფარებს და იტყვის:)
წყეულიმც იყავ, რომო, შენის უსამართლობით!

ფ ა რ დ ა.

**სანდრო შანშიაშვილი.**

# ბიბლიოგრაფია

**რევოლიუციის მატიანე.** ისტორიული ჟურნალი პარტიის ისტორიის კომისიისა. № 4. 1923 წ. ტფილისი.

როგორც სჩანს, ისტორიული ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“, მძიმე, სერიოზულ ჟურნალის ხასიათს ღებულობს.

ჟურნალის № 4 მდიდარია ისტორიული-რევოლიუციური მასალებით, უფრო აღსანიშნავია II განყოფილება (მოგონებანი). ოდესღაც ჰერცენმა იმახვილა, რომ ყველას აქვს უფლება სწეროს თავისი მოგონებანი, მაგრამ ყველა არ არის მოვალე მათი წაკითხვისო. მაგრამ აქ ჩვენ საქმე არა გვაქვს სიოჯახო მემუარებთან, ყველა ეს მასალები შეადგენენ რევოლიუციის მატიანეს. თქვენ თვალწინ მიდის ბრძოლა, მედგარი და გაფთრებული და ამ ბრძოლაშივე ავტორი იკარგება.

ერთნაირი ინტერესით და სიცხოველით იკითხება მოგონებანი, როგორც პარტიის ლიდერების, ისე მისი მორიგი წევრების. ეს მასალები თითქმის პირველად იბეჭდება და დიდს ინტერესს იწვევენ.

შინაარსით სავსეა ლუნაჩარსკის წერილი ლენინზე, აბელ ენუქიძის მასალები არალეგალურ სტამბებია ისტორიაზე რუსეთსა და კავკასიაში 1900—6 წ.წ.) მოგონებანი: შ. დავიდოვის (1876—1906 წ.) და კ. ცინცაძის 1903—1920 წ.) ამას მისდევს საინტერესო მასალები: ს. მეგრელიშვილის, გ. ჩხეიძის და ს. თოდრიასი. მ. ჩოდრიშვილი იძლევა ძვირფას დამატებით ცნობებს კამოს ბიოგრაფიისთვის.

ს. თალაკვაძის და რ. კალაძის წერილებში საკმარისად გაშუქებულია საქართველოს რევოლიუციური წარსული და ქართული მუშური პრესის ისტორია.

მეტად დამაკმაყოფილებელია და სავსე საბუთებით ჟურნალის ყველა განყოფილებანი (ავტობიოგრაფიები, რევოლიუციის მსხვერპლნი, პარტიული არქივი და ტრიბუნა).

ერთად-ერთი ნაკლი ჟურნალისა არის, რომ იგი მოკლებულია რევოლიუციონერების პორტრეტებს და საერთოდ ილიუსტრაციას.

---

**ნოე ჩხიკვაძე** ლექსები. სახგამომცემლობა ტფილისი 1923 წ.

ჩვენ წინ დევს ნოე ჩხიკვაძის ლექსების სრული და პირველი გამოცემა. წიგნს დართული აქვს პოეტის ბიოგრაფია, პორტრეტი, ფაქსიმილე და წერილები: რ. კალაძის, ივანე გომართელის, გრიგოლ რობაქიძის და ს. აბაშელის. რასაკვირველია, სრულიად ზედმეტი იქნება ვილაპარაკოთ აქ ამ დიდი ტემპერამენტის პოეტსა და ტრიბუნზე, რომლის პოეზია „ჩვენს ქართულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოეზიასა და პროლეტარულ პოეზიის შორის შემაერთებელი რგოლია“ (რ. კ.). ნ. ჩხიკვაძის ლექსები, თავისი ტეხნიკით ველარ გაუსწორდება დღევანდელ ლექსს, მაგრამ მისი პათოსი მუდამ დარჩება მებრძოლ პროლეტარიატისათვის.

„ჩვენი ახალ ქვეყნისა წითელი ჯარი ვართ,
ბრძოლაში ვეძებთ ჩვენსა უფლებას,
მაშვრალთა აღდგომის ახალი ზარი ვართ“
ეს არის დიდი პროლეტარული მოწოდება.

წიგნში შესულია რამდენიმე სუსტი ლექსი, რომელთა დაუბეჭდაობით წიგნი არაფერს წააგებდა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე: რომ არც ერთს ლექსს თარიღი არა აქვს. და 82 ლექსში, მკითხველმა არ იცის, რომელი ლექსი რომელ პერიოდს ეკუთვნის. აღსანიშნავია ისიც, რომ ორასგვერდიან წიგნში პოეტის ბიოგრაფია განისაზღვრება მთლად 15 სტრიქონით. წიგნის ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ისევე ბანალური და უგემოვნო ყდა. წიგნი დაბეჭდილია სუფთად საშუალო ქაღალდზე. (ფასი არ აწერია)

---

# ნარევი.

**მუშათა პარტიების ისტორია.**

სტოკჰოლმის უნივერსიტეტის დოქტორმა მანგომერიმ გამოსცა საინტერესო წიგნი, რომელიც ეხება ინგლისის, საფრანგეთის და სკანდინაურ ქვეყნების მუშათა პარტიების პოლიტიკას 1900—1920 წ.წ.

**წიგნი თანამედროვე იტალიაზე.**

ბაურერმა გამოაქვეყნა თავისი ახალი წიგნი „უკვდავი იტალია“, ავტორი დიდი ენტუზიაზმით ლაპარაკობს იტალიის ქმედითი ძალებზე და მიუხედავათ თანამედროვე მძიმე პირობებისა როგორც სამეურნეო ცხოვრებაში, ისე შინაგან პოლიტიკაში ის ნათლად ხედავს იტალიის ერის უკვდავებას.

ცალკე წერილები ეხება ფიუმეს საკითხს და მასში გაბრიელ დ'ანუნციოს რომანტიულს მმართველობას. უფრო მეტად საინტერესოა წიგნის ის ფურცლები, სადაც ავტორი ფაშისტურ მოძრაობას ეხება.

**ლლოიდ-ჯორჯის მემუარები.**

დეკემბერში გამოდის ლლოიდ-ჯორჯის მემუარები ორ ტომად.

**ახალი აღმოჩენები ტელ-ელ ამარნში.**

ინგლისელი მკვლევარები აქ წააწყდენ უძველეს ქალაქს გაშენებულს სწორე გეგმით და ანგარიშით.

მაგ. ყველა სახლების კარები ფასადის განსაზღვრულ ადგილას აქვს მოქცეული და ყოველი ქუჩა კედელით თავდება. სახლები კარგად შენახული და იძლევიან წარმოდგენს ეგვიპტის ღარიბ მოსახლეობის ცხოვრებაზე 14 საუკ. (ქრ. დაბ—მდე) სხვაგან აღმოჩენილია მეფის პარკი, ესეც ერთად-ერთია აღმოჩენილი ეგვიპტის არქეოლოგიაში.

**წიგნი პარიზის კომუნაზე.**

პეტერბურგში გამოვიდა მეტად ძვირფასი შრომა ბისტრინსკის: „წიგნი პარიზის კომუნაზე“. ეს წიგნი ერ-

თად ერთია, რომელშიც მოქცეულია ახალი და ყოველმხრივი მასალები პარიზის კომუნაზე.

**გოია ინკვიზიციის წინაშე.**

ესპანელ მხატვარ გოიას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქაღალდებიდან ახლახან გამოაქვეყნეს დღემდე უცნობი საბუთები, რომელიც ეხება მის კონფლიქტს ინკვიზიციასთან. 1814 წ. 5 ნოემბ. სასულიერო ტრიბუნალში შემოვიდა წინადადება გოიას წინააღმდეგ დევნაზე.

ამისთვის მოიმიზეზეს მხატვრის შესანიშნავი სურათები: „ჩაცმული და შიშველი გოია“ მაგრამ უმთავრესი დევნის საბაბი იყო ის, რომ სატირიკოსი და რევოლიუციონერი გოია ებრძოდა თავის ეპოქის ეკლესიურ, პოლიტიკურ და სოციალურ პირობებს. 16 მარტს 1815 წ. ტრიბუნალმა დაიბარა გოია ჩვენების ჩამოსართმევად. მაგრამ იგი გაიქცა ბორდოში, სადაც იცხოვრა 13 წელიწადი.

**რუსი მხატვრები ყალბი ფულის მჭრელები.**

მოკლე ხანში ბერლინში დაიწყება სენსაციური პროცესი რუსი ემიგრანტი მხატვარის მიასოედოვის, რომელიც თავის ამხანაგებთან ერთად საგანგებოდ გამართულ ატელიეში ამზადებდა ყალბ ფულებს. მთავრობის მიერ წარდგენილია ძიება 30.000.000 მარკის.

**ლასსალის ბიოგრაფიისთვის**

გერმანელ მუშათა მოძრაობის ისტორიკოსმა და ენგელსის ცნობილმა ბიოგრაფმა გუსტავ მაიერმა ათეულის წლების ძებნის შემდეგ ძლივს აღმოაჩინა შესანიშნავი წყაროები ლასსალის ბიოგრაფიისათვის—მიწერმოწერა და დაუბეჭდავი ნაშრომები—დიდებული აგიტატორის. პირველი შეიცავს ლასსალის ახალგაზრდობის ძვირფას მასალებს: მისი წერილები მშობლებთან ამოწმებს მის შრომის მოყვარეობას, ადრე განვითარებას და ბრწყინვალე ნიჭს მარქსისადმი მიმართულ წერილებში კი პირველად არის გაშუქებული პირადი, მაგრამ არც ისე მეგობრული ურთიერთობა ორი დიდი ბელადის, რაც გამოწვეული იყო მათი ხასიათების მკაცრი კონტრასტით.

პრესის აზრით, ეს მიწერ-მოწერა მეტის მეტად საინტერესოა და დანარჩენი 6 ტომის გამოსვლას მოუთმენლად მოელიან.

# ლიტერატურული ქრონიკა

**ფიროსმანი.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა სახგამომცემლობის მიერ დიდი წიგნი მხატვარ ფიროსმანზე. წიგნში მოთავსებული იქნება ფიროსმანის რეპროდუქციების ალბომი, ვრცელი ბიოგრაფია და წერილები: გრ. რობაქიძის და კ. ზდანევიჩის.

**იბეჭდება** და დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ვაჟაფშაველას II ტომი (პოემები) და პავლე ინგოროყვას „რუსთაველიანა“ სამ ტომად

**სანდრო შანშიაშვილის ახალი დრამა.** სიღნაღში გამოდის ს. შანშიაშვილის ახალი დრამატიული ნაწარმოები „სპარტაკი“. შანშიაშვილი ამ ქამად ამთავრებს „ელბერდ ბატონიშვილს“. ფანტასტიურ პოემას.

**გოგოთურ და აფშინა რუსულად.** რუსის პოეტმა ო. მანდელშტამმა „Восток“ ის № 3 დაბეჭდა ვაჟაფშაველას პირველი პოემა „გოგოთურ და აფშინა“ მიუხედავათ ზოგიერთი დიდი ნაკლისა, თარგმანი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს როგორც გავიგეთ ო. მანდელშტამი აპირობს ვაჟაფშაველას სხვა პოემების და განსაკუთრებით პროზის ცალკე გამოცემას რუსულ ენაზე.

**გაზ. „ივერია“** ნოემბრის 4-იდან ტფილისში გამოდის სრ. საქართველოს მწერალთა გაერთიანებულ კავშირის ორგანო „ივერია“. გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებულია საინტერესო მოგონება სოფრომ მგალობლიშვილისა აკაკიზე.

**ლადო მესხიშვილის ძეგლის ფონდი.** ტფილისში დაარსდა ფონდი ლადო მესხიშვილის ძეგლის ასაგებად. ფონდის შექმნაში მუშაობენ აგრეთვე ქართველი პოეტები და არტისტები.

**2 იანვარი—დღე ქართული თეატრის.** ქართული დრამა უკვე შეუდგა მზადებას ორი იანვრის სადღესასწაულოდ. ამ დღისათვის გამოვა საგანგებო გაზეთი: 2 იანვარი.

**პოეტი სანდრო ეული** ამზადებს დასაბეჭდათ თავისი ლექსებისა და პოემების მესამე წიგნს. მისი მეორე წიგნი „ქარხნის ტრიუმფი“ ორჯელ გამოიცა.

**ს. თალაკვაძემ დაასრულა დიდი** რომანი, რომელიც ცალკე წიგნად გამოვა.

**ჟურნ. „მომავალში“** დაიწყო ბეჭდვა ვასილ ბარნოვის ისტორიულ ტრილოგიის „გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან) „ქუფრი ლანდები“.

**ს. მგალობლიშვილის იუბილე** სრ. საქართველოს მწერალთა კავშირი დამსახურებულ ბელეტრისტს ს. მგალობლიშვილს უმართავს იუბილეს დეკემბრის შუა რიცხვებში.

**სახელმწიფო გამომცემლობა** შეუდგა ა. ყაზბეგის მოთხრობების და ივანე მაჩაბლის შექსპირის თარგმანების ბეჭდვას. განზრახულია აგრეთვე სახალხო იაფფასიან ბელეტრისტულ ნაწარმოებების გამოცემა.

უკვე გასასყიდათ გამოსულია ა. ბოგდანოვის „წითელი ვარსკვლავი“ რომანი-უტოპია თარგ. ის. თალაკვაძის მიერ. წიგნს დართული აქვს ქართული გამოცემისათვის ბოგდანოვის მიერ საგანგებოდ დაწერილი ბოლოსიტყვაობა.

დაიბეჭდა იუსტინე აბულაძის მე-XII ს. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხის ტყაოსანი“.

**ლადო გუდიაშვილი.** მხატვარი ლადო გუდიაშვილი პარიზიდან ტფილისში დაბრუნებას აპირობს.

**გალ. ტაბიძის ჟურნალი.** იანვრიდან გამოსვლას იწყებს „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“. ახალი შემადგენლობითა და შინაარსით.

**ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე.** იბეჭდება ტფ. უნივერსიტეტის მოამბის № III. გამოვიდა „ჩვენი მეცნიერების“ მორიგი ნომერი.

**„თეატრი და ცხოვრების“** განახლებას თბილისში აპირობს ი. იმედაშვილი.

**„ჯიმმი ხინნგის“** ითარგმნება ქართულად უპტონ სინკლერის დიდი ნაწარმოები „ჯიმი ხინნგის“.

**„ანრი ბარბიუსის“** რომანი „ცეცხლი“ დასაბეჭდათ გადაეცა სახელმწიფო გამომცემლობას.

**არსენა ჯორჯიაშვილის** ძეგლის ამგები კომისია თავის მუშაობას მოკლე ხანში დაამთავრებს.

**„წითელი ჩანგი“** გამომცემლობა „წითელი ჩანგი“ შეუდგა რევოლიუციურ ლექსების „წითელი ჩანგის“ გამოცემას.

# საქ. სახელ. ცხენთა სანაშენეს მოკლე მიმოხილვა.

1914 წლიდან დაწყობილი ჯერ იმპერიალისტურმა და მის შემდეგ შექმნილმა სამოქალაქო ომებმა და 1921 წლ. მოუსავლობამ იმსხვერპლა და შთანთქა ცხენების დიდი რაოდენობა, როგორც ერთობ მთელ ფედერაციაში, ისე განსაკუთრებით, საქართველოს რესპუბლიკაში.

ამის გამო, მეცხენეობა, როგორც სახალხო მეურნეობის თვალსაჩინო დარგი, ძლიერ დაზარალდა და შეირყა ძირიან-ფესვიანად და თავის სათანადო აღსადგენათ საჭიროებს ათეულ წლებს.

საქართველოში, რევოლიუციის წინ, ჯიშიან ცხენების მოსაშენებლად და ადგილობრივ მეცხენეობის გასაუმჯობესებლად არსებობდა თბილისში ცხენთა სანაშენეთავლა, რომელსაც 1917 წ. ყავდა 57 მაღალ სისხლიანი ულაყი ცხენი: წმინდა სისხლის ულაყი 17, ჩორთით მოსიარულე—16, შესაბმელი—მძიმე—22, სხვა და სხვა ჯიშის საჯდომი და შესაბმელი—12.

1921 წ. მარტში ცხენთა სანაშენე—თავლა თავის 67 ჰაკ ცხენით და 24 წმინდა სისხლიან ულაყით გადაყვანილ იქმნა ქუთაისის გუბერნიაში. დასახელებული ცხენები შემდეგ იყო გადაცემული სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებზე.

ყულარის ცხენთა სანაშენეში იმყოფება: 67 ჰაკი ცხენი კარაბაირის და სხ. ჯიშისა, 4 სამი წლისა, 4 ორი წლისა, 32 ძუძუ-მწოვარი კვიცი, სულ 138 ცხენი.

ცხენთა მოშენების სამმართველოში იმყოფება შემდეგი დაწესებულებანი: 1) სახელმწიფო ცხენთა სანაშენეს სამმართველო, რომელიც ხელმძღვანელობს საერთო საქმეს მეცხენეობაში და ცხენების საქართველოში მოშენების საკითხს. 2) თბილისის თავლა-დამაკებელ ულაყ ცხენების დეპო. ამ თავლიდან უნაწილებენ ულაყებს ყველა დასამაკებელ პუნქტებს. 3) ყულარის ცხენთა სანაშენე № 1 შესაფერ განყოფილებებით. 4) სამწვთნელო თავლა სადაც მოთავსებულია სადოღე საჯირითე ცხენები. 5) ჰიპოდრომი. სადაც სწარმოებს ზაფხულობით და შემოდგომობით ცხენთა ჯირითი და დოღი და საამათო ცხენების ხედნა და წვრთნა.

მიმდინარე საანგარიშო წელში სამმართველომ გააკეთა შემდეგი: 1) მოაწყო იპოდრომი დი ტრიბუნები და გამართა დოღი, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა 39 ცხენმა. 2) იქმა გახსნილი 8 სამაკებელი პუნქტი, როგორც თბილისში ისე პროვინციაში. პუნქტებზედ იყო დაყენებული 25 ულაყი, რომელთაც დაამაკეს 297 ჰაკი ცხენი.



კომიტეტი ცხენთა გამოცდების. შ. ელიავა, ეგოროვი წულუკიძე, ფხაკაძე.

ყოველ ზომების მიღების შემდეგ 1921 წ. საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან შეკრეფილ იქნა 6 წმინდა სისხლიანი ულაყი და 40 ჰაკი ცხენი. ამის გარდა იყო ნაყიდი 1 ჩორთით მოსიარულე ულაყი, 1 წმინდა სისხლიანი და 2 ჰაკი ყაბარდოს ჯიშისა. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდ. ამხ. შ. ელიავამ თავის მხრივ სანაშენეს უძღვნა 3 ულაყი და 1 ჰაკი ცხენი, თურანულ ჯიშისა.

1922 წ. თურქესთანის რესპუბლიკიდან სანაშენემ მიიღო საჩუქრად 15 ულაყი, 31 ჰაკი ცხენი და 12 გერგე, თურანულ ჯიშისა.

ამხ. ს. ფხაკაძის მეცადინეობით რუსეთის სახელმწიფო ქარხნების სანაშენეებიდან იყო ჩამოყვანილი 26 ინგლისური ულაყი, 2 ინგლისური ჰაკი ცხენი კვიცებით და 19 ორლოვსკის ჩორთით მოსიარულე ცხენი. გარდა ცხენებისა იქიდანვე იყო ჩამოტანილი 15 ამერიკანკა და 5 ინგლისური უნაგირი.

ცხენთა მოშენების სამმართველოს განკარგულებაში ამ ჟამად იმყოფება 199 ცხენი, რომელთა შორის არიან წმინდა ინგლისური ულაყები და ჰაკები, ახალ ტეკინის ულაყები, ორლოვსკისა, კირგიზული, სპარსული, თათრული, თუშური, ინგლისურ-არაბული, დონისა, პერშერონი, არდენი, ყაბარდოული და სხ. გარდა წმინდა სისხლიანებისა, არის რამოდენიმე ნარევაც (მეცისი).

3) საფუძვლიანად შეკეთდა თავლა და დამატებითად ჰიპოდრომის ლობე, ტრიბუნები და სალაროები, რადგანაც ერთი თავლა ვერ იტევს ცხენთა არსებულ რაოდენობას მიღებული აზომები მეორის ასაშენებლად 4) მასკოვის გამოფენაზე იყო გაგზავნილი სამმართველოს მიერ ადგილობრივ ჯიშების 3 ცხენი, რომლებმაც მიიღეს ჯილდო საჩუქრები.

მომავალ მუშაობისათვის შემუშავებულია შემდეგი სამოქმედო გეგმა: 1) საქართველოს ცხენთა რაოდენობის გამოკვლევა. 2) გამოყოფა არმიიდან და სახელმწიფო დაწესებულებიდან საშენ ცხენებისა. 3) საქებ და მოსაწონ ცხენთა ინსტიტუტის დაარსება. 4) მცხოვრებთა ფართო მასების ინფორმაციისათვის გამოცემულ უნდა იყოს პოპულიარული ბროშიურები მეცხენეობაზედ, 5) 3 დეკემბერს მოწვეულ იქნეს მეცხენეთა ყრილობა. 6 აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა იქმნას გამოცემული დეკრეტი ცხენების აზრიან რეკვიზიციის შესახებ და სხვ.

**პასუხის მგებელი რედაქტორი მ. კახიანი.**

გამომცემელი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.

# სახელმწიფო ღვინის ტრესტი

**პრეისკურანტი № 12** **1923 წლის 20 ოქტომბერი.**

სპირტი პურის —1° 8,5 კაპეიკი ჩერვონეცით უაქციზო

„ „ 1,500° მეტი 8 „ „ „

ტფილისიდან გასატანათ ცალკე შეთანხმებით (არა ნაკლებ 30 ვედროსი) ფასები ჩერვონეცის ანგარიშით, უჭურჭლოთ და უაქციზოთ,

**პურის არაყი ბოთლებში**—1/20—4 მ. 40 კ. ვედრო
**კონიაკი:** ო. ს. და ფ. შ.—1/20— 40 მ. „
***** 1/20— 33 მ. „
*** 1/20— 26 მ. „
** 1/20— 23 მ. „
* 1/20— 20 მ. „

**ტრესტის სამმართველო:** ტფილისი, ლენინის ქუჩა (ყოფილი ოლღას ქუჩა) № 30.
ტელეფონი 3—53.

---

ჯ. ს. ქ. ს.ს.ს.რ.

# მთავარი
# საკურორტო სამმართველო
# საზამთრო სეზონი

**გაიხსნება პირველ ნოემბრიდან**

აბასთუმანში იქნება 50—100 საწოლი.

ქობულეთში 50 საწოლამდე.

მიიღება ავადმყოფები განსაკუთრებით მხოლოდ იმ დაწესებ-ულებებიდან, რომელთაც წინასწარ მოაწერეს ხელი სახელმწიფო საწოლებზე—ს. პ. ს. გ. საშუალებით.
მიიღება ფასიანი ავადმყოფებიც მთელი სეზონის განმავლობაში სრულ პანსიონით.

ფასი: თვეში 180 ჩერვონეცი.

აბასთუმანში და ქობულეთში ქირავდება **ოთახები.** ფასი 30 კაპ. 40 კ—მდე ჩერვონცებით თვიურად თითო არშინში.

ფასი 20 კაპ. ჩერვ

ს. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ს. ს. ს. რ.

# ცენტრალური სავაჭრო
# სამმართველო

ტფილისი, სომხის ბაზარი № 62 ტელეფონი 9—24 და 7—51.

**აწვდის** ყველას ს. მ. უ. ს. ტრესტების და განყოფილებათა ნაწარმოებს.

**იძენს** ს. მ. უ. ს. ტრესტების და განყოფილებებისათვის საჭირო სხვადასხვა ნედლ მასალას.

## მაღაზიები:

მაღ. № 1. სომხის ბაზარი № 62 ტელეფონი 7—21

მაღ. № 2. თავისუფლების მოედანი № 2

მაღ. № 3. სასახლის ქუჩა № 8 ტელეფონი 19—62

მაღ. № 4. რკინის რიგი № 4 ტელეფონი 6—12

მაღ. № 5 ვაგზლის ქუჩა № 5 ტელეფონი 15—70

მაღ. № 6. ავლაბარი-კახეთის ქუჩა № 1 ტელ. 3—03

მაღ. № 7. თივის მოედანი ბახჩიევის ქარვასლა

## საწყობები.

№ 1. მალაკნის ქუჩა № 48 ტელ, 6—92, № 2. სომხის ბაზარი № 62 ტელ. 7—21 № 3 ვაგზლის ქუჩა ტელ. 13—01.

## განყოფილებები და წარმომადგენლობა

1. **ბათომი,** პეტროგრადის ქუჩა № 35
2. **ქუთაისი,** გაბაშვილის შესახვევი
3. **ბაქო,** ოლდას ქ. № 4. ტელეფონი 12—97 და 2—07

**ერევანი,** ასტაფიევის ქუჩა

**კავკავი,** პროლეტარის პრ № 46

**ტაშკენტი,** პუშკინის ქუჩა № 7a

**ფასები ზომიერია**